



ციხესიმაგრე

№ 75 / 9 - 15 მაისი / 2011

ISSN 1987-7528



- აქვს თუ არა აზრი ელიტურ დღეგასთან მოლაპარაკებას? გვ. 06  
მაისის ორი რევოლუცია გვ. 24  
თვითმიმდევრულობა თუ უჩეშური შემთხვევა გვ. 16  
ზურაბ ვაზაშვილის საქმე გვ. 18  
აფხაზური ელექტრონაზო გვ. 14  
შურდალისტური გამოყიდა: უსეო ტყევები გვ. 28  
როცა აღარ ხარ ახალგაზრდა გვ. 36

ვასი 2 ლარი

# მსოფლიო ოსამას შემადგროვებელი

გვ. 10

KING OF  
TERROR  
OR SAVIOUR OF ISLAM?  
PUSTAK MAHAL

UCNOBI FM 98.0



UCNOBI FM 98.0

IB VB TBII TBI UTB



ფოტო: იუსტიციის სამინისტრო

აშშ-ს პრეზიდენტი და მისი გუნდი თვალს ადევნებს ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციას, თეთრი სახლი, 2 მაისი 2011

#### ცომარში:

- 02 „ლიბერალის“  
ვებგვერდიდან
- 04 მოქლედ
- 06 ორი აზრი  
აქვს თუ არა აზრი  
ოპოზიციისთვის  
ხელისუფლებასთან  
მოლაპარაკებას?  
ირაკლი ჩიქოვანი VS ნინო  
ბერჯანაძე  
**მსოფლიო**
- 08 „ოდისეა განთიადი“-დან  
ლიბიის ჩიხამდე  
**მთავარი თემა**
- 10 მსოფლიო ოსამას შემდეგ  
**კონფლიქტი**
- 14 აფხაზური ელდორადი

- ადამიანის უფლებები**
- 16 თვითმკვლელობა თუ  
უბედური შემთხვევა
- 18 **ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე**  
„კორტების ტრაგედია“  
**პოლიტიკა**
- 24 მაისის ორი რევოლუცია
- 26 **საქართველო და რუსეთი**  
WTO, რუსეთი და  
საქართველო – რაუნდი  
მეორე
- 28 უხეო ტყეები  
**საზოგადოება**
- 32 რიყე ახალი ფუნქციით
- 36 **ოჯახი**  
როცა აღარ ხარ  
ახალგაზრდა

#### თვალსაზრისი

- 42 ქართული ტრადიციები და  
მიუკერძოებლობა  
მარე მალენი
- 44 დონალდი მოდის!  
გიორგი ცხადაია  
**კულტურა**
- 46 პერფექციონიზმი, როგორც  
მუდმივი ვწება
- 48 **ტერნოლოგიები**  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის  
ჩანაწერები**
- 50 დინების სა წინააღმდეგოდ  
– ერთი ქალაქის და ორი  
იდეალისტის ამბავი  
**თვალსაზრისი**
- 52 სიბრელე და სინათლე  
ლაშა ბულაძე

#### გარეკანზე:

მსოფლიო ოსამას შემდეგ  
ფოტო: Reuters



უზრუნველი კლიენტების" გამოიცემა ფონდ  
„ლა საზოგადოება – საქართველოს“  
მხარდაჭერით.

აუტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო  
მასალაში გამოიტანეთ მოსაზრება  
არ გამოხატავს ფონდის „ლა  
საზოგადოება-საქართველოს“  
პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის  
პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

*The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.*

# ბამოხმარება ლავით კახითვიშვილის ნიჩიზე "მოთვინიჩაბული ბამოვნება"

ნინო ბექიშვილის ბლოგი



მწერალს ყველაფრის უფლება აქვს, გარდა ერთისა – ცუდად წეროს. თუ ცუდად დაწერს, მაშინ ვერაფერი უშველის – ვერც პოლიტიკური აქტიურობა, ვერც პოზიციის და ვერც ხელისუფლების მხარდაჭერობა –

მალევე დაივიწყებენ. თუმცა მთავრობასთან ახლო ყოფნაში რაღაც ხეირი მაინც არის, ამიტომაცაა, რომ მწერლები ბევრ ისეთ ქვეყანაში, სადაც უხერხდებათ, ამგვარ ურთიერთობებზე უარს არ ამბობენ. ჩვენშიც

ხშირად ხდებოდა ასე. ვიღაცები, უფრო ჭკვიანები ამას ფრთხილად აკეთებენ, ისე, რომ საზოგადოება სულაც ვერაფერს იგებს. საბჭოთა დროება რომ არ გავიხსენოთ, აგერ, შევარდნაძესაც უყვარდა მწერლები, სულ გვერდით ეხვიგნენ. სააკაშვილს – აქამდე მეგონა, სულაც არ ადარდებდა. ჯერ ერთი – წიგნის მკითხველი კაცი არაა, მეორეც კიდევ – დროება შეიცვალა. რა შეუძლია მწერალს თანამედროვე მსოფლიოში, მით უმეტეს, საქართველოში? ბევრი არც არაფერი. ერთი პოპმომლერალი გაცილებით მეტს გააკეთებს ნებისმიერი მთავრობის მხარდასაჭერად, ვიდრე ათი მწერალი.

არადა, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. ეს ამერიკა-საფრანგეთში განსწავლული კაცი ცოტა წნის წინ ჭკუას არიგებდა მწერლებს, მუქარაც გაერია ხმაში. ამბობენ, ზაზა ბურჭულაძის ბოლო რომანი ძალიან კარგიაო. ვერაფერს ვიტყვი, ჯერ არ წამიერთხავს. მაგრამ იმისთვის, რაც ზაზამ ქუთაისში გააკეთა, მაღლობელი ვარ. ბოლოს და ბოლოს, შეგვახსენა, რომ ამ ქვეყანაში ვიღაცამ შეიძლება ქვეყნის პირველი პირი გააღიზიანოს და ააღელვოს, თანაც – პოლიტიკურ პონენტებზე მეტად. მერე ამ პირველმა, გაბრაზებულმა და აღელვებულემა სისულელები აფრ-ქვიოს და თავი გაიმასხროს. ხოლო პოლიტიკოსი, რომელიც არ მოგწონს, როცა სასაცილოდ იქცევა, გულს გე-მრიელად იფხან. ეგაა და ეგ.

მეც, მერაბ მეტრეველივით, უურნალისტი ვარ და არა ლიტერატურული კრიტიკოსი და ამიტომაც, სრული უფლება მაქვს, მხოლოდ ის ვიკითხო, რაც მინდა და მომწონს. მაგრამ ამას-თან ერთად, ჩემთვის მნიშვნელოვა-

ნია ის, ქართულად რაც იწერება და ისიც – რაც ითარგმნება. მაგრამ რაც ქართულად ამ ბოლო დროს იწერება, დიდად არ მომწონს. პროზას ვგულისხმობ. რაც შეეხება პოეზიას, მგონია, რომ ისევე, როგორც მთელი ისტორიის მანძილზე, ახალაც, ქართული პოეზია ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე პროზა.

რაღაცები მომწონს, მაგრამ ვერ მიტაცებს. წავიკითხავ, მომენტონება, დაცხურავ და აღარ ვფიქრობ წაკითხულზე. მეტვენება, რომ ქართველი მწერლები, უმეტესწილად, ერთჯერადი მოხმარების წიგნებს წერენ. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ უცხოელების ის ნაწარმოებები აღწევს ჩემამდე, რაც ნამდვილად კარგია და აღიარებული. მაგრამ მაინც, არა მგონია, ეს მარტო ჩემი, მკითხველის პრობლემა იყოს და არა ქართველი მწერლებისა. რომანი ჰქვია, 100 გვერდიც არაა, თითქოს სასიამოვნოდაც იყითხება და მერე აღარაფერი გრჩება. ბოლო წიგნი, რომელმაც შემძრა, დამაფიქრა, ამაღლევა და მოსვენებაც დამიკარგა, ქართულად, დაახლოებით, რვა წლის წინ დაინტერესი „კოტე ჯანდიერის „გლობალიზაცია“. კოტე ჯანდიერი იმ პარტიაშია, ჩემთვის სრულიად გაუგებარ ქართულ ტრადიციებს რომ იცავს, მაგრამ „გლობალიზაციის“ გამო ყველაფერს ვიყინყებ.

იქნებ მართალიც იყოს დავით ქართველიშვილი, როცა ამბობს, ცოცხალი მწერლის გინება ისეთივე ადვილია, ვიდრე გარდაცვლილის

გაფეტიშებაო. გაფეტიშებაში ქართველებს ხომ ვერავინ შეგვეძლება. მაგრამ მერაბ მეტრეველის წერილში გინება ნამდვილად არ იყო. მერაბს კონკრეტული მწერლების საქციელი არ მოენონა და დანერა. მას ამის უფლება აქვს. მეც არ მომენონა ზაზა ბურჭულაძის პირველი რეაქცია პრეზიდენტის გამოსვლაზე, მაგრამ მერე შეეცადა, გამოესწორებინა. ზურაბ ლეუავა საინტერესოდ წერს, მაგრამ „ჩემი“ მწერალი არაა. იმის მიხედვით ნამდვილად არ ვაფასებ, ციხეში რომ იჯდა, არც იმის, რაც „გალას“ დაჯილდოების შემდეგ ილაპარაკა. ოღონდ მართლა უხერხულია, მწერალი დითირამბებს რომ აღუვლენს ხელისუფალს, რომელიც პრემიას გადასცემს. საწყენია, ზურაბ ლეუავამ ასეთი მარტივი რამ რომ ვერ გათვალა.

ორი თვის წინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ოცდაათიოდე კაცი შევიკრიბეთ. „ფეისბუკზე“ დაგეგმილი აქცია იყო. ვნახეთ, როგორ საქონლებივით შეყარეს ბავშვები და ქალები სატვირთო მანქანებზე და სადღაც გადაკარგულში გადასასახლეს – საბჭოთა რეპორტაციები გაგვასხენდა. ვიცოდით, ვერაფერს შევცვლიდით, უბრალოდ, სოლიდარობა გამოვხატეთ. ახალგაზრდა მწერლებიც იყვნენ, მგონი, შოთა გაგარინი. რომ მივედი, ნაირა გელაშვილი უკვე იქ დამხვდა. განცალკევებით, მორიდებით იდგა. იდგა კარგა ხანს და ჩვენთან ერთად ასველებდა წვიმა.

რა ვქნა, მომწონს როცა მწერალი პროტესტს გამოთქვამს. სულ ერთია, ეს იქნება პროტესტი მართლა ნონსენსად ქცეული ქართული სადლეგრძელო-ტრადიციების თუ ხელისუფლების სისასტიკეების მიმართ. როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი ქალებს, ბავშვებს ან პატიმრებს ცუდად ექცევიან და მწერალი მათ ესარჩევება, ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია. ნაირა გელაშვილი კარგი მწერალია, ის ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ, მანაც ნახა, გულმა ვერ მოუთმინა და შინ ვერ დარჩა. ეს იყო და ეს. შეიძლება, იმ დევნილებმა სულაც ვერ გაიგეს, ვინ მივიდა მათ დასაცავად და არც ტელევიზიებს გაუშუქებიათ.

ახლა ახალგაზრდა ქართველი მწერლები საკუთარი ნანარმოებების აუდიო ვერსიებს უსინათლოებისთვის წერენ – ძალიან მომწონს ეს პროექტი და რაც უფრო მეტი ამგვარი აქცია იქნება, მით უკეთესი.

ენა მხოლოდ იმას ინახავს, რაც ამ ენაზე კარგად დაინტერება. ასე რომ, მწერლისთვის სრულიად საკმარისია, კარგად წეროს. მაგრამ თუ მწერალს იმათ მიმართ სოლიდარობის გამოჩენა შეუძლია, ვისაც ჩაგრავენ, ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია. მაგალითია, რომელიც ნებისმიერ საზოგადოებას სჭირდება.

რაც შეეხება „მოთვინიერებულ გემოვნებას“, ეს მართლა პრობლემაა, ოღონდ მერაბ მეტრეველს ნაკლებად ეხება. თანაც, მგონია, არც ეს სტერეოტიპები დაინგრევა მწერლების მონანილობის გარეშე. □

**რედაქტორი:** მთავარი რედაქტორი შერენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავავა / კავკასია და კონფლიქტები სოფო შუკაა / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავა / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჭავარეშვილი / საზოგადოების შემსრულებელისთვის: მარა წყვალური, მარია ქარჩაშვილი, ეკა ჭავარებავა, რესუდან ფაონზეშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაქაძე, ნინო რობაგიძე, ნათა გულიაშვილი, კარგად წერნი არაა, რომ იჯდა, არც იმის, რაც „გალას“ დაჯილდოების შემდეგ იყოს ბავშვები და ქალები სატვირთო მანქანებზე და სადღაც გადაკარგულში გადასასახლეს – საბჭოთა რეპორტაციები გაგვასხენდა. ვიცოდით, ვერაფერს შევცვლიდით, უბრალოდ, სოლიდარობა გამოვხატეთ. ახალგაზრდა მწერლებიც იყვნენ, მგონი, შოთა გაგარინი. რომ მივედი, ნაირა გელაშვილი უკვე იქ დამხვდა. განცალკევებით, მორიდებით იდგა. იდგა კარგა ხანს და ჩვენთან ერთად ასველებდა წვიმა.

**გამოცემის შესრულებელი:** შპს „ლინგირადი“, მისამართი: თბილისი 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სახლი გამოცემისთვის: „ტელემ შეკრებული“, „ტელემ შეკრებული – ლიტერატურუ“, „ბიზნეს ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლინგირადის“ სავაჭრო უფლებები დაცულია.  
შუკასალიშვილი გამოქვეყნებულ მასლების ნანილობრივი და/ან მოლისი გამოყენება რედაქტორის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
რედაქტორი: სტამა, „სესანი“. მისამართი: თბილისი, ნერებოლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

გამოცემის კრიტიკა ერთხელ, კრიტიკა იმართას. პირებით გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.



## Yodok-ში - ჩრდილოეთ პორტს პოლუნაური საკატიმი

Amnesty International-ი ჩრდილოეთ კორეის გასაიდუმლოებული ციხეების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, საპატიმრო Yodok-ში 50 ათასი პატიმარი სასჯელს იხდის პოლიტიკური დანაშაულისთვის. ჩრდილოეთ კორეაში პოლიტიკური პატიმრებისთვის Yodok-ის მსგავსი 6 საპატიმროა.

ამ ბანაკებში პატიმრები „ანტისამთავრობო“ განწყობის გამო, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, ან წამების შედეგად მიცემული აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე ხდებიან.

„მათ შორის არიან ყოფილი თანამდებობის პირები, რომლებიც მთავრობის, ან ქვეყნის მმართველის და მისი ოჯახის წევრების კრიტიკაში იყვნენ შენიშვნული. ასევე ის ადამიანები, ვინც თვალყურს ადევნებდა სამხრეთ კორეულ მედიას. სასჯელს მათი ოჯახის წევრებიც იხდიან. თუ ბანაკში ვინმეს ბავშვი შეეძინება, ახალშობილი ავტომატურად პატიმარი ხდება“, – წერია Amnesty International-ის დასკვანაში.

Yodok-ში პატიმრების უფლებები ყოველ-

დღიურად ირღვევა. მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ნებისმიერი სირთულის სამუშაოს ასრულებინებენ, ხშირად სცემენ. ბანაკებში არ აქვთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება და კვება. პატიმრების დიდი ნაწილი ან ბანაკში იღუპება, ან გათავისუფლების შემდეგ რამდენიმე დღეში.

ჩრდილოეთ კორეის მთავრობა პოლიტიკური საპატიმრო ბანაკების არსებობას უარყოფს. თუმცა Amnesty International-მა მოიპოვა ყოფილი პატიმრების ჩვენებები და სატელიტიდან გადაღებული ფოტოები.

Amnesty International-მა ეროვნული თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე კიმ იონგ-ლის და გაეროს ელჩის კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე მიმართა. მისი რეკომენდაციით ჩრდილოეთ კორეამ უნდა აღიაროს პოლიტიკური საპატიმროების არსებობა, ყველა ბანაკი უნდა დაიხუროს და შეწყდეს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები. პატიმრების საქმეები უნდა განიხილოს დამოუკიდებელმა სასამართლომ.

### ახალიას სახალინიფო ლეპასამანების გამოხმაურება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 30 აპრილს რუსი მალალჩინოსნების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთში ვიზიტს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან შეუსაბამო“ უწოდა. ამ განცხადებით სახელმწიფო დეპარტამენტი 25-26 აპრილს სერგეი ლაგროვის ვიზიტს გამოეხმაურა. თუმცა განცხადების ტექსტში საგარეო საქმეთა მინისტრის სახელი მოხსენიებული არ არის.

### ივნისიდან სანვაცსა ლ საჯავაბზე ფასაბი იხლებს

2010 წლის ივლისის შემდეგ ყოველთვიური ინფლაცია აპრილში უმნიშვნელოდ შემცირდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, ინფლაცია მარტისგან განსხვავებით აპრილში 4 მეტადიონ შემცირდა და 13,5 პროცენტი შემდგინა. მაღალ ინფლაციას საკვების და სანვაცის ფასები განაპირობებს. საქართველოში საერთაშორისო საკალეუტო ფონდის რეგიონალური წარმომადგენლობის, ედუარდ გარდენერის განცხადებით, „სანვაცის და საკვების ფასების სტაბილიზაციასთან ერთად, ინფლაცია კლებას ივნისიდან დაიწყებს“.

## ჩიფურის აღმოჩენის შემთხვევაზე განცხადება



სამხრეთ ოსეთში, შესაძლოა, ედუარდ კოკიშვილის ახალი ვადით არჩევის თაობაზე რეფერენდუმი ჩატარდეს. საინიციატივო ჯგუფს დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის მოადგილე იქრაგიმ გასილევი ხელმძღვანელობს. „ჩვენ არავის მივცემთ უფლებას,

რომ არჩევნების საფარქვეშ პინძური პოლიტიკური თამაშები დაიწყონ, — განაცხადა გასეევმა და აღნიშნა, რომ ამჟამინდელი ლიდერის „უურსი უნდა გაგრძელდეს“.

თავად კოკიშვილი მესამე ვადით კენჭისყრას და საამისოდ კონსტიტუციის შეცვლას არ აპირებს. თუმცა რეფერენდუმის მეშვეობით ამ საკოთხზე მოსახლეობის ნების გამოხატვას ხელს არ შეუშლის. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები 2011 წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი.

## პოლიციის ლორ ბათუმში

6 მაისს პოლიციის პროფესიული დღე უკვე მეორედ, ამჯერად ბათუმში აღნიშნა. საჩვენებელი ღონისძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელებმა ბათუმის ახალ ბუღარში გამართეს. აღლუმს საქართველოს პრეზიდენტი, შინაგან საქმეთა მინისტრი, დიპლომატიური კორპუსი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლები დასწრენ.

პრეზიდენტმა პოლიციელებს პროფესიული დღე, გიორგობა და აჭარის დაბრუნების დღე ერთად მიუღიცა. „პოლიციის რეფორმა საქართველოს ახალი სახელმწიფო ბრიობის შექმნის მთავარი სიმბოლოა“, — აღნიშნა პრეზიდენტმა — „საქართველოში არის უფრო ნაკლები დანაშაული, ვიდრე არის გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ეს თქვენი დამსახურებაა“.

## მთავრობამ პარალელურ უფლება მიიღო შექმნის უფლება მიიღო

5 მაისს პარლამენტმა ტურისტული ზონის შესახებ ახალი დებულება მიიღო. ქობულეთისა და ანაკლიის ტურისტულ ზონებს განმუხტურის ტურისტული ზონა დაემატება. „ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით“ მთავრობას მსგავსი ზონების შექმნის უფლება პარლამენტის ნებართვის გარეშე შეეძლება.

თუ აქამდე ინვესტიორისთვის საკუთრებაში ერთ ლარად მხოლოდ 2 ჰექტარი მდებარეობს ნაკვეთი გადაიცემოდა. ახალი



ცვლილებით, ერთ ლარად 2 ჰექტარზე მეტი მიწის შეძენაც შეიძლება.

## ჩიფურის აღმოჩენის შემთხვევაზე განცხადება

**235**

მილიონი აშშ  
დღლარით მსოფლიო  
ბანკი საქართველოს  
დაფინანსებას გაზრდის.

**4**

ათას სამხედრო  
მოსამსახურეს  
ავღანეთიდან საფრანგეთი  
2014 წელს გაითხოვს.

**12**

წლიანი პატიმრობა  
მიუსაჯეს ევიპტის ყოფილ  
შინაგან საქმეთა მინისტრს  
ხაბიშ აღ ადლის.

## ციტატა



„პოლიციის ფუნქცია არის ბევრად მეტი, ვიდრე უბრალოდ საზოგადოებრივი ნესრიგის დაცვა“. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

„საქართველოს უსაფრთხოების საკითხი ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოების ნაწილია“.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენი ილეანა როს ლეტინენი

„მე პოლიტიკიდან წავალ, თუ ჩვენ წელს ვერ მივალნევთ შედეგს; ჩემს პოლიტიკურ კარიერას ვდებ სასწორზე“. „ქართული პარტიის“ ლიდერი ეროსი კინძმარიშვილი 9 მაისს დაგეგმილი საპროტესტო აქციების შესახებ

„ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთის

დამოუკიდებლობას და მისთვის არანაირი სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტს არ დაუუშვებთ“. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე პინქას ავივი



**30**

ირაკლი ჩიქოვანი

პარტია „თავისუფალი დემოკრატების“

გენერალური მდივანი

ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ერთადერთი არსებული პოლიტიკური პროცესია, რომელმაც შეიძლება ხელშესახები, დემოკრატიული, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერილ შედეგი გამოიღოს.

ცადანა, დასლოვგში მონაწილე არივე მხარეს – ხელისუფლებას და ოპოზიციას – აქეს საკუთარი კონკრეტული ინტერესი. ჩვენი ინტერესია, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს მეტ-ნაკლებად ნორმალური საარჩევნო გარემო, რომელიც საქართველოს დაბრუნებს დემოკრატიული მსოფლიოს ორბიტაზე, ხოლო საზოგადოებას მისცემს საშუალებას, შიშისა და ზენოლის გარეშე აირჩიოს ის ადამიანები, რომელიც მას უნდა ემსახურონ.

ამავე დროს, არ გვაქვს ილუზია, რომ პრეზიდენტი სააკაშვილის მმართველობის პირობებში ჩატარდება აბსალუტურად თავისუფალი არჩევნები.

მოლაპარაკებები, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაინტო, დღეს გადამწყვეტ ფაზაშია და მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ არის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს და გვამედებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

პირველი – საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ თუ მოლაპარაკებების გზა წარუმატებელი იქნა და მან შეღვი არ გამოიღო, ეს წააქეზებს ძალადობას, ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლას ან ამავე მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნებას.

წარსულში დაბრუნება ხალხს არ სურს, რაც, თავისთავად ზრდის შესაძლებლობას, რომ ერთხელ და სამუდამოდ განხორციელდეს დემოკრატიული საარჩევნო ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის პერსექტივაზე იქნება როიტორებული.

მეორე – ხელისუფლება ახერხებდა საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საკუთარი სიმართლის მტკიცებას, რაც მეტწლად განპირობებული იყო მისი ოპონენტების სისუსტით. დღეს მოლაპარაკების მეორე მხარეს დგას პოლიტიკურ სუბიექტთა მნიშვნელოვანი ნაწილი – ოპოზიციური პარტიების „რვანი“, რომელიც საქართველოს საზოგადოების კრიტიკულ მასას წარმოადგენს.

მესამე – ზემოხსნებული ორივე ფაქტორი საუკეთესო უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერისა – ციფილიზებული მსოფლიო, მისი წარმომადგენლები, უმაღლესი თანამდებობების პირები, ღიად აცხადებენ, რომ ყურადღებით აკვირდებან საქართველოში ამ კუთხით მიმდინარე პროცესს და მომლაპარაკებელ მხარეებს შეთანხმებისკენ მოუწოდებენ. მნიშვნელოვანია, რომ პროცესის მხარდაჭერა ხდება არა მხოლოდ განცხადებებისა და კომენტარების, არამედ ოფიციალური რეზოლუციების დონეზეც. ეს ადასტურებს, რომ დემოკრატიულ მსოფლიოს ძალიან სურს, იხილოს საქართველო თავისასავე წიაღიში, რაც განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში აღარ გაგრძელდება ხელისუფლებების შეცვლის არადემოკრატიული პრაქტიკა და არჩევითი დემოკრატია საბოლოოდ დაფუძნდება.

დათმული კონკრეტული ვადები, საზოგადოების დაკვეთა, ოპოზიციური ერთობა და საერთაშორისო ზენოლა აიძულებს ხელისუფლებას, წამოვიდეს შეთანხმებაზე. **[**



## აკცენტი აზრი ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები

■ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ერთადერთი არსებული პოლიტიკური პროცესია, რომელმაც შეიძლება ხელშესახები, დემოკრატიული, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერილ შედეგი გამოიღოს. მხარდაჭერილი შედეგი გამოიღოს. მოლაპარაკები გადამწყვეტ ფაზაშია და მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ არის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს და გვამედებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

ერთადერთი არსებული პოლიტიკური პროცესია, რომელმაც შეიძლება ხელშესახები, დემოკრატიული, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერილი შედეგი გამოიღოს. მოლაპარაკები გადამწყვეტ ფაზაშია და მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ არის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს და გვამედებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

ერთადერთი არსებული პოლიტიკური პროცესია, რომელმაც შეიძლება ხელშესახები, დემოკრატიული, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერილი შედეგი გამოიღოს. მოლაპარაკები გადამწყვეტ ფაზაშია და მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ არის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს და გვამედებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.

ერთადერთი არსებული პოლიტიკური პროცესია, რომელმაც შეიძლება ხელშესახები, დემოკრატიული, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მხარდაჭერილი შედეგი გამოიღოს. მოლაპარაკები გადამწყვეტ ფაზაშია და მძიმედ მიმდინარეობს, მაგრამ არის სამი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს და გვამედებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება.



## არა

**ნინო შურჯანაძე**

პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივანი

ამ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ შეცდომის აღიარება, რაც უნდა შემცდარი იყო, არის სისუსტე და მაინც უნდა ამტკიცო, რომ მართალი ხარ. ეს ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის არის მესამართური ძალა და მოვლენილია ახალი ქართველის შესაქმნელად. ასეთ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შანსი არ არსებობს. ეს ადამიანები ნებისმიერი ტიპის დიალოგს გამოიყენებენ მხოლოდ მეორე მხარის მოსატყუებლად და საკუთარი თავის გასაძლიერებლად.

მე დიდხანს ვლაპარაკობდი ხელისუფლებასთან და პირადად მიხეილ სააკაშვილთან. ყველა რესურსი გამოვიყენე, რომ ქვეყნა სწორი მიმართულებით წასულიყო, მაგრამ ჩემი საუბრები რეაგირების გარეშე რჩებოდა.

მაგალითად, 2008 წელს მე მოვუწოდებდი სააკაშვილს, რომ არ დაეწყო ომი. 2007 წლის 2 ნოემბერს კი ვაფრთხილებდი, რომ აქციებზე მოვიდოდა ძალიან ბევრი ადამიანი და ჯობდა, გველიარებინა ჩვენი შეცდომები. მაგრამ ეს ხელისუფლებამ არ მოისმინა.

ადამიანი, რომელსაც ჯერაც შერჩენია ილუზია, რომ ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით რამეს მიაღწევს, ვერც ერთ რეალურად წარმატებულ მაგალითს ვერ დაასახელებს.

ყველა მოლაპარაკება სრულდება ხელისუფლების სასარგებლოდ: ახალი კონსტიტუციის მიღებით შეიქმნა უარესი კონსტიტუციური სისტემა, ვიდრე ახლა გვაქვს. მერის არჩევნების დანიშვნაც მოჩვენებითი წარმატებაა – არჩევნები საბჭოთა კავშირშიც ტარდებოდა, მაგრამ არავის სჯეროდა, რომ მართლაც რაიმე არჩევანი არსებობდა. ასეთი ფსევდო-წარმატებებით გაცილებით უარესი საქმე კეთდება ქვეყნის სამსახურის და ხალხის სთვის, ვიდრე რადიკალური, პირდაპირი განცხადებებით. „დემოკრატიულის“ იმიჯი ხელისუფლებამ ნაწილობრივ სწორედ ასეთი მოჩვენებითი, ფსევდო-დემოკრატიული ნაბეჭებით აღიდგინა.

მონტესკიეს სიტყვებს გავიხსენებ: „ყველაზე საშიშია ის დიქტატურა, რომელიც იმალება კანონიერებისა და სამართლიანობის ნიღბის ქვეშ“.

გაცილებით ადვილია ისეთ დიქტატურასთან ბრძოლა, რომელიც პირდაპირ აცხადებს, რომ დიქტატორია და რომელიც დეკლარირებულად არ აღიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს. ამ შემთხვევაში, ყველასთვის ნათელია, რას ებრძვის. გაცილებით რთულია, ებრძოლო იმ ავტოკრატიულ რეჟიმს, რომელსაც სახეზე დემოკრატიის ნიღბი აქვს აფარებული და რომელიც ლამაზი სიტყვებით ლაპარაკობს დემოკრატიაზე, სიტყვის თავისუფლებაზე, ადამიანის ღირსებაზე, სამართლიანობაზე და ამ დროს ამის უკან იმაღლება უკიდურესად ცინიკური დამოკიდებულება ყველა ამ ფასეულობის მიმართ. **■**

# ოპოზიციის თვის მოცავას არა?

■ **ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შანსი არ არსებობს. ეს ადამიანები ნებისმიერი ტიპის დიალოგს გამოიყენებენ მხოლოდ მეორე მხარის მოსატყუებლად და საკუთარი თავის გასაძლიერებლად. ადამიანი, რომელსაც ჯერაც შერჩენია ილუზია, რომ ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით რამეს მიაღწევს, ვერც ერთ რეალურად წარმატებულ მაგალითს ვერ დაასახელებს.**

ლიბია

# "მიზანი განთიალი"-ეს ციბის ჩიხამი

ლიბიაში სამხედრო კამპანიის დაწყებიდან ერთი თვის თავზე კიდევ უფრო ბუნდოვანია, როგორი იქნება დასასრული.

## ვასო კუჭუხიძე

„სახლზე, რომელიც საიფ ალ-არაბ მოამარ კადაფის ეუტენდა, ღამით დამანგრეველი იერიში მიიტანეს. ლიდერის უმცროსი ვაჟი საიფ ალ-არაბი იერიშის დროს მეულელსათან, მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად შინ იმყოფებოდა. შეტევა ნამდვილ სასაკლაოდ იქცა, რომელსაც 29 წლის საიფ ალ-არაბი და ლიდერის სამი შეიღიშვილი შეეწირა. თვითონ ლიდერი ჯანმრთელობას არ უჩინის. ის იერიშის დროს ფიზიკურად არ დაზარალებულა“, — ლიბიის ხელისუფლების წარმომადგენელმა მუსა იბრაჰიმმა 30 აპრილს გამართული პრესკონფერენცია ამ ინფორმაციით დაწყო. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ მან რეპორტიორები დაბომბილი ნაგებობის დასათვალიერებლად წაიყვანა. იქსურობა მეტალისა და ცემენტის გროვად იყო ქცეული. ერთ-ერთ კედლებჩამომლილ თახში ტელევიზორი ჯერ კიდევ ჩართული იყო, ტახტზე კი PlayStation-ის კომპაქტ დისკები ეყარა. იქვე, კადაფის რეჟიმის მწვანე დროშის გვერდით, ჯამიდან გადმოცვენილი ხილი იყო მიმოფანტული, პომერ სიმპსონის გამოსახულებიანი სახლის ქოშები კი სანახევროდ დამწვარი, მტკვერში ეყარა. „საიფ ალ-არაბს მაშინ დაესხნენ თავს, როცა თავის დედასა და მამას, ნათესავებს და სხვა სტუმრებს ესაუბრებოდა. მასზე იერიში მიიტანეს იმ დანაშაულის გამო, რომელიც არ ჩაუდენია“, — დასძინა ბოლოს იბრაჰიმშია და საგანგებოდ აღნიშნა ისლიც, რომ წატონს სამხედრო ძალების ერთ-ერთი საპარო იერიშის

დროს დაუნის სინდრომით დაავადებულ ბავშვთა თავშესაფარი დაიბომბა.

ლიბიის კრიზისიდან დაახლოებით სამი თვის თავზე სულ უფრო უკეთ გამოიყვეთა სტრატეგია, რითაც ოფიციალური ტრიპოლი ცდილობს, დასავლეთი ალიანსის საპარო კამპანიის წინააღმდეგ განაწყოს. კადაფის საინფორმაციო ომის მთავარი პრინციპი ალიანსის მიერ ჩადენილი სისასტიკებისა და შეცდომების საზღასმაა.

შეიღის გარდაცვალების დღეს კადაფიმ მონიანაღმდეგებებს კიდევ ერთხელ შესთავაზა ცეცხლის შეწყვეტა მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ კარგად იცოდა — არც ეკრანები ლიდერები და არც ამბოხებული ლიბიელები დაბლომატიური მოლაპარაკებების რეჟიმს არ დათანხმდებოდნენ. თუმცა კადაფის მხრიდან ესეც კარგად გათვლილი პიარი იყო. ამ ინიციატივით ის შეეცადა, მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ მშვიდობის დასამყარებლად პირველი ნაბიჯების გადადგმას თვითონ არ თაკილობს მაშინ, როცა მონიანაღმდეგები მის „პაციფიზმს“ მხოლოდ აგრესით პასუხობენ.

თუმცა კადაფი სტრატეგიად ხშირად მუქარასა და შანტაჟსაც დაუფარავად მიმართავს. მაგალითად, განკახადებებს იმის შესახებ, რომ სარკოზის საპრეზიდენტო კამპანიას აფინანსებდა და ევროპას არალეგალური მიგრანტებით გაავსებს, დიდი რეზონანსი მოჰყვა. ალიანსის ხელებზე გადასხვლის შემთხვევაში ის მოსახლეობისთვის იარაღის მასობრივად დარიგე-



ბით და პარტიზანული ომით იმუქრება. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში კი იმასაც ამბობს, რომ აღმოსავლეთ ლიბიის მეამბოხეთაგან გამოწენდის შემდეგ, ბრძოლის ფრონტს იტალიის ტერიტორიაზე გადაიტანს და ეკრანპას არა ეკონომიკურად, არამედ იარაღითაც დააჩინებს.

„მწვანე დიქტატორის“ ამგვარი გათავედება, პირველ რიგში, დასავლეთის მიერ წარმოებულმა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ განაპირობა. მას შემდეგ, რაც ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კადაფის რეჟიმის დამხობა, სამხედრო კამპანიის მთავარი მიზანი არ იყოს, ეჭვქვეშ დადგა მისის მომავალიც. გამოძის, რომ ალიანსის პოლიტიკური მიზნები და სამხედრო სტრატეგია ერთმანეთთან შეუსაბამობაშია. თუკი რეჟიმის დემონტაჟი ახლო მომავალში არ მოხდა, დასავლეთი კიდევ ერთ სანგრძლივ კონფლიქტში ჩაეფლობა.

საქმეს ალიანსსა და მეამბოხეებს შო-



ფოტო: ლეიუკონი ლარკი / REUTERS

პროგნოზირება, თუ რა ბედი ეწევათ მეამბოხებს, როცა მათი რამდენიმეციონანი რეზურვი ამოინურება. ამიტომაც ევროპას ისინი ახლო მომავალში 3 მილიარდი ევროს გადარიცხვას სთხოვენ.

ლიბიის კონფლიქტში ხარჯების კატასტროფული ზრდა გერმანიისა და ჩრდილოეთ ევროპის დიდ უცმაყოფილებას იწვევს. საბერძნეთის, ირლანდიისა და პორტუგალიის კრიზისების შემდეგ ფინანსურ შოკში მყოფ ევროპას დამატებით ტვირთად დააწვა ლიბია. შესაბამისად, ევროპელ ლიდერებს შორის უკვე მიდის მოლაპარაკებები, რომ ლიბიელი მეამბოხების დაფინანსება კადაფის გაყინული ანგარიშებიდან გაგრძელდეს. ამ საკითხის განსახილველად ოფიციალური შეხვედრაც იგეგმება.

ფინანსური პრობლემების გარდა ევროპელთა ბანაკში პოლიტიკურმა დაბნეულობამაც იჩინა თავი. ბერლინის ნინააღმდეგობა, პარიზის რადიკალიზმი და რომის ცვალებადი სტრატეგია ერთსულოვანი პოზიციის შემზავებას უშლის ხელს. უკვე ყველაზე ოპტიმისტი ლიდერებისთვისაც ნათელია, რომ საპარტიო დარტყმებით კადაფის რეჟიმის დამხობა შეუძლებელია. ლიბიაში საშედრო შენაერთების შეყვანას კი არც 1973 წლის გაეროს რეზოლუცია ითვალისწინებს და არც ქვეენის ლიდერებს გააჩნიათ ამის სურვილი. შესაბამისად, ევროპა ჩიხშია. იტალიელი ანალიტიკოსის არტურო ვარველის განცხადებით, ევროპის მთავარი შეცდომა ისაა, რომ მათ ვერ განსაზღვრეს კადაფის ძლიერება და „მგლის გატყავებას მის მოკვლამდე შეუდგნენ“.

როგორც ჩანს, ბოლო დროს აღიანსმა მისის სწრაფად დასრულების ახალი სტრატეგია დაისახა – კერძოდ, კადაფის ფიზიკური ლიკვიდაცია მცირე იპერაციების საშუალებით. ეს განსაკუთრებით ამერიკა კადაფის სახლის დაბომბების შემდეგ გახდა, როცა ნატოს ნარმომადგენლის განაცხადა, რომ ამ კონკრეტულ შენობაზე მიტანილი იერიში არ ყოფილა შემთხვევითი დარტყმა. ბაბ ალ-აზიზიას დასახლებაში მდებარე კადაფის სახლს ტრიპოლიში დასაბომბები მდებარე კადაფის სახლის ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ეჭირა. **ც**

## ■ „მწვანე დიქტატორის“ ამგვარი გათავხედება, პირველ რიგში, დასავლეთის მიერ წარმოებულმა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ განაპირობა.

რის არაკონირებული ქმედებებიც ართულებს. აპრილის ბოლოს ნატოს მიერ მეამბოხეთა რამდენიმე ტანკის განადგურებას ალიანსის ხელმძღვანელობის მხრიდან საკმაოდ კომიკური განცხადება მოჰყვა. მათ აღნიშნეს, რომ არ ფლობდნენ არანაირ ინფორმაციას იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა მეამბოხეებს საერთოდ მძიმე ტექნიკა და ამიტომ მათი ტანკები კადაფის საკუთრებად მიიჩნიეს.

თავის მხრივ, დაქსაქულობა დაიწყო მეამბოხეთა ბანაკშიც. რამდენიმეთვიანი ბრძოლის შემდეგ მათ რიგებში უკვე იჩინა თავი დაღლილობამ და იმედგაცრუებამ. ეს დაეტყო კიდეც ბრძო-

ლის საერთო სურათს. ბოლო რამდენიმე შეტაკება მეამბოხეთა მასობრივი უკანდახევით დასრულდა. ბენდაზში კი უკვე მწვავედ განიცდიან ფინანსების ნაკლებობასაც. მეამბოხეთა ეროვნული საბჭოს ფინანსთა დეპარტამენტის წარმომადგენლის, ალი თარჟუნის განცხადებით, ოპოზიციას ყოველი საპრომონ დღე საშუალოდ 42-45 მილიონი დოლარი უჯდება. მათ ხელში მოქცეული ნავთობისა და გაზის ინდუსტრია კი, გასაგები მიზეზების გამო, იმდენად დაბალი დატვირთვით მუშაობს, რომ თანხა საპრომონ პერაციებზე განეულ ხარჯებს ვერ ანაზღაურებს. რთულია იმის

დერორიზაციან პროცესი

# მსოფლიო ოსამას შემდეგი

ფუფუნებაში გაზრდილი ბიჭუნა, მიღიარდერი თინეიჯერი, „წმინდა ომების“ ლიდერი და დასავლეთის დაუძინებელი მტერი ლიკვიდირებულია. ვცხოვრობთ თუ არა უფრო უსაფრთხოდ 1 მაისის შემდეგ?

დიანა ჩაჩია



პაკისტანელი უურნალისტი ჰამიდ მირი ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, ვინც ბინ ლადენს 2001 წლის 7 ნოემბერს ინტერვიუ ჩამოართვა. შეხვედრა ქაბულის გარეუბანში ერთ-ერთ სამალავში შედგა. მირი იხსენებს, რომ ბინ ლადენის დაცვამ ის ჯერ აბანოში შეიყვანა და საკუთარი თავის საგულდაგულოდ გაწმენდა აიძულა, რათა მასზე მტვრის რამე ისეთი ნაწილაკი არ ყოფილიყო, რომელიც ამერიკელებს მის მდებარეობას გადასცემდა.

ინტერვიუ საუზმის თანხლებით წარიმართა: ზეთისხილი, ჯემი, კარაქი, უმარილო პური და მწვანე ჩაი, ინტერვიუს მსვლელობისას მირმა ბინ ლადენს დაუსვა კითხვა – ალყაში მოქცევის შემთხვევაში თუ დანებდებოდა მოწინააღმდეგებს. უურნალისტის კითხვას მსოფლიოს ნომერ პირველმა ტერორისტმა ხარხარით უპასუხა: „მე ვარ ადამიანი, რომელსაც სიკვდილი უყვარს. ამერიკელებს სიცოცხლე უყვართ. მე ჩავითრევ მათ და შევებრძოლები. მე არ დავნებდები. თუ სიკვდილი მიწერია, მინდა, ტყვიამ მომკლას.“

2011 წლის 1 მაისს, ამ ინტერვიუდან 10 წლის შემდეგ, ამერიკის სპეციალურმა დანაყოფებმა 54 წლის ისამა ბინ ლადენს სურვილი აუსრულეს და პაკისტანში სპეციალურაციის შედეგად ტყვიით მოკლეს.

ბინ ლადენის მკვლელობის შესახებ მსოფლიოს ამერიკის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ სპეციალური მიმართვით აუწყა: „სამართალი აღსრულდა!“ – წინამორბედი პრეზიდენტის განუხორციელებელი მისია საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე იბამაშ შესარულა.

ბინ ლადენი ისლამაბადიდან 100 კი-

ლომეტრში მდებარე ქალაქ აბათაბადში, სამხედრო აკადემიასთან ახლოს, ჯარისაცებით საესე ადგილას, მილიონი დღლარის ღირებულების რეზიდენციაში ცხოვრობდა. ობამას ადმინისტრაციას ეჭვი ეპარება, „ბინ ლადენს ეს პაკისტანში მხარდამჭერი მთავრობის გარეშე შეძლებოდა.“

ტელეკომპანია CNN ამერიკის მთავრობის წარმომადგენლის ინფორმაციაზე დაყრდნობით იუნიება, რომ სპეციალისტია თავიდანვე ბინ ლადენის მოსაკლავად დაიგეგმა და მის ცოცხლად აყვანას არც გეგმავდნენ.

ობამას ადმინისტრაციას სადაზვერვო ინფორმაცია ოპერაციამდე არც ერთი ქვეყნისთვის არ გაუზიარებია, მათ შორის არც პაკისტანისთვის. ოპერაციის შესახებ აშშ-ის მთავრობაში ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა იცოდა.

პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ პაკისტანს მკაცრი პასუხი მოსთხოვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმაღლებოდა ოსამა ბინ ლადენი მთელი ამ დროის მანძილზე მის ტეროტორიაზე. პაკისტანის პრეზიდენტს, ასიօთ აღი ზარდარის არ განუმარტავს, თუ როგორ ახერხებდა მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი მის ქვეყანაში ასეთ კომფორტში ცხოვრებას. „ბინ ლადენი არ იყო არსად, სადაც გვევრნა რომ იქნებოდა, ახლა ის მევდარია,“ – განაცხად მან. მისი თემით, ის არასოდეს უჭერდა მხარს პაკისტანში ფანატიზმის განვითარებას. „პაკისტანს „ალ ქაიდა“ სხვა ქვეყნების მსგავსად სძულს. ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, როგორც ამერიკის, ისე პაკისტანის ომია“, – განაცხად ზარდარიმ ბინ ლადენის მკლელობის შემდეგ პირველ ოფიციალურ კომენტარში.

ობამას ადმინისტრაცია პაკისტანისთვის ფინანსური დახმარების საკითხის გადახედვას აპირებს. აშშ-ის კონგრესმა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, პაკისტანის დასახმარებლად 20 მილარდი დოლარი გამოყო.

ოსამა ბინ ლადენი შესაძლოა, ცოცხალი ყოფილიყო სპეციალისტიამდე რამდენიმე დღით ადრე, მას რომ WikiLeaks-ის მიერ გამოქვეყნებული ამერიკის

მთავრობის საიდუმლო დოკუმენტები წაეკითხა. მასალებში სავარაუდო ადგილსამყოფელად პაკისტანი მოიხსენიება. დოკუმენტებში ასევე კარგად ჩანს, როგორ აკვირდებოდნენ აშშ-ის სპეციალისახურები ბინ ლადენის კურიერებს, რაც გახდა კიდეც ტერორისტის მოძებნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

გავრცელებული ინფორმაციით, ბინ ლადენი პაკისტანში „ყველაზე ახალგაზრდა მეუღლესთან“ ერთად ცხოვრობდა. სიცოცხლის მანძილზე მას მინიმუმ ხუთი ცოლი ჰყავდა. პირველი მეუღლე სირიელი ბინაშვილი იყო, რომელიც ცოლად 17 წლის ასაკში შეირთო. მეორე და მესამე ცოლები საუდის არაბეთის განათლებული წარმომადგენლები იყენენ.

## ■ ოსამას დედა – ჰამიდა – მოჰამედის 11-დან ერთ-ერთი ბოლო ცოლი იყო, რომელსაც სირიელი წარმომავლობის გამო – „მონას“, ოსამას კი მონის ვაჟს“ ეძახდნენ.

მეოთხე კი თინეიჯერი იუმენელი იყო, რომელიც მან 90-იან წლებში ავღანეთში ცხოვრებისას შეირთო.

ოსამას მამა – მოჰამედ ბინ ლადენი – ყოფილი იუმენელი მუშა იყო, რომელიც მშენებლობის დარგში საუდის არაბეთის უმდიდრეს მაგნატად იქცა. ოსამას დედა – ჰამიდა – მოჰამედის 11 -დან ერთ-ერთი ბოლო ცოლი იყო, რომელსაც სირიელი წარმომავლობის გამო – „მონას“, ოსამას კი „მონის ვაჟს“ ეძახდნენ. ჰამიდა ლამაზი, კოსმოპოლიტი და განათლებული ქალი იყო, რომელმაც ტრადიციული საუდის არაბეთისთვის მიღებული პირბადე შანელის სამოსში გაცვალა. 1957 წელს ჰამიდა მოჰამედს გაეყარა და მალევე ბინ ლადენების კომპანიის აღმასრულებელს გაჰყვა ცოლად.

ბინ ლადენების ოჯახის ლიდერი მოჰამედი 1957 წელს, ისლამური კალენდრით, 1377 წელს მოკვდა. ოსამა მაშინ

11 წლის იყო. მოჰამედმა სახლები ყოფილ ცოლებსაც დაუტოვა, მათ შორის პამიდას, რომელიც იმ დროისათვის ჯერ ისევ მიღიარდებოდა ცოლი იყო. ასეთი მემკვიდრეობის წყალობით ოსამამ ბავშვობა სრულ ფუფუნებაში გაატარა.

ოსამა ბინ ლადენის ცხოვრების ადრეულ წლებში ფანატიზმი მცირე დონით იყო. Al-Thagh-ის ელიტარული სეილის მოსწავლეებს, 13 წლის ოსამას და სხვა პრივატიზირებულ მოსწავლეებს ინგლისურ ენას ბრაიან ფაიფილდ-შეიოლერი ასწავლიდა. დასავლურ მედიასთან საუბარში მასწავლებელი იხსენებს, რომ ოსამა „მორცხვი, მოკრძალებული და ზრდილობიანი“ ბიჭი იყო.

70-იანი წლების დასაწყისი ახლო აღმოსავლეთში კულტურული ცვლილებების პერიოდი იყო. ნავთობიდან შემოსავლებმა, ისრაელთან ომმა და დასავლეთთან კონტაქტების გააქტიურებამ საზოგადოებაში ძველი შეხედულებების გადაფაფასების საჭიროება დააყენა. მოჰამედ ბინ ლადენის შვილების უმრავლესობამ ყველა წამოჭრილ კითხვაზე პასუხი ვესტერნიზაციაში დაინახა, ამიტომაც ზოგი სასწავლებლად აღექ-სანდრიაში Victoria College-ში, ზოგიც პარვარდში, ლონდონში და მაიამიში გაემგზავრა.

თავისი ძებისგან განსხვავებით, ოსამა საუდის არაბეთში დარჩა და მეფე აბდულას სახელობის Aziz University-ში მენეჯმენტის და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაატარა. ამ ეტაპზე იწყება მისი ისლამით დაინტერესება.

მეფე აბდულას სახელობის Aziz University მუსლიმი დისიდენტების ცენტრი იყო. საუდის არაბეთში, უნივერსიტეტების სასწავლო კოლექტივში მუსლიმ რადიკალებს, მათ შორის „მუსლიმთა საძმოს“ ადგილი გარანტირებული ჰქონდათ. ეს რადიკალი მასწავლებელი სტუდენტებს ასწავლიდნენ, რომ დასავლეთის კორუფციული სამყაროსგან თავდასაცავად ისლამის მიმდევრობა აუცილებელი იყო.

მუსლიმი რადიკალების ეს გაკვეთილი ოსამამ კარგად შეისწავლა და საძმოს შეუერთდა. სტუდენტობის პერიოდში მან მნიშვნელოვანი კონტაქტები და-

# მთავარი თემა



11 სექტემბრის ტერაქტი ნიუ-იორკში



ამყარა, მათ შორის პრინც ტურკი იბნ ფაისალთან, რომელიც შემდეგ საუდის არაბეთის დაზვერვის სამსახურის ხელ-მძღვანელი გახდა.

ბინ ლადენისთვის ავლანეთში რუსების წინააღმდეგ ბრძოლა გარდამტეხი ეტაპი იყო. ის მოჯაჭედებს ფინანსურ, ორგანიზაციულ და საინიცინრო დახმარებას უწევდა. ამ პერიოდში მკვლევარი ოსამა მებრძოლთა ლიდერ ისამად გადაიცა.

1989 წელს ის ავლანეთიდან საუდის არაბეთში გმირის სტატუსით დაბრუნდა. თუმცა ერთი წლის შემდეგ ბინ ლადენი სამეფო ოჯახს განუდგა. ოსამა მათ საუდის არაბეთში ისეთივე პან-არაბული დანაყოფის შექმნას სთავაზობდა, როგორსაც ავლანეთში ხელმძღვანელობდა, რაზეც უარი მიიღო. საუდის არაბეთმა ამის სანაცვლოდ დახმარება აშშ-ს სთხოვა.

ბინ ლადენს ისლა დარჩენოდა, ეყურებინა, თუ როგორ შემოდიოდა 300 ათასიანი ამერიკული ჯარი მის ქვეყანაში, როგორ აშენებდნენ ბაზებს, სვამდნენ „კორა კოლას“, ალკოჰოლს და ეფიცენტობდნენ მზეს. ბინ ლადენმა ეს საკუთარ ქვეყანაში აშშ-ის შექრად აღიქვა. უარყოფილმა 33 წლის ოსამა ყურეში რელიგიური მკვლევრების და მუსლიმი აქტივისტების ლობირება დაიწყო. ფუფუნებაში და პრივატ-გირებულ ოჯახში გაზრდილმა ოსამა ბინ ლადენმა მთელი თავისი ქონება

და განათლება დასავლეთთან ბრძოლას შესწირა. ამის წყალობით, ის მსოფლიოში ყველაზე „სასურველ“ ადამიანად იქცა.

როდესაც ოსამამ ამერიკის წინააღმდეგ გაილაშქრა, მისი ქონება ჯერ ისევ ბინ ლადენების ოჯახის ბიზნესის ბალანსზე ირიცხებოდა, რომელსაც ინვესტიციები ამერიკულ ბიზნესში ჰქონდა ჩადებული.

„ეს არცუთ ისე ცინიკურად უდერს. მე შევხვედრილვარ ზოგიერთ ბინ ლადენს. ისინი საკმაოდ სასიამოვნო ხალხია. მათთან ვახშმობისას არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ. თუმცა ისინი საკუთარ თავთან არიან კონფლიქტში. ისინი წინააღმდეგობრივები არიან. მათ სულებში ჩახედვას თუ შეეცდებით, თითოში ორ ადამიანს აღმოაჩენთ,“ – ისენებს ჯექ ბლუმი, სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სპეციალური ნარმომადგენელი.

1996 წლის ოქტომბერში ოსამა ბინ ლადენი ქაბულში თალიბანთან შესახვედრად ჩაივიდა. ეს ბინ ლადენის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ეტაპი იყო, რადგან თალიბანის მხარდაჭერის წყალობით ოსამას მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნისთვის გაეხსნა გზა.

1998 წელს ოსამა ბინ ლადენმა საგანგებო ფატვა გამოსცა: „ჯიჰადის მსო-

ფლიო ფრონტი ებრაელების და ჯვაროსნების წინააღმდეგ“. დოკუმენტს ხელს ბინ ლადენი, ალ-ზავაჰირი და სხვა მნიშვნელოვანი ისლამური მოძრაობების ლიდერები აწერდნენ ხელს. გამოცემა Guardian-ის ცნობით, ამ ფატვას მაშინ დასავლეთში ისლამის ერთ-ერთმა მკვლევარმა „არაბული პროზის მჭევრმეტყველური და პოეტური ნიმუში უწოდა.“

თუმცა ამ ფატვაში პოეტური არაფერი ყოფილა. მასში ეწერა, რომ ამერიკულებისა და მათი მოკავშირების მკვლელობა მუსლიმების მოვალეობა იყო. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებიდან ცოტა ხანში ბინ ლადენი მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ მალე რადიკალური მოქმედებების დრო დადგებოდა.

„როდესაც ლიბანში კოსკების დანგრევას უუყურებდი, მიგზვდი, რომ აგრესორი მსგავსი მეთოდით უწდა დაგვესაჯა – იქაც მაღალსართულიანი შენობები უწდა გაგვენადგურებინა. ისინი უნდა მიმზდარიყვნენ, თუ რა გამოვიარეთ ჩვენ,“ – 2004 წლის 29 ოქტომბერს ტელეკომპანია al-Jazeera-ზე გაფრცელებულ მიმართვაში ბინ ლადენი იხსენებდა, თუ როგორ გაუჩნდა ნიუ-იორკის ტერაქტების იდეა.

ზუსტად არავინ იცის, სად იყო ბინ ლადენი ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრის დანგრევის მომენტში. წყაროების უმე-



ფოტო: იუსტიციის სამინისტრო

აშშ-ს პრეზიდენტი და მისი გუნდი თვალს ადგენებს ბინ ლადენის ლიკვიდაციის ოპერაციას, თეთრი სახლი, 2 მაისი 2011

## ■ ბინ ლადენის მკვლელობა 2012 წლის საპრეზიდენტო

### არჩევნებისთვის ბარაკ ობამას დაცემულ რეიტინგს

საგრძნობლად გაზრდის. თუმცა თალიბანი კვლავ განაგრძოს ჩვეულ საქმიანობას.

ტესობა კანდაკარის სამხრეთით მდებარე უდაბნოს და ორუზგანის მთების ვერსიებს ემხრობა.

სამაგიეროდ, კარგად ახსოვს, სად იყო და რას აკეთებდა 2001 წლის 11 სექტემბერს ბინ ლადენის ნახევარდმას, ჰარავარდის სამართლის სკოლის კურს-დამთავრებულ აბდულას. ტერაქტების შესახებ მან კერძოვის Starbucks-ის ყავის რიგში შეიტყო. ჯერ კიდევ ამ ტერაქტებისთვის რჯახს ენვია და ცდილობდა დაერწმუნონა ისინი, რომ ისამასთან ყველანაირი კავშირი გაეწყვიტათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბდულა შიშობდა, რომ ბინ ლადენების რჯახს და მათი კორპორაციის იმიჯს ზიანი მიადგებოდა.

ბინ ლადენების რამდენიმე-მილიარდიან კორპორაციას ფლობს, რომელიც ისლამურ სამყაროში უმსხვილეს სამშენებლო კომპანიას მოიცავს. დღეისათვის კომპანიას 30 ქვეყანაში 32 ათასი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. გამოცემა New Yorker-მა 2001 წელს ამ ოჯახთან დაახლოებული ერთ-ერთი ვა-

შინგტონელი ლობისტის სიტყვები გამოაქვეყნა: „ბინ ლადენებს კაპიტალიზმის და დასავლეთის ჩემზე უკეთ ესმით და გაცილებით მეტი ფულიც იშვევს.“

ნიუ-იორკის ტერაქტების მომენტში ბინ ლადენების ოჯახის ათობით წარმომადგენერლი აშშ-ში იმყოფებოდა. დაზვერვის ფედერალური ბიუროს ნებართვით, საუდის არაპეტის საელჩომ ისინი სასწავლო შეერიბა, რათა შესაძლო აგრესისგან დაეცვა და ევროპაში გაამგზავრა.

„11 სექტემბრის დროს მუსლიმებს ბოლომდე არ სჯეროდათ, რომ ამ ყველაფრის უკან ბინ ლადენი იდგა. მას ჯერ კიდევ თავისუფლებისთვის შებრძოლის რეპუტაცია ჰქონდა, რომელმაც საბჭოები ავლანეთიდან გაყარა. მათთვის ოსამა გმირი იყო,“ – აღნიშნა CNN-თან ინტერვიუში მიჩიგანის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე ისტორიის ლექტორმა ხუან ქოულმა.

თუმცა 11 სექტემბრის შემდეგ „ალ ქაიდას“ მრავალრიცხოვანმა ტერაქტებმა მუსლიმებს ისამას მიმართ ნდობა

გაუქრო. Pew Research Center-ის ბოლო გამოკითხვა ადასტურებს, რომ მუსლიმურ სამყაროში ოსამას მხარდაჭერის მაჩვენებელი 2003 წლის შემდეგ საგრძნობლად დავარდა. პალესტინაშიც კი, სადაც ოსამას ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავდა, 2003 წლის 72 პროცენტიანი მაჩვენებელი 34 პროცენტამდე დაცუდა.

პირველი კითხვა, რაც ოსამა ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებში დაისვა, ეს იყო: „რამდენად უსაფრთხო გარემოში გვიწევს ცხოვრება ახლა?“ მოკლევადიან პერსპექტივაში, ვარაუდობენ, რომ „ალ ქაიდას“ ლიდერის მკვლელობა საპასუხო დარტყმებს გამოიწვევს. BBC-ის თანახმად, ალ ქაიდას ლიდერის სიკვდილის გამო, პაკისტანელი თალიბები აშშ-ის მთავრობას შურისძიებით ემუქრებიან. ამის მოლოდინი ამერიკის მთავრობას ბინ ლადენის მკვლელობის მომენტიდან გაუჩინდა, რის გამოც მთელი მსოფლიოს მასშტაბით უსაფრთხოების ზომები გააძლიერა.

თუმცა ექსპერტების გრძელვადიანი, ოპტიმისტური გათვლებით, ოსამა ბინ ლადენის თავიდან მოცილება, დროთა განმავლობაში „ალ ქაიდას“ სახელის გავლენას შეამცირებს.

ერთი რამ, რაშიც ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, არის ის, რომ ბინ ლადენის მკვლელობა 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ბარაკ ობამას დაცემულ რეიტინგს საგრძნობლად გაზრდის. თუმცა არც ის იწვევს ეჭვს, რომ ბინ ლადენის სიკვდილის მოუხედავადაც, თალიბანი და მისი ქვედაჯგუფები კვლავ განაგრძობენ ჩვეულ საქმიანობებს.

„ალ ქაიდას“ შესაძლოა, აღარ არის იმ სიძლიერის ორგანიზაცია, როგორც საბეჭის პერიოდში იყო, თუმცა ნაკლებად ოპტიმისტი ექსპერტების შეფასებით, თანამედროვე „ალ ქაიდა“ არაანაკლები საფრთხის შემცველ ტერორისტულ დაჯგუფებად იქცა. ოსამა ბინ ლადენის უმთავრეს მიღწევად სწორედ იმას მიიჩნევენ, რომ მან შეძლო შეექმნა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც თავისი მიზნების მიღწევა მის გარეშე, დამოუკიდებლადაც შეუძლია. ■

თვალსაზრისი

## აფხაზეთი ცივილიზაცია

აფხაზეთის მცდელობები – ფანჯარა გაჭრას და სავლეთში და მოიზიდოს უცხოელი  
ინვესტორები – უშედეგო იქნება, ვიდრე ქვეყნის შიგნით „თამაშის“ წესები არ შეიცვლება.

### ინალ ხაშიგი

აპრილში ოფიციალური სოხუმი ძალიან აქტიური იყო. პრეზიდენტი ბადაფში თურქეთში ჩავიდა, სოხუმს ისრაელის მთავრობასთან დაახლოებული ისრაელელი ბიზნესმენები სტუმრობდნენ, მანამდე კი აფხაზეთში წარმომადგებლობითი გერმანული დელეგაცია ჩამოვიდა, რომლის შემადგენლობაში გერმანიის ზოგიერთი მინის მინისტრებიც კი იყვნენ. ამ ვიზუტების შემდეგ ზოგიერთმა ექსპერტმა თქვა, რომ სოხუმმა სხვა, არარუსულ სამყაროში ფანჯრის გაჭრა დაიწყო.

საქმაოდ ოპტიმისტური პროგნოზია და იმისთვის, რომ იგი გამართლდეს, რამდენიმე ფაქტორის თანხვედრაა აუცილებელი.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ამ „დანარჩენი“ მსოფლიოს პოზიცია. დასავლეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ აფხაზეთის მიუღებლობასთან დაკავშირებით მისი მკაფიო პოზიცია, რომელიც არა იმდენად საქართველოს მიმართ სიმპათით, რამდენადაც კრემლის მიმართ მტრული დამოკიდებულებით უფრო ნაკარნახევი, სრული უგუნურებაა და გაუმართობულია თუნდაც უკიდურესად რუსოფონბული გადმოსახედიდანაც.

ათონდე წლის წინ რუსეთი ისევე შორს იყო აფხაზეთისგან, როგორც აშშ და ევროპა. შესაძლოა, ვინმეს დაავინაყდა, რომ მოსკოვი მაშინ აფხაზეთს ახრჩიობდა, როგორც მოსისხლე მტერს. ბლოკადა, რომელსაც კრემლი სოხუმს უწყობდა, ისრაელის მიერ პალესტინის-თვის მოწყობილ ბლოკადას ჰგავდა. 16-დან 60 წლამდე მამაკაცებისთვის გზა მდინარე ფსოუს რუსული ნაპირისკენ ჩაკეტილი იყო. იმ პროდუქტების სია,

რომელთა შემოტანა ან გატანა შეიძლებოდა რესპუბლიკიდან, ქალალდის პატარა ნაგლეჯზე ეტეოდა.

თუმცა, ელცინის შემდეგ პუტინი მოვიდა და პერმანენტული მათრახის პოლიტიკა, თავდაცევერის პოლიტიკაში. თავდაცევერის პოლიტიკურად, ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად და ასე შემდეგ, თანდათანიბით რუსულ სივრცეში ინტეგრირდა.

და რას აკეთებდა ამ დროს დასავლეთი? იგი, რუსეთის ჯიბრით, არც კი

■ **მოსკოვი აუცილებლად იქვინებს აფხაზეთისა და დასავლეთის ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში.**  
**თუმცა იმის თქმა, რომ მოსკოვს საერთოდ არ უნდა ეს კონტაქტი, არ შეიძლება.**

იმჩნევდა აფხაზეთს. როგორც ჩანს, ამ ბოლო დროს დასავლეთმა გააცნობიერა, რომ კონდუქტორზე გაბრაზების გამო ფეხით სიარული სისულელეა. თუმცა, ერთი საქმეა ამის გააზრება, ხოლო მეორე – კონკრეტული ქმედებები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირში აზრთა სხვადასხვაობაა, ხოლო ამერიკული ელიტა ზედმეტად ჯიუტია, უმოქმედობას დასავლეთის მხრიდან კიდევ დიდასწანს უნდა შევეგუოთ.

მეორე ფაქტორი, რომელიც აუცილებელია „დანარჩენ“ სამყაროში ფანჯრის

გასაჭრელად, არის რუსეთი. მოსკოვი აუცილებლად იქვინებს აფხაზეთისა და დასავლეთის ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში. თუმცა იმის თქმა, რომ მოსკოვს საერთოდ არ უნდა ეს კონტაქტი, არ შეიძლება. ეს რომ ასე იყოს, ვერანაირი ისრაელელები და გერმანელები აფხაზეთში ფეხს უერ შემოადგამდნენ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ უცხოელი სტუმრები სოხუმში სწორედ მოსკოვი-დან ჩამოვიდნენ.

თუმცა, ცხადია, ამ პროცესის თვითდინებაზე მიშვება კრემლს არაფერში სჭირდება. მის მიერ მოვლილ-მოხნულ ბოსტანში უცხო პირთა შემშვება და მით უმეტეს, მათვის რამე ზედმეტი ფუნქციების მინიჭება აუტიკვარი თავის ატკივება. თანაც, მაშინ, როცა ამ „ბოსტანში“ ყველაფერი გადასარევად მიდის – მაგალითად, სულ ახლახან პრეზიდენტმა ბალაფშა რუსულ განეთთან ინტერვიუში თქვა, რომ აფხაზეთის დედაქალაქი მოსკოვია. ასეთი სამოთხის დაკარგვას კრემლი არ დაუშვებს.

და მესამე ფაქტორი, რომელიც აფხაზეთის დასავლეთთან კავშირისთვის არის აუცილებელი, თავად აფხაზეთია. შორეულ პერსპექტივაში, სწორედ აფხაზი ხალხის ნება და გონიერება გახდება დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობის წარმმართველი. ერთი საქმეა რიტორიკა – ლამაზი სიტყვები მრავალვექტორიან საგარეო პოლიტიკაზე, დასავლური ინცესტიციების აუცილებლობაზე, დემოკრატიაზე და მეორეა – კონკრეტული საქმეები.

რეალურად, ძნელია აფხაზეთში ბიზნესის კეთება. წარმოვიდგინოთ სიტუაცია: მაგალითად, გერმანულ კომპანიას აფხაზეთში საინვესტიციო პროექტის

რეალიზება სურს. წარმოვიდგინოთ, რომ ამაზე კრემლის მდუმარე თანხმობაც არსებობს.

და, აი, ჩამოდიან გერმანელები სოხუმში. ხვდებიან პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის სპიკერს... მოკლედ, ყველა საჭირო ჩინონიკს. მეგობრულ ატმოსფეროში გამართული ამ შეხვედრების შემდეგ, ისინი მიღებენ ზეპირ გარანტიებს, ხელი მოეწერება ყველა საჭირო დოკუმენტს. ისინი ბრუნდებიან გერმანიაში და ჩამოაქვთ ფული. და უკვე ამის შემდეგ იწყება რეალობა – „ნამიოკები“, რომლებიც ხავერდოვნად გადაიზრდება წილების, „ოტკატების“, ქრთამების მოთხოვნებსა და მუქარებები. თუ გერმანელები ამას კაბინეტში ვერ გაიგინენ, მათ უკვე ქუჩაში აუხსიან. აյ პრეზიდენტიც ვერაფერს გახდება, რადგან კერძო ინტერესი აფხაზეთში თითქმის კონსტიტუციურ ნორმად იქცა. სისტემაა ასე მოწყობილი. ამ სისტემის მოშლა არავის

უნდა. იმის გამო კი არა, რომ სრულიად უსინდისოები არიან, უპრალოდ, არ იცავს სხვანაირად როგორ უნდა იყოს.

ოთხი წლის წინ ბიჭვინთაში ეკონომიკური ფორუმი მიმდინარეობდა, რამდენიმე ათეული რუსი ბიზნესმენის მონაწილეობით. ფორუმზე სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ბალაფში და აფხაზეთის მთავრობის წევრები. ისინი ჰყვებოდნენ შეღავათიან პირობებზე უცხოური ინვესტორებისთვის, დაბალ გადასახადებზე, იაფ სამუშაო ძალაზე, ძალიან იაფ ელექტროენერგიაზე და სახელმწიფოს სურვილზე, ხელი შეუწყოს ინვესტორებს, რადგან „ქვეყანას ძალიან სჭირდება ინვესტიციები“. შესვენების დროს მავიდასთან, სადაც მე ნაცინობ რუს ბიზნესმენთან ერთად ვიჯვექი, რომელიც მანამდე 2 წელი უშედეგოდ ცდილობდა აფხაზურ ბაზარზე დამკვიდრებას, ფორუმის ერთ-ერთი რუსი დელეგატი დაჯდა. იგი პირველად იყო აფხაზეთში. ბუნებამ და ტკბილისტყვაობამ თავისი

ეფექტი მოახდინა. ახალბედა ბიზნესმენი აღფრთოვანებული იყო და მომავლის გეგმებს სახავდა. ეგონა, რომ თავისი ელდორადო იპოვა. „ერთს გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე – არ გეგონოს, რომ აյ გომები არიან,“ – გააფრთხილა იგი ჩემმა თანმხლებმა ბიზნესმენმა.

შემდეგ კიდევ რამდენჯერმე შევხვდი იმ აღტკინებულ ბიზნესმენს. როგორც ჩანს, ბიჭვინთაში შეხევდრის შემდეგ ვიღაცას აშკარად მინაზე დაუნარცხებია იგი. არც კი მიკითხავს, როგორ მიდიოდა მისი ბიზნესის საქმე, რადგან ისედაც კარგად ვიცი, როგორ შეიძლება წავიდეს ბიზნესის საქმე აფხაზეთში. █

 HEINRICH BÖLL STIFTUNG  
საბოლოო ასოციაცია

სტატია მოშავებულია ჰაინრიხის ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხის ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

## Radio Commersant



ბიზნესის პირსონალური რალი

Commersant.ge

იცხვილობის შემთხვევაში

# თვითმავალობა თუ ჩატარები შემთხვევაში

თავში დაჭრილი ვასილ სანოძე ცოცხალია, თუმცა შეძლებს თუ არა ის სრულფასოვანი ცხოვრების გაგრძელებას, ექიმებისთვის უცნობია.

## ნინო რობაქიძე

3 მაისს, გამთენისას, ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ექიმებმა გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ვასილ სანოძეს.

იმ დღით ეროვნული სამედიცინო ცენტრის ეზო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების მაღალჩინოსნებმა შეაცეს. საავადმყოფოს ტერიტორიაზე, მედცერსონალისა და სპეციალური საშვების მქონე პირების გარდა, შესვლა ყველას აეკრძალა, მათ შორის, უურნალისტებსაც.

„როდესაც პაციენტი მოიყვანეს, მაშინვე გავრცელდა საავადმყოფოში ხმა, რომ შსს-ს თანამშრომელი იყო, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა,“ – აცხადებს ღუდუშაურის სახელობის სამედიცინო ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი „ლიბერალთან“ საუბარში.

დღის პირველ ნახევარში მაღალჩინოსნის დაჭრას უურნალისტებს არავინ უდასტურებდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამით მომზდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ შუადლისას გაავრცელა. შსს-ს ცნობით, მოხდა უბედური შემთხვევა და ვასილ სანოძეს საკუთარი ტაბელური ცენტრის ექიმებმა გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ვასილ სანოძეს.

ვერსია. თუმცა შსს-ში ვერ განმარტავენ, როგორ შეიძლებოდა ადამიანს, რომელსაც იარაღთან ყოველდღიური ურთიერთობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს, საკუთარი ტაბელური პისტოლეტიდან ტყვია საფეხულებში გამოიიტანა. მაგალი ჭრილობა. შებლის მარცხენა ნაწილში კი – გამავალი. ნანავას თქმით, ჭრილობის ტრაექტორია იყო ოდნავ ქვემოდან ზემოთ.

ექსპერტ-კრიმინალისტის, გია გოგიას განმარტებით, ასეთ შემთხვევებში გამოძიებაში ჩართული უნდა იყოს როგორც სასამართლო ბალისტიკური, ისე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნა, როგორც წესი, მყარ საფუძველს იძლევა, რათა კონკრეტულად დადგინდეს, დაზარალებულმა თვითმკვლელობა სცადა, თუ ინციდენტი გაუფრთხილებლობის გამომხდა.

მაშინ, როდესაც ვასილ სანოძის ოთახში სროლის ხმა გაისმა, წერეთლის გამზირზე მდებარე სახლში დაზარალებულთან ერთად ოჯახის სხვა წევრებიც იმყოფებოდნენ. არც ერთ მეზობელს გასროლის ხმა არ გაუგია. მათ სანოძების ბინიდან მხოლოდ ოჯახის წევრების ყვირილი გაიგეს, იმ დროს როცა მათ დაჭრილი შეილი იპოვეს.

მეგობრების ინფორმაციით, იარაღი ვასილ სანოძის სახლში დაბრუნებიდან ნახევარი საათის შემდეგ გავარდა.

ის საღამო შსს გენერალური ინსპექციის უფროსმა მეგობრებთან ერთად გაატარა. მეგობრები შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, შემთხვევით მოხვედროდა.



ვასილ სანოძე

ნისტრის მეუღლის, თაკო სალაყაიას ბიძაშვილის, გიორგი ჯანჭველაძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ.

ვასილ სანოძის მეგობრები, რომლებიც უბედური შემთხვევის საღამოს მასთან ერთად იყვნენ, იხსენებენ, რომ სანოძე კარგ ხასიათზე იყო და ის სახლამდე მეგობარმა, თბილისის საპატრულო პოლიციის შეფარვის გოგა გრიგალაშვილმა მიიყვანა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესიუსი“ იუწყებოდა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სუფრის წევრები, მათ შორის, ვასილ სანოძეც, დაახლოებით დილის 4 საათის-თვის გამოვიდნენ რესტორან „პურის

სააკაშვილის სპეციალური დავალებით 2004 წელს აჭარაში, საბაჟო სამსახურის და ბათუმის პორტის გასაკონტროლებლად გაგზავნეს. ამ ნაბიჯით მიხეილ სააკაშვილი აჭარის ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების გაძლიერებას ცდილობდა.

სანოძე ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა 2006 წელს, როცა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ღამეს იმ სუფრასთან იჯდა, რომელთანაც მოკლულ გირგვლიანს შელაპარაკება მოუვიდა. ვასილ სანოძე ამ ფროს შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და

**■ შსს-მ კატეგორიულად უარყო თვითმკვლელობის ვერსია.  
თუმცა ვერ განმარტავენ, როგორ შეიძლებოდა ადამიანს,  
რომელსაც იარაღთან ყოველდღიური ურთიერთობის  
რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს, საკუთარი ტაბელური  
პისტოლეტიდან ტყვია საფეხულთან შემთხვევით  
მოხვედროდა.**

სახლიდან“. თუმცა რესტორნის ადამინისტრაცია ამ სტუმრების რესტორნაზე ყოფნის ფაქტს არ ადასტურებს.

3 მაისის საღამოსთვის გავრცელდა ინფორმაცია, რომ სანოძის მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო და რეანიმაციულ განყოფილებაში ის სასუნთქ აპარატზე იყო შეერთებული.

გადაუდებელი ოპერაციის დასრულების შემდეგ ვასილ სანოძე ღუდუშაურის სახელობის კლინიკან სასწრაფო დახმარების მანქანით და შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გადაიყვანეს, საიდანაც ის სპეციალური რეისით ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში მეურნალობის გასაგრძელებლად გადააფრინეს.

ვასილ სანოძე საჯაროდ პირველად „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გამოჩნდა. ის და თავდაცვის ახლანდელი მინისტრი დათა ახალაია პრეზიდენტ

სწორედ მის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ „შარდენ-ბარში“ შეკრებილი თანამშრომლები, მათ შორის, დათა ახალაიაც. იქვე იყო შს მინისტრის მეუღლე, თაკო სალაყაია. ვასილ სანოძე სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით დაკითხეს, თუმცა გირგვლიანის ადვოკატებსა და მეგობრებს ის მკვლელობის ერთ-ერთ დამკვეთად მიაჩინათ. მაშინ სანოძემ და ახალაიამ „მორალური პასუხისმგებლობის“ გამო თანამდებობები დატოვეს, თუმცა მალევე ორივე მაღალიჩნოსანი თანამდებობებზე აღადგინეს.

ვასილ სანოძო საჯაროდ ბოლოს 2009 წელს გამოჩნდა. ოპოზიციური საპროტესტო აქციების დროს ის ტელეკამერებმა მაშინ დააფიქსირეს, როდესაც პარლამენტთან შეკრებილ მომიტინგებს ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე შენობის ფანჯრიდან წყლით საცის ცელოფნის პაკეტებს ესროდა. **ც**



## სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ  
ჟურნალი „ლიბერალი“  
თითქმის ნახევარ ვასაც!

## ლეიტური ხელმოწერა მეოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“  
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი  
ყოველ ორშაბათს  
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
**(899) 48 62 41**  
ან მოგვაწოდეთ თქვენი  
საკონტაქტო ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: **subscribe@liberali.ge**



ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე

# "სომხეთის ტანახი"

5 წლის წინ კორტეპთან ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის საქმე ისე დაიხურა, რომ არავინ დასჯილა. სარჩელი სახელწოდებით „ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ“ უკვე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან ელოდება საკუთარ განაჩენს.

**სოფო ბუკია, რუსულან ფანოზიშვილი**

2006 წლის 2 მაისს, დაახლოებით დღის 10 საათზე, ივლიტა გაჩერილაძეს, რომელიც მტკვრის ქუჩა № 6-ში ცხოვრობს, ქუჩიდან სროლის ხმა შემოესმა. მისი ფანჯრები სანაპიროზე გადის, საიდანაც კარგად ჩანს „დინამოს“ კორტეპი და მიმდებარე ტერიტორია.

ფანჯრიდან მან ათამდე ხაკისფერ-ფორმიანი და ნიღბიანი ადამიანი დაინახა, რომლებიც მუქი ფერის უცხოური მარკის ავტომანქანას უახლოვდებოდნენ. ავტომანქანა არ მოძრაობდა – იგი კორტეპის კედელთან ბოძს ცხვირით იყო შევახებული. სროლის ხმა კორტეპის მხრიდან, ანუ კედლის შიგნიდან გამოდიოდა. ივლიტა გაჩერილაძე, რომელიც მოვლენებს თავიდან ბოლომდე ადევნებდა თვალს, ამბობს, რომ ავტომანქანიდან სროლის ხმა არ გაუგია. მან ავტომანქანის უკანა სალონიდან გადმოვარდნილი ადამიანი დაინახა. გაჩერილაძე დარწმუნებულია, რომ ამ ადამიანს ხელში არაფერი ეჭირა. ივლიტა გაჩერილაძეს არ გაუგია სამართალდამცავთა მხრიდან რაიმე მოწოდება გაჩერების ან დანებების შესახებ.

იგი იხსენებს, რომ იმ დღეს ქუჩაში ხალხმრავლობა იყო. ამ ყველაფერს კინოკამერით სამოქალაქო ტანსაცმელში ჩატარდული ადამიანი იღებდა.

იმ დღეს, 2 მაისს, დღით, ზურა ვაზაგაშვილის დედა ტელევიზორს უყურებდა, როცა საინფორმაციო გამოშვებაში „ყაჩაღებზე განხორციელებულ სპეციალურაციაზე“ მოისმინა. კადრებს

რომ შეხედა, საკუთარი შვილის ჩაცხრილული მანქანა ამოიცნ.

უკვე ხუთი წელია, „დინამოს“ კორტეპთან, იმ ადგილას, სადაც მუქი ფერის BMW ბოძს შეეჯახა, ზურა ვაზაგაშვილის მშობლები წელინადში ორჯერ იყრიბებიან: მის დაბადების დღეს – 9 თებერვალს, და გარდაცვალების დღეს – 2 მაისს. გასულ კვირას იქ ასეულობით ადამიანი მივიდა – განათების ბორის ყვავილებს ალაგებდნენ და სანთლებს ანთებდნენ.

2006 წლის 2 მაისს შსს-ს კრიმინალური პოლიციის მიერ კორტეპთან ჩატარებულ სპეციალურაციას ზურაბ ვაზაგაშვილის და ალექსანდრე ხუბულოვის სიცოცხლე შეეწირა. სპეციალურაცია, რომელსაც „კორტეპის ტრაგედია“ შეარქევს, სანდრო გირგელიანის და ბუტარებულის მკლელობებთან ერთად, ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ საქმედ იქცა, რომელიც თავის განაჩენს ახლა უკვე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან ელოდება.

სარჩელი სახელწოდებით „ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ“ სტრასურგში მას შემდეგ მოხვდა, რაც საქართველოში ეს საქმე გამოიიტა და დახურულად ისე გამოცხადდა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის ფაქტზე არავინ დასჯილა.

2006 წლის 2 მაისს, შსს-ს სპეციალურაციიდან რამდენიმე საათში, საგანგებო ბრიფინგზე კრიმინალური პოლიციის უფროსმა ირაკლი ქადაგიძემ გამართა.

მან თქვა, რომ „მაკაროვის“, „ჩე-ზეს“ და „ვალტერის“ სისტემის ოთხიპისტოლეტით შეიარაღებული დამნაშავეები შავი ფერის BMW-ს მარკის ავტომანქანით ბარათაშვილის ხიდის მიმართულებით მოძრაობდნენ. სპეციალურაცია დაახლოებით 9 საათსა და 45 წუთზე თავისატული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა. ამ ინფორმაციის თანახმად, ყაჩაღური ჯგუფის წევრები ერთ-ერთი ბინის დასაყაჩაღებლად მიღიოდნენ. ხუბულოვისა და ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია კი გარდაუვალი იმიტომ გახდა, რომ მათ სპეციალური დაიმშნულების რაზმს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

სისხლის სამართლის საქმე თრი მიმართულებით აღიძრა. შსს-ს კრიმინალურმა პოლიციამ დაიწყო გამოძიება ხუბულოვის, ვაზაგაშვილისა და ფუთურიძის მიერ ყაჩაღური თავდასხმის მომზადების ფაქტზე, ხოლო მოგვიანებით პროკურატურამ იმის გარკვევა სცადა, დაარღვია თუ არა პოლიციამ კანონი სპეციალურაციის ჩატარების დროს. თუმცა, არც ერთი ეს საქმე ბოლომდე გამოძიებული არ არის.

პროკურატურამ, რომელიც ამ საქმეს იძიებდა, ზუსტად იგივე ვერსია გაიმეორა, რომელიც სპეციალურაციის დღეს შსს-ს მაღალიჩინოსანმა ბრიფინგზე გამოთქვა.

საქმეში არსებული შეუსაბამობების გათვალისწინებით, ასევე სრულიად ბუნდოვანი რჩება პასუხი კითხვაზე –

# ადამიანის უფლებები

მართლა მიდიოდნენ თუ არა ვაზაგაშვილი და მისი თანხმლები პირები ბინის დასაყჩაღებლად?

ოფიციალური ვერსიით, კორტებთან სპეცოპერაციის ჩატარების მიზეზი შეს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამქებრო სამართველოს მე-6 განყოფილების უფროსის მოადგილის მიერ 2006 წლის 2 მაისს შედგენილი პატაკი გახდა.

პატაკში წერია: „მიღებული ოპერატორი ინფორმაციით, ვაკე-საბურთალოს რაიონში მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ა. ხუბულოვმა, ზ. ვაზაგაშვილმა და ბ. ფუთურიძემ, ასევე ჯერჯერობით დაუდგრელ სხვა პირთან ერთად, მოამზადეს ყაჩალური თავდასხმა თბილისში, საგარაუდოდ, ისანი-სამგორის რაიონში, ჯერჯერობით დაუდგრელ პირებზე. მიმდინარე წლის 2 მაისს მითითებული პირები

ინფორმაციაზე, რომელიც მხოლოდ ერთი დღის შემდეგ – 2 მაისს გაიგო.

კრიმინალური პოლიციის უფროსის ირაკლი ქადაგიძის მიერ 1 მაისს დამტკიცებული ბრძანების მიხედვით, „ყაჩალების“ წინააღმდეგ სპეცოპერაციის-თვის დაახლოებით ათვაციანი ოთხი ჯგუფი იქმნება. 40-მდე შეიარაღებული თანამშრომელი „ჯერჯერობით დაუდგრელ“ რაიონში, „ჯერჯერობით დაუდგრელ“ პირებზე „ჯერჯერობით დაუდგრელ“ პირთან ერთად საყაჩალოდ წასული სამი ადამიანის სათვალთვალოდ მიდის.

პირველ ინფორმაციებში, რომლებიც 2 მაისს სპეცოპერაციის შესახებ გავრცელდა, მხოლოდ ხუბულოვის გვარი ფიგურირებდა. ვინ იყო მეორე ჩატრილული ახალგაზრდა, პოლიცია ამის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებდა. დაცვის მხარე ვარაუდობს, რომ ეს ინ-

22 წლის ზურა ვაზაგაშვილი თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობდა. პარალელურად კი, თბილისში, ამბორლაურის ქუჩაზე საკუთარი კაფე ჰქონდა გახსნილი. ახლა, ამ ადგილას არასამთავრობო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ სიცოცხლე“ ოფისია, რომელიც ზურას გარდაცვალების შემდეგ მამამისმა იური ვაზაგაშვილმა დააფუძნა. ოფისი ზურას სიკვდილთან დაკავშირებული დოკუმენტებით, მტკიცებულებებით, ვიდეო და ფოტომასალებით არის საცს.

„სიკვდილის დღეს ზურა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გამოცდებზე მიდიოდა. დილით შეყვარებული გაიყვანა ინსტიტუტში, თვითონ კი დაიბარა, მალე დაებრუნდებიო“, – იხსენებს იური ვაზაგაშვილი.

ზურაპ ვაზაგაშვილი ნასამართლევი



შეს სპეცოპერაცია კორტებთან. სპეცოპერაციის ადგილი და შეს-ს კადრები შემთხვევიდან რამდენიმე წუთის შემდეგ.



იკრიბებიან საბურთალოს ქუჩაზე სახანძროს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამავე ინფორმაციით, შესაძლებელია, ისინი გადაადგილდნენ მუქი ფერის BMW-ს მარკის ავტომანქანით. აღნიშნულს გაცნობებთ შემდგომი რეაგირებისთვის“.

„რეაგირება“ ოპერატორული სამქებრო ღონისძიებების ჩატარებულ კონკრეტული გეგმის შედგენას გულისხმობს. შეს-ს დოკუმენტებში ეს გეგმა მართლაც არსებობს, ოღონდ, იგი 1 მაისით თარიღდება. გამოიდის, რომ კრიმინალურმა პოლიციამ 1 მაისს შეადგინა ოპერატორული ღონისძიებების გეგმა იმ

ფორმაცია მას არც ჰქონდა.

ავტომანქანაში მჯდომი კიდევ ერთი ადამიანი – ბუბა ფუთურიძე მიმდებ დაიჭრა. მან მოგვანებით დანაშაული აღიარა და პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა: „შემომთავაზეს, დაგვეყყაჩალებინა ვინმე... ზუსტი სახელი მე თვითონ არ ვიცი... ამისათვის შევიძინეთ რამდენიმე იარაღი...“ – უთხრა მან სამართლდამცავებს.

ფუთურიძე ციხიდან უკვე გამოუშვეს, თუმცა ვაზაგაშვილის ოჯახს მასთან კონტაქტი არ აქვს და მისი ადგილსა-მყოფელის შესახებ არაფერი იციან.

არ ყოფილა. ნასამართლევი იყო მისი მეზობელი ალექსანდრე ხუბულოვი, რომელიც, პოლიციის მოხსენების მიხედვით, შემთხვევამდე 3 თვით ადრე გამოვიდა ციხიდან. „სინამდვილეში, ესეც ტყუილია. ხუბულოვი არასრულწლოვანი იყო, ციხეში რომ ჩასვეს. ამ შემთხვევიდან 3 თვის კი არა, 3 წლის წინ გამოვიდ ციხიდან. მას შემდეგ ცოლიც შეირთო და ორი შვილიც დარჩა. 3 თვეში როგორ მოასწრებდა?“ – ამბობს ვაზაგაშვილის მამა.

სამქებრო პოლიციის მიერ შედგენილ პატაკში და მოგვიანებით ნაციონალურ ტელერაზებზე გავრცელებული ინფორ-

მაციით, ვაზაგაშვილი, ხუბულოვი და მათი სხვა თანამოაზრები ყაჩალური დაჯერების წერტილი იყენენ და ერთად მორიგ დანაშაულს გეგმავდნენ.

იური ვაზაგაშვილი მათ სიკვდილა-მდე ბოლო სამი თვის სატელეფონო საუბრის ჩანაწერების სის გვირვენებს, რომელიც სტრაბურგშიც არის ვაგზა-ვნილი. ამ ჩანაწერების მიხედვით, ვაზა-გაშვილსა და ხუბულოვს ერთმანეთთან 3 თვის მანძილზე ტელეფონზე ერთხე-ლაც არ უსაუბრიათ. პირველად სწო-რედ 1 მაისის, სიკვდილის წინა ღამეს დაურეკა ხუბულოვმა ვაზაგაშვილს, თუმცა ეს სატელეფონო ჩანაწერი პოლიციას დღემდე არ გაუხმაურებია და ისევ საიდუმლოდ რჩება, თუ რაზე ისაუბრეს მათ 117 ნამის განმავლობაში. პოლიციამ მხოლოდ 2 მაისს დღილით ჩა-ნერილი საუბარი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, ხუბულოვი ვაზაგაშვილს

რაც მძიმე დანაშაულია და პოლიციამ ვაზაგაშვილის მისამართი იცოდა, რა-ტომ არ დააკავა იგი მანამდე და რა-ტომ დასჭირდა ამისთვის კორტებთან სისხლიანი სპეციალერაცია?

კორტებთან მომხდარი ამბავი პირვე-ლი სპეციალერაცია არ ყოფილა, რომე-ლიც იმ პერიოდში შე მინისტრის, ვანო მერაბიშვილის უწყებამ მსხვერპლით და-ასრულდა. „საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაციის“ ინფორმაციით, 2006 წელს პოლიციის სპეციალერაციებს სულ მცირე 24 ადამიანი ემსხვერპლა. გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის საქ-მებთან ერთად, იმ დროით თარიღდე-ბა ასევე ამირან რობაქიძის, გიორგი თელას (2006 წლის 16 თებერვალი), კიზირას (2006 წლის 25 თებერვალი) გახმაურებული საქმეებიც.

„საქართველოს ახალგაზრდა იუ-რისტთა ასოციაცია“, რომელმაც სხვა

იურისტებთან ერთად ასევე ჩაატარა ვაზაგაშვილის საქმის სამართლებრივი ქსეპერტიზა, თავის განცხადებაში აღ-მიშნავდა, რომ სამართლდამცავ სტრუ-ქტურებში დამნაშავე პირთა დაუსჯე-ლობამ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი დაამკვიდრა და იმის გან-ცდა, რომ მიუხედავად ჩადენილი და-ნაშაულის სიმძიმისა, „პოლიციელი ყო-ვლოვის მართალია“.

2006 წლის 24 თებერვალს, კორტე-ბის სპეციალერაციამდე 2 თვით ადრე, როდესაც სანდრო გირგვლიანის მკვ-ლელობის გამო პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრი დაიბარა, ვანო მერა-ბიშვილს შეკითხვა დაუსვეს ერთ-ერთ სპეციალერაციაზე, რომელიც პოლიციის მიერ დამამავედ მიჩნეული ადამიანის ლიკვიდაციით დასრულდა. პასუხად, მი-ნისტრმა განაცხადა:

„დიახ, ჩვენ ზოგჯერ ოპერაციების



## შეხვედრაზე უთანხმდება.

პოლიციის ვერსიით, ამ „ყაჩალურ დაჯერებას“ კორტების ინციდენტამ-დე რომ დღით ადრე – 30 აპრილს ერთ-ერთი ლომბარდის დაყაჩალებასთან ჰქონდა კავშირი. ვაზაგაშვილის მამა ამბობს, რომ 30 აპრილს ზურა მეგო-ბრის ქორწილში მეჯვარე იყო და ამის უამრავი მონმე არსებობს.

საინტერესო აქ ისიც არის, რომ ოპე-რატორულ გეგმაში, რომელიც შსს-ს ვერ-სიით, 1 მაისს შედგა, ზუსტად არის მითითებული ზურაბ ვაზაგაშვილის სახლის მისამართი. თუ ვაზაგაშვილ-მა 30 აპრილს ლომბარდი დაყაჩალა,

**■ ჩანაწერების მიხედვით,  
ვაზაგაშვილსა და ხუბულოვს  
ერთმანეთთან 3 თვის მანძილზე  
ტელეფონზე ერთხელაც  
არ უსაუბრიათ. პირველად  
სწორედ 1 მაისის, სიკვდილის  
წინა ღამეს დაურეკა  
ხუბულოვმა ვაზაგაშვილს,  
თუმცა ეს სატელეფონო  
ჩანაწერი პოლიციას დღემდე  
არ გაუხმაურებია.**

განხორციელების დროს გვიწევს დამნა-შავების ადგილზე ლიკვიდაცია. ეს არის ჩვეულებრივი, კლასიკური ინსტრუქცია, რომ თუ პოლიციელს ემუქრება საფრ-თე, პოლიციელს არათუ უფლება აქვს, ვალდებულია გამოიყენოს იარაღი. რა თქმა უნდა, პოლიციელმა უნდა დაიცვას კანონი და თქვენ თუ გექნებათ თუნდაც ერთი ფაქტი პოლიციელის მხრიდან ვინმეს ლიკვიდაციის დროს უფლება-მოსილების გადამეტების შესახებ, ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ და, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ადამიანი დაისჯება.“

ათი დღით ადრე – 2006 წლის 14 თე-ბერვალს, პარლამენტში საგაზაფხულო

# ადამიანის უფლებები

სესიაზე გამოსვლისას პრეზიდენტი სა-აკაშვილი „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის დანერგვის წინადადებით გამოვიდა. მისი ინიციატივით სისხლის სამართლის კოდექტში უნდა შესულიყო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც, წერილმან დანაშაულზეც კი უნდა გაუქმდებოდეს პირობითი სასჯელი: „მე ვაცხადებ ნულოვან ტოლერანტულობას წვრილმანი დანაშაულისთვისაც კი... ქურდები, მძარცველები, ყველა მათგანი ციხეში უნდა წავიდეს... მათ მიმართ ტოლერანტობა არ უნდა იყოს... ეს ყველამ უნდა გაიგოს, სასამართლომაც და ყველამ“, – სააკაშვილის გამოსვლა იმ

დღეს სამართალდამცავების მხრიდან მოდიოდა, რომლებიც ხალხმრავალ ადგილას 4-5 წეთის განმავლიბაში ისროდნენ.

მარიამ ცომაია, რომელიც 2006 წლის 2 მაისის დილას საკუთარი მანქანით კორტებთან აღმოჩნდა, ჰყება: „კორტებთან შუქნიშანზე გავჩერდი. ჩემს წინ მეორე რიგში იდგა ტაქსი, მის გვერდით, მარცხნივ შავი „ბეემვე“, რომელიც „შავი ბუმერი“ მეგონა და ამიტომ ყურადღება მივაქციე. ამ მანქანას რომ ვაკვირდებოდი, უცცრად სიჩუმეში სროლის ხმა გაისმა. ყველა მხრიდან მორბოდნენ შეიარაღებული უფორმო,

შემდეგ ფორმიანი და ნიღბიანი ადამიანები, რომლებიც ისროდნენ „ბეემვე“-ს მიმართულებით. დაახლოებით 1 წეთის შემდეგ „ბეემვე“ მოწყდა ადგილიდან, კორტებისკენ დაიძრა და ბოძს შეეჯახა. მანქანას შეიარაღებული პირები მიცივდნენ და სროლას განაგრძობდნენ. დაანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ „ბეემვე“-დან სროლა არ ყოფილა“.

მოწმეები იხსენებენ, რომ მას შემდეგ, რაც შავი BMW ბოძს შეეჯახა, შიგნით მყოფები კი უკვე ან მკვდრები ან მძიმედ დაჭრილები იყვნენ, მანქანასთან მისულმა პოლიციელებმა გაუნძრევლად მყოფ მგზავრებს კიდევ ესროლეს.



2011 წლის 2 მაისს თბილისის კორტებთან, ვაზაგაშვილის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, შემთხვევის ადგილზე ასეულობით ადამიანი შეიკრიბა.

დღეს ძალიან ემოციური იყო.

მართლა მიდიოდნენ თუ არა ვაზა-გაშვილი, სუბულოვი და ფუთურიძე ბინის დასაყაჩალებლად? კორტებთან მომხდარის შემდეგ ეს კითხვა ამ საქმეში მეორეხარისხოვნად იქცა. საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და თვითმხილველების ნაამბობის მიხედვით იკვეთება, რომ, „დინამოს“ კორტებთან შავ „ბეემვე“-ში მყოფი პირები 2006 წლის 2 მაისს 09 საათსა და 45 წუთისთვის, იმ დროს, როცა სპეცოპერაცია ჩატარდა, საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ.

ბევრად უფრო მეტი საფრთხე იმ

## ■ „სადისტურად გვექცეოდნენ.“

**სამედიცინო დასკვნა**

**მოვითხოვეთ და გვითხრეს,**

**რომ გადაქსეროქსების**

**უფლებას ვერ მოგცემთ, თუ**

**გინდათ, ხელით გადაიწერეთ.**

**დედას გადააწერინეს ხელით,**

**შვილის სხეულზე რამდენი**

**ნატყვიარი იყო“, – ჰყება**

**ვაზაგაშვილის მამა.**

სახალხო დამცველის მიმართვით, დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა ჩაცხრილული მანქანა გამოიკვლია. ალტერნატიულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ შავ „ბეემვე“-ში ყველა ტყვევა მხოლოდ შემავალია და მანქანაში მსხდომებს იარაღი არ გამოუყენებიათ. ამავე ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი, სამართალდამცავი ორგანოების ნარმომადგენლებმა 840 ტყვევა ისროლეს.

ივლიტა გაჩერილაძეც და მარიამ ცომაიაც დაცვის შასარის მიერ მოწვეული მოწმეები არიან, რომელთა ჩვენებები სრულად უგულებელყო გამოძიებამ.

გამოძიებამ თვითმხილველთა გამოვლენა და დაკითხვა მნიშვნელოვნად არ ჩათვალა, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოვნა რთული არ იყო – იმ დღეს შემთხვევის ადგილზე სხვადასხვა ტელეკომპანიის კამერები მუშაობდნენ, კადრებში ფიგურირებდა უამრავი ადამიანი, ბევრი მათგანი ინტერვიუსაც აძლევდა ჟურნალისტებს მომხდარის შესახებ. პროცესის მწარმოებელმა ორგანომ მტკიცებულებად მხოლოდ იმ პოლიციელთა ჩვენებები მიიჩნია, რომლებიც თავად მონაწილეობდნენ სპეცოპერაციაში.

2009 წელს საქმეში ახალი მასალე-

ლისთვის ამის საჯაროდ მოწერა არ უნდა“.

ზურაბ ვაზაგაშვილის მამა ამბობს, რომ სამართალდამცავები მის ოჯახს გამოძიების პროცესში მუდმივად უქმნიდნენ დაბრკოლებებს. მისი თქმით, კორტებთან მომხდარი სპეცოპერაციით დან ერთ წელინაში მათ დაზარალებულების სტატუსი მოუსახნეს იმის გამო, რომ საქმის დეტალების გამოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ.

„სადისტურად გვექცეოდნენ. სამედიცინო დასკვნა მოვითხოვთ და გვითხრეს, რომ გადაქსეროექსების უფლებას ვერ მოგცემთ, თუ გინდათ, ხელით გადაანერეთო. დედას გადაანერინეს ხელით, შვილის სხეულზე რამდენი ნატყვიარი იყო“, – ჰყვება იგი.

სამედიცინო დასკვნაში, რომელიც ზურაბ ვაზაგაშვილს დედამ ხელით გადაიწერა, აღნიშნულია:

„ავტომანქანის წინა მარცხენა სავარებელზე ასვენია დაახლოებით 22 წლის მამაკაცის გვამი. გვამი ასვენია ნახევრად განწლილ მდგომარეობაში. გვამს აღნიშნება შემდეგი დაზიანებები: თავი დეფორმირებულია დაზიანებების გამო. თვალის ჭუთუთოები დაბურულია, პირი ოდნავ ლია. მარცხნივ, თხემ-საფეხულის მიდამოში, დიდი ზომის ჭრილობაა არასწორი ფორმის, საიდანაც ნაწილობრივ ამოვარდნილია თავის ტვინის ნივთიერება. ქვედაყის მიდამოში მარცხნივ ჭრილობა... კისრის ქვედა ზედაპირზე ჭრილობა... გულმკერდის უკანა გვერდით, მარცხნივ, უკანა იღლიის ხაზზე ჭრილობა... მარცხენა ბარძაყის შუა და ქვემოთ ექვსი ჭრილობა... მარჯვენა მტევნის და წინა მხრის ზედაპირზე მრავლობითი ჭრილობები. მარჯვენა ბეჭის მიდამოში მოგრძო ფორმის ჭრილობა... მარჯვენა მხრის უკანა და წინა ზედაპირზე ორი ჭრილობა. ერთი ჭრილობა თხემის მიდამოში, მარჯვენივ. ჭრილობა კეფის მიდამოში, მარჯვენივ.“

საქმეში, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს საქართველოდან გაუგზავნეს, ბევრი სხვა შეუსაბამობაცაა. მაგალითად, სპეცოპერაციიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ განზრახ დაზიანე-

ბული უკანა საქარე მინა (პოლიციის ვერსიით, მანქანაში მსხდომები გაქცევას ცდილობდნენ და პოლიციელების მიმართულებით უერიდან ისროდნენ, თუმცა სპეცოპერაციის დღეს შემთხვევის ადგილზე შსს-ს მიერ გავრცელებულ კადრებშიც კი ჩანს, რომ უკანა საქარე მინა მთელია და ნატყვიარი არ ეტყობა); ასევე ბუნდოვანება მანქანაში აღმოჩენილ იარაღთან დაკავშირებით. გამოძიების მასალებში ერთ-ერთ დოკუმენტში წერია, რომ პოლიციამ თოხივე იარაღი მანქანის უკანა სკამზე იძოვა. სხვა დოკუმენტში, სადაც ასევე წერია, რომ პოლიციამ 4 იარაღი იძოვა, აღწერილია, როგორ დაუვარდა ტროტუარზე იარაღი მანქანიდან გადმოსულ ფუთურიძეს.

როდის გამოიტანს სტრასბურგის სასამართლო „საქართველოს წინააღმდეგ“ სიცოცხლის უფლების ხელყოფისთვის (ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეორე მუხლი) შესულ მორიგ სარჩელზე გადაწყვეტილებას, ჯერჯერობით უცნობია.

იური ვაზაგაშვილის თქმით, ყველა მტკიცებულება არსებობს იმის ნათელ-საყიდვად, რომ კორტების სპეცოპერაცია განზრახ მკვლელობა იყო:

„ეს საქმე გახსნილია უკვე, მე ყველა მკვლელის სახელი და გვარი ვიცი... მე და ჩემს მეუღლეს დაზარალებულის სტატუსი მოგვიხსნეს და მკვლელი პოლიციელები კი დაზარალებულებად ცნეს. ეს ხალხი ისევ პოლიციაში მუშაობს, დააწინაურეს კიდეც. ქადაგიძე, ფირცხალავა, ხიზანშვილი...“

წელს კორტებთან გამართული აქცია, წინა წლებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ხალხმრავალი იყო. იური ვაზაგაშვილი ამ ამბავს სანდრო გირგვლანის მკვლელობის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს ახლახან გამოქვეყნებულ განაჩენს უკავშირებს: „ადრე მხოლოდ ჩვენ ვიყავით და ერთი ორი ოპზიციური პარტია თუ შემოგვიერთდებოდა. ახლა ასეულობით ადამიანი მოვიდა, ჩვეულებრივი ხალხი. იმედი მომეცა. სტრასბურგიდან სიმართლეს ველოდები“, – ამბობს იგი. ■



ბის აღმოჩენის გამო მაშინდელმა სახალხო დამცველმა, სოზარ სუპარმა, რომელმაც კორტების სპეცოპერაციას „სახალხო დახვრეტა“ უწოდა, პროკურატურაში საქმე ხელახალი გამოძიებისთვის გადაადგინა. სახალხო დამცველის აპარატი პროკურატურიდან პასუხს დდებოდე ელოდება. ამჟამინდელი ომბუდსმენი გიორგი ტუღუში ამბობს: „პროკურატურა პასუხს პრინციპულად არ იძლევა. დასკვნა გამომაქვს, რომ ამ საქმის ხელახლა გამოსაძიებლად ნება არ არსებობს. პროკურატურა, როგორც ჩანს, უარს აცხადებს ხელახალ გამოძიებაზე, თუმცა სახალხო დამცვე-

თავობის გამოხატი

## მასში მის ჩვენისა

მაისში საქართველოში

ერთდროულად ორი

რევოლუცია იგეგმება. ერთს

„სახალხო კრება“ ჩატარებს,

მეორეს „ქართული პარტია“.

ორივე ძალა დარწმუნებულია,

რომ ეს რეალურად

შესაძლებელია.

### მაის წიკლაური

„მთელი საქართველო მზადყოფნაშია. ქვეყნის მასშტაბით მობილიზებულია 74 კომიტეტი, ასალგაზრდული მოძრაობისა და შეფიცულთა კომიტეტის ათასობით წევრი, „სახალხო კრების“ ათეულობით ათასი აქტივისტი და მხარდამჭერი;

21 მაისს თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო წინააღმდეგობის წევრები ფილარმონიასთან, ავლაბრის და ვარდების მოედნებზე შეიკრიბებიან;

ამ სამი წერტილიდნ ხალხის წაკადი თავისუფლების მოედნის მიმართულებით დაიძურება;

აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ მისეილ სააკამპილი თანამდებობიდან არ გადადება – განცხადება, სადაც „სახალხო კრების“ სამომავლო გეგმები იყო ჩამოწერილი, ერთ-ერთმა ლიდერმა ნონა გაფრინდაშვილმა გასულ კვირას მოძრაობის ოფისში წაიკითხა.

„სახალხო კრება“ სახალხო გამოსვლებს 21 მაისიდან იწყებს. კრების წევრები წლების მანძილზე ოპოზიციის მიერ დანერგილ სტრატეგიას ცვლინ და აქციების გამართვას პარლამენტის ნაცვლად თავისუფლების მოედანზე აპირებენ.

მოძრაობის არაფორმალური ლიდერი



„სახალხო კრება“ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით რევოლუციას გეგმავს, მაისი 2011

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯავანაძე „ლიბერალთა“ ინტერვიუში ამბობს, რომ მაისში საქართველოში „ეგვიპტისა და ტუნისის რევოლუციებზე უფრო მშეიღებიანი და ნარჩმატებული პროცესების მომსწრებინი გაჯედებით“.

ბურვანაძის თქმით, „სახალხო კრების“  
მთავარი ლოზუნგი იქნება „წადი მშვიდო-  
ბით!“

„არ გაპირებთ კვირების განმავლობაში ერთ ადგილზე დგომას და „გადადექი, გადადექის“ ძახილს. გამოვიყენებთ სამოქალაქო ნინააღმდეგობის ყველა ფორმას, რომელიც მთელ მსოფლიოში დაშეცვლია იმისთვის, რომ დარღვეული კონსტიტუციური უფლებები ალვადგინოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ გაიაზროს, რომ თუ ძალადობას გადაწყვეტს, ძალიან მწარე პასუხს მიიღებს ნებისმიერი ძალის გადამტკიცის შემთხვევაში“, – განაცხადდა ბურჯვანაძემ.

„სახალხო კრების“ ლიდერი ამბობს, რომ

■ მოლაპარაკებების პროცესს მიღმა დარჩენილი რადიკალური

ოპოზიცია დიალოგს იმთავითვე უპერსპექტივოდ მიიჩნევდა. როგორც ჩანს, რადგუალების პროგნოზი ამ შემთხვევაში გამართლდა.

მიზნის მისაღლებელად ოპოზიციის გაერთიანება აუცილებელი არ არის, თუმცა საპროტესტო გამოსვლების მონაწილეობის სხვა ოპოზიციურ პარტიებისა და მოქმედებებს.

ობოზიციის ერთიანობა, როგორც ყოველთვის, დღესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დას.

մացալուտագ, յաես շնչարած, թշուած դու-  
նցըրունա դա յոթա ճացուտաժըրունա րըզո-  
լուցրամի մոնանօլոյրիմա-արմոնանօլոյրիմի  
ծցու մտլուտանգ “խալոնիս եղթան”. յև քո-  
լութիցյուրո լուզարեցն ամծոնցն, րոմ պէցոյ-  
իմո մոնանօլոյրիմա մեծոլուգ ոմ ժեմտեցր-  
ամի մուզայքեցն, ույ յիշիամի ծցըրո խալոն  
գամուց դա գամուվլուցն մասօնքոց խալոն  
մուզայքեցն.

„თუ მასობრივი აქცეული დაიწყება, ვისი  
დაწყებულიც უნდა იყოს, შევუერთდებით.  
მაგრამ, ეს არ უნდა იყოს უბრალოდ „ორ-  
თქლის გამოშვება“, – განაცხადა კახა კუკა-  
ვაძი.

„სახალონ კრების“ გამოსვლებში ჩართვას არ აპირებს „ქართული პარტია“, რომელიც გაზიაფებულზე საკუთარი რევოლუციისთვის ემზადება. მათი რევოლუციაც, „სახალონ კრების“ მსგავსად, მაისშია დაგვიტიონი.

„ქართული პარტიის“ ლიდერი სოზარ სუბარი „სახალხო კრებას“ საკუთარ რევოლუციაზე ეპატიუება – „თუკი კრება ჩვენს აქციას შემოუერთდება, შეგვიძლია ერთად ბევრი რამ ვაკეთოთ“, – განაცხადა მან 2 მაისის, ჟორნალისტებთან საკრძალა.

სუბარის პარტია „სახალხო კრებას“ და-  
ასწრებს და ხელისუფლების შეცვლას 9  
მაისს, სიმბოლურად, „ფაშიზმზე გამარჯვე-  
ბის დღეს“ დაიწყებს. პარტიის კიდევ ერთ-  
ლიდერის, ეროსა კინძარიშვილის ცნობით,  
მთელი საქართველოს მასშტაბით აქციები  
საგარეჯოდნ დაწყება და საქართველოს  
ყველა რაიონს მოიცავს. აქციები იქნება,  
როგორც „მასშტაბური, ასევე მცირემასშ-  
ტაბური, თემატიკური და ძალიან მრავალფე-  
როვანი“.

„ქართული პარტია“ ხელისუფლების შე-

ის ინგრედიენტები, რომელიც იწვევს იმ  
მუხტას, რომელსაც შეუძლია ამ რეზუმის შე-  
ცვლა, “ – განაცხადა ერთი კინძარიშვილმა  
4 მაისს.

ମନ ଠି ପାରକ୍ତୁଗ୍ରେସ୍, ରୋମଲ୍ଡ୍ରୁଟିପ୍ ବେଲୋସ୍-  
ଫ୍ଲେଙ୍କଶାସତାନ୍ ସାରକ୍ରିୟନ୍ କ୍ରମଦ୍ୟେକ୍ସିଳି କ୍ଷେତ୍ରିକ୍-  
ଲ୍ଲଙ୍କବାସ ଗାନ୍ଧିନୀଲାଙ୍ଗନ ମୋହନଦା, ରୋମ ବେଲୋସ୍-  
ଶ୍ରୀଭୂଲ୍ଲଙ୍କବାସ „ଲ୍ୟେଲ୍ଵିଲ୍ ଉତ୍ତରାଳାତ୍“ ଏବଂ ଇଜନ୍ଦିନ  
ଦା ଗ୍ରେରଫିଲ ଲ୍ୟୁଫର୍ଗ୍ରେନ୍ ରାଣ୍ଡିଗାଲ୍ଯୁର କାଲ୍ପନା  
ବୁନ୍ଦେଶ୍. ତୁମମ୍ବା ଏମ ପାରକ୍ତୁଗ୍ରେସ୍ କ୍ଷେତ୍ରା ଗ୍ରେମ୍ବେଣ୍ଟି ଆଜ୍ଞତ  
ଦା ସାରକ୍ରିୟନ୍ କାନ୍ତିନିମଦ୍ଦେବଲ୍ଲଙ୍କବାସ ଦାଖ୍ଲେବାନ୍ଦୀ  
ମୁଖ୍ୟମାନବୀକୁ ଗାଗରନ୍ତେଲ୍ଲଙ୍କବାସ ଆରକ୍ରିୟନ୍.

ირაკლი აღასანიას „თავისუფალი დე-  
მოკრატები“, „რესპუბლიკური პარტია“, „  
ახალი მემარჯვენები“, „ქრისტიან-დე-  
მოკრატები“, „ეროვნული ფორუმი“, „სა-  
ქართველოს გზა“ აქციებში მონაწილეობას  
ჯარჯურიბით არ გამარანტ.

ე.ნ. „ოპოზიციური რეგისტრი“ ხელისუ-  
ფლებასთან ექვსი თვეს განმავლობაში  
აწარმოებდა მოლაპარაკებებს საარჩევნო  
რეფორმებთან დაკავშირებით. პროცესი  
მარტში ჩიხში შევიდა და შეჩერდა. ამ მო-  
ლაპარაკებებს რაიმე შედეგი ჯერჯერო-  
ბით არ მოჰყოლია.

გასულ კვირას მშართველმა პარტიამ  
განაცხადა, რომ ოპოზიციურ „რევინთან“  
ძველ ფორმატში მოლობარაკებების განა-  
ხლებას არ აპირებს. უმრავლესობის ლი-  
დერმა პავლე კუბლაშვილმა 4 მაისს თქვა,  
რომ ოპოზიციურ პარტიებს ინდივიდუა-  
ლურ რეზიტი - ყველას ცალ-ცალკე და-  
უბაპარაზი გიშიან.

„რვიანძა“ ერთანი ძალით თითქმის ვერც  
ერთ დათმობაზე ვერ დათანხმა ხელისუ-  
ფლება. შესაბამისად, შესაძლებლობა, რომ  
ის ცალ-ცალკე კონსულტაციების გზით  
სახელისუფლებო გუნდთან პრინციპულ შე-  
თანხმდეს მათწევის ძალანი მარტა.

მოლაპარაკებების პროცესს მიღმა დარჩენილი რადიკალური ოპოზიცია ამ დიალოგს იმთავითვე უპერსპექტივოდ მიიჩნევდა. როგორც ჩანს, რადიკალების პროგნოზი ამ შემთხვევაში გამართდა. ახლა, გამოცხადებული რევოლუციების დაწყების წინ, საარჩევნო რეფორმის საკითხებზე მოლაპარაკებების შეწყვეტა, როგორც კიდევ ერთი დადასტურება, რომ „ამ ხელისუფლებასთან დიალოგი უშედგოა“, მხოლოდ რადიკალური ოპოზიციისთვისაა ხელსაყრელი. **ც**

საქართველო და რუსეთი

## WTO, ჩასათი და საქართველო - ჩანანები მომზადებები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განახლებული მოლაპარაკებების მეორე რაუნდში ქართულმა მხარემ კონკრეტული წინადადებები წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაკონტროლდეს ორი საგუშავო – როკის გვირაბის გავლით სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში, მდინარე ფსოუზე.

ოლესია ვართანიანი, რადიო „თავისუფლება“, სპეციალურად „ლიბერალისტვის“

29 აპრილს ქართული და რუსული მხარების წარმომადგენლები ერთმანეთს ნეოტრალურ ტერიტორიაზე – შეეცარიაში შეხვდნენ. მათ უნდა განხილათ ის პირობები, რის სანაცვლოდაც თბილის მხარს დაუჭრს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განეცრიანებას.

მოლაპარაკებების დასასრულს მხოლოდ ქართული მხარის წარმომადგენლები და თანხმდნენ უურნალისტებთან საუბარს. პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა თამარ კოვზირიძემ განაცხადა, რომ რუსულ მხარესთან საუბარი „არსებით საკითხებზე“ შედგა.

„საქართველოს მოთხოვნა არის უცვლელი და ესება საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ერთობლივად შეთანხმებული სქემის ჩამოყალიბებას, რომ ერთობლივად შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმი გვქონდეს სავაჭრო მიმოქცევაზე“, – განაცხადა კოვზირიძემ.

მან უარი განაცხადა მონიტორინგის კონკრეტული მექანიზმის აღწერაზე, რადგან რუსულ მხარესთან შეთანხმებით, მოლაპარაკებების დეტალები არ უნდა გასაჯაროვდეს.

მოლაპარაკებების ასეთი მსვლელობა შეიძლება მნიშვნელოვნადაც მოვრჩენებოდა, თუ დავივინუბდა თბილისისა და მოსკოვის შეთანხმების მრავალნობაზე ნარუმატებელი მცდელობების ისტორიას ზუსტად ამ საკანონი პუნქტზე – როგორ და ვინ უნდა აკონტროლოს გამშვები პუნქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მოლაპარაკებები აქამდე სწორედ ამ საკითხზე შეუთანხმებლობის გამო წყდებოდა, ან უბრალი ფორმალობად იქცეოდა ხოლმე.

ახლაც, არაფერი მოასწავებს სცენარის

სხვაგვარად განვითარებას. „პოზიტივის არანაირი საფუძველი არ არსებობს“, – აცხადებს „ლიბერალის“ წყარო საქართველოს ხელისუფლებაში, რომელიც კარგად იცნობს მოლაპარაკებების დეტალებს.

### დიპლომატიის ოსტატობა

წლების განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება, ამერიკის მხარდაჭერით, რუსეთისაგან ითხოვდა, რომ გამშვები პუნქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველ მესაზღვრებს გაეკონტროლებინათ. როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა მორივ დე-ფაქტო ერთ-ერთი მუხლი გადასცა, ასეთი გარიანტის განხილვა დაინიცეს სხვა ვარიანტების განხილვა: „შესაძლოა სხვა კომპრომისები, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნაც“, – განაცხადა გიგა ბოკერიამ გასული წლის ოქტომბერში უენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

რუსულმა მხარემ ყველა ასეთი ვარიანტის განხილვაზე უარი განაცხადა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საჯაროდ ურჩია თბილის, შეეწყვიტა რუსეთის ვმო-ში განევრიანების „პოლიტიზირება“.

როგორც ჩანს, ქართულმა მხარემ მოსკოვის პოზიცია მხედველობაში მიიღო და ტაქტიკა შეცვალა. მოლაპარაკებების მეორე რაუნდისათვის თბილისმა მოამზადა წინადადება, რომელიც ვმო-ს ოფიციალური დოკუმენტებით იყო გამყარებული. ქართველი დელეგაციის წევრმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძემ უარი განაცხადა საუბრის დეტალების განხილვაზე, თუმცა აღნიშნავს

„ჩვენ რუსეთის წარმომადგენლებს წარ-

უდგინეთ კონკრეტული წინადადებები, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ გამშვებმა პუნქტებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვმო-ს წესდების ფარგლებში იმუშაონ“.

წესდება ეფუძნება ძირითად სატარიფო და სავაჭრო ხელშეკრულებებს (GATT), რაც 1994 წელს გადაიხედა და დამტკიცდა. იგი ვმო-ს წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, რომ ორგანიზაციის დანარჩენ წევრებთან თავისუფალი და გამჭვირვალე წესებით ითანამშრომლონ.

ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი განმარტავს, თუ როგორ უნდა მუშაობდეს საბაჟო-გამშვები პუნქტი საზღვარზე. ეს მუხლი ზუსტ მექანიზმებს არ აღწერს, თუმცა ანესის კონკრეტულ ვალდებულებებს. მაგალითად, ქვეყნის საბაჟო დეპარტამენტს ჰქონდეს შესაძლებლობა, საბაჟოზე იმპორტირებული საქონლის დეკლარირებული ფასები გადამოწმოს.

ცხადია, ასეთი გადამოწმება ვერ მოხერხდება, თუ ქართული და რუსული მხარეები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო კუნძულებზე კონკრეტული კონტროლის მექანიზმებზე ვერ შეთანხმდებიან.

გასულ კვირას, რუსული პრესა უცნობ წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ განიხილება კონტროლის განხორციელება კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული ფატებითაც. თუმცა საეჭვა, ამას თბილისი დათანხმდეს. როდესაც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ წევრს ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ვთხოვთ, მან გაიცინა და თქვა, რომ ეს ვარიანტი ლაპარაკებად არ ღირს.

## პრალებების გაცვლა

განახლებული მოლაპარაკებების პირველი სხდომიდან სამი დღის შემდეგ, ერთ-ერთმა რუსულმა არხმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუ გადასცა, სადაც ის აცხადებდა, რომ რუსეთს საქართველოს გვერდის ავლითაც შეუძლია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლა. ლავროვი ახსენებდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მარკეშის შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღება წევრი ქვეყნების 2/3-ის მხარდაჭერითაც შეიძლება.



**თუ რუსეთი უახლოეს თვეებში თბილისთან შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მისი ვმო-ში გაწევრიანების საკითხის გადახედვა, საგარაუდოდ, კიდევ ორი წლით გადაიდება.**

ლავროვის ამ განცხადებამ თბილისი განარისხა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მას „შანტაჟუ“ უწოდა. მოგვინებით, რუსმა დაპლო-მატებმა თავის მართლება დაიწყეს. ისინი საუბრობდნენ, რომ ლავროვის ინტერვიუ ჩაიწერა მოლაპარაკებების პირველ რუს-დამდე სამი დღით ადრე და ეს არ შეიძლება განიხილოთ, როგორც მოსკოვის საბოლოო პოზიცია.

ორი კვირის წინ, სოხუმში, პრესკონფენციაზე, მეორე რუსულ-ქართულ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, ლავროვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შესახებ იგივე კითხვა კიდევ ერთხელ დაუსვეს: აპირებს თუ არა რუსეთი საქართველოს გვერდის ავლით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესასვლელად ალტერნატიული გზის გამოყენებას? ამჯერად მისი პასუხი უფრო თავშეკავებული იყო:

„არ მინდა ამ თემის დეტალებს შევხეო. ასეთი შესაძლებლობები არსებობს, მე ამაზე ვისაუბრე და ახლაც ვადასტურებ. ეს

ახალმა წევრმა ორგანიზაციაში შესვლამდე წესდებით განსაზღვრული პროცედურების მთელი რიგი უნდა გაიაროს.

სანამ რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების საკითხი იორგანიზაციის მმართველი ორგანოს მინისტრთა კონფერენციის კუნტისყრაზე დაისმება, ამ საკითხზე სპეციალური ანგარიში უნდა მომზადდეს. უნდა განისაზღვროს, რამდენად მზადა რუსეთი გასაზღვრანებლად. ეს ანგარიში კონსენსუსის გზით უნდა მიიღონ და დაამტკიცონ ვმო-ს წევრებმა, მათ შორის, საქართველომაც.

„ასე რომ, თუ მათ სურთ მოლაპარაკება, უნდა წავიდნენ დათმობებზე“, – აცხადებენ საქართველოს მთავრობაში.

## Deadline

„პირველი, რასაც წელს გვინდა მიგალნიოთ – ეს რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებაა“, – აპრილის შუა რიცხვებში ეს განცხადება ბარაკ ობამას „მარჯვენა ხელმა“, ამერიკულ-რუსულ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა მაიკლ მაკფოლმა გააკეთა.

„ჩვენ ეს გვჭირდება იმის საჩვენებლად, რომ ჩვენი მხრიდან არის მტკიცე გაზრდაზე რუსეთში სავაჭრო ინვესტიციების განსახორციელებლად. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ელჩი – ყველა, ვისაც ეხება ეს საკითხი, აცხადებს, რომ მხარს უჭიროთ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და გვინდა, რომ ეს წელს მოხდეს“.

ამერიკის მთავრობის ასეთი პოზიცია ეხმანება რუსულ მხარის განცხადებებს, რომ ვმო-ს წევრობის მიღება მათ წელს სურთ. ერთადერთ დაბრკულებად საქართველო რჩება.

თუ რუსეთი უახლოეს თვეებში თბილისთან შეთანხმებას ვერ მიაღწევს, მისი ვმო-ში გაწევრიანების საკითხის გადახედვა, სავარაუდოდ, კიდევ ორი წლით გადაიდება. კენჭისყრა იორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების შესახებ მინისტრთა კონფერენციაზე შედგება, რომელიც ორ წლიწადში ერთხელ იმართება. მორიგი შეხვედრა 2011 წლის მეორე ნახევარში უნდა გაიმართოს.

ასე რომ, თუ რუსეთი გადაწყვეტს, დათმობაზე წავიდეს და ნაბიჯები საქართველოს სასარგებლოდ გადადგას, ეს უახლოეს თვეებში უნდა გააკეთოს. **■**

# ცხოვ სუკაბი

იმის გამო, რომ ხელისუფლება არ ფლობს ინფორმაციას ტყის რეალური მარაგების შესახებ, ათასობით საღი ხე წლების განმავლობაში უნდართვოდ იჭრება.

მარი როჩიკაშვილი



საქართველოში ტყეების ჩეხვა 90-იანი წლებიდან დაიწყო. მაშინ შეშა გათბობის ერთადერთი საშუალება იყო და სახელმწიფოსაც კონტროლის მექანიზმები დაკარგული ჰქონდა.

სახელმწიფომ უკანონო ჭრის წინა-აღმდეგ ბრძოლა მხოლოდ 2007 წელს

გამოაცხადა. „წლების განმავლობაში სატყეო სექტორში იყო განუკითხაობა, აღებ-მიცემობა, კორუფცია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავამყაროთ წესრიგი და ჩვენ ამას დავამყარებთ ყოველგვარი შეფერხების გარეშე და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაჭრის!“ – განაცხადა

ბუნებრივი რესურსების მაშინდელმა მინისტრმა დავით ტყეშელაშვილმა.

2003 წლის შემდეგ დავით ტყეშელაშვილი რიგით მე-3 იყო, რომელმაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პოსტი დაიკავა და სატყეო სექტორში რეფორმები დაიწყო.

მას შემდეგ კიდევ 4 მინისტრი შეიცვალა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის დამტკიცებული საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი რაიმე ეროვნული დოკუმენტი.

„ყველა მინისტრი თავის მოღაწეობას სატყეო სექტორის რეფორმირების შესახებ განცხადებით ინყებდა. თითოეული მათგანის რეფორმის კურსი კი რადიკალურად განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან“, – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ არ იცოდა, რეალურად, რა მოცულობის და ხარისხის ტყეს ფლობდა, დავით ტყე-შელაშვილმა რეფორმის ძირითად პრიორიტეტად კერძო კომპანიებზე ტყების მრავალნლიანი ლიცენზიით გაცემა დაასახელა.

2002 წლიდან მსოფლიო ბანკის 15 მილიონიანი პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი ტყების ინვენტარიზაცია იყო, თუმცა 2007 წელს მთავრობამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ბანკის კუდიტი ტყის ინვენტარიზაციაზე აღარ დაეხარჯა. მინისტრმა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ დაგეგმილი იყო ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონის წესით გაცემა და არ იყო მიზანშენონილი ასოციაციის რესურსების ხარჯვა ინვენტარიზაციაზე. მინისტრი წერილში აღნიშნავდა, რომ უმჯობესი იყო, ეს თანხა სატყეო დეპარტამენტის იფიციენტის შეკეთებას, მანქანების შეძენასა და ტრენინგების ჩატარებას მოხმარებოდა.

ამ წერილის მიღების შემდეგ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ პროექტი შეაჩერა, ერთ თვეში კი პროექტი იფიციალურად შეწყდა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, 11 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარში მსოფლიო ბანკისთვის უკან დატოუზებინა.

მთავრობამ ინვენტარიზაციაზე თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც ვერ გაიმეტა და ტყის ინვენტარიზაცია ლიცენზიანტებს დააკისრა. ანუ კომპანიას, რომელიც აუქციონზე გამარჯვებდა და

ხის ჭრის უფლებას მოიპოვებდა, ტყის სატყეო აღნერა უნდა ჩაეტარებინა და მის მიერვე მოსაპოვებელი რესურსის მდებარებით დაედგინა.

„როგორ შეიძლება შენი საკუთარი რესურსების აღნერა მიანდო მას, ვინც უნდა ისარგებლოს ამ რესურსებით? რა თქმა უნდა, ის საკუთარ ინტერესებს დაიცავს. ეს მიდგომა სრულიად მიუღებელი იყო“, – ამბობს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო დეპარტამენტის უფროსი, სატყეო პროფესორი, თემურაზ კანდელაკი.

ტყის გრძელვადიანი ლიცენზიით გაცემაზე პირველი აუქციონი 2007 წლის

## ■ 2003 წლის შემდეგ დავით ტყეშელაშვილი რიგით მე-3 იყო, რომელმაც მინისტრის პოსტი დაიკავა და სატყეო სექტორში რეფორმები დაინიშნა. მას შემდეგ კიდევ 4 მინისტრი შეიცვალა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის დამტკიცებული საქართველოს სატყეო პოსტი განვითარიზაციაზე აღარ დაეხარჯა. მინისტრმა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ დაგეგმილი იყო ტყით სარგებლობის გრძელვადიანი ლიცენზიების აუქციონის წესით გაცემა და არ იყო მიზანშენონილი ასოციაციის რესურსების ხარჯვა ინვენტარიზაციაზე. მინისტრი წერილში აღნიშნავდა, რომ უმჯობესი იყო, ეს თანხა სატყეო დეპარტამენტის იფიციენტის შეკეთებას, მანქანების შეძენასა და ტრენინგების ჩატარებას მოხმარებოდა.

ამ წერილის მიღების შემდეგ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ პროექტი შეაჩერა, ერთ თვეში კი პროექტი იფიციალურად შეწყდა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, 11 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარში მსოფლიო ბანკისთვის უკან დატოუზებინა.

ჩინურ „ჯორჯია ვუდ ინდასტრიალ დეველოპმენტმა“ სამეცნიერო-ზემო სავანეტში დაახლოებით 38 000 ჰექტარზე, 20 წლის განმავლობაში 636 000 კუბური მეტრი ხის ჭრის უფლება მოიპოვა. ტყე აღნერა და დაადგინა, რომ ყოველწლიურად მოსაპოვებელი

რესურსი ლიცენზიაში დაფიქსირებული მდებარების ნახევარსაც ვერ აღნევს. იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეორე ლიცენზიანტი – „საქართველოს ხე-ტყის მრენველობის კომპანია“, რომელმაც ხე-ტყის ჭრის უფლება კახეთში მოიპოვა.

„ხე-ტყის დამტადება საქართველოში არასდროს ყოფილა მომგებიანი. ჩვენი მთის ტყეები არ იძლევა საშუალებას, რომ კაპიტალური დაბანდებები გაიღო. ეჭვი მეპარება, საქართველოში ვინმემ კანონიერი გზით მოპოვებული ხე-ტყით შეძლოს წარმატებული ბიზნესის წარმოება“, – ამბობს პროფესორი თემურ კანდელაკი.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, კომპანიებს რაიმე სახის პროტესტი არ გამოუხატავთ. უფრო მეტიც, ჩინურმა კომპანიამ მომდევნო აუქციონებზე კიდევ დამატებითი ობიექტები შეიძინა. სამეცნიელოს შემდეგ, იმერეთი, კახეთი, ილტო, ფშავი, ახმეტა-ბოჭორმა და ერთიანობაში 77 000 ჰექტარზე მეტი ხე-ტყის ჭრის უფლება მოიპოვა.

„რატომ არ ედავებიან ეს ლიცენზიანტები სახელმწიფოს, რომ მათ არასწორი მონაცემის საფუძველზე მიჰყიდეს საქონელი, ჩემთვის გაუგებარია“, – ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი.

მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი საკითხი – აუქციონზე გამოტანილი ტყეების სანების ფასის დადგენა. ტყეების აღურიცხაობის გამო არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ თვლიდა, რომ მოსაჭრელი მერქნის მოცულობის დადგენა ვადაგასული მონაცემებით ხდებოდა და შესაბამისად, ფასიც არასწორად განისაზღვრა. ორგანიზაციამ ეკონომიკის სამინისტროსგან ფასის გაანგარიშების დოკუმენტაცია მოითხოვა, თუმცა პასუხი ვერ მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის შედეგად, 2009 წელს დაგემილი მაშტაბური აუქციონი ჩაიშალა. მაშტაბულმა ეკონომიკის მინისტრმა ლაშა უგანიამ და გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა საჩიძემ დაადასტურეს, რომ აუქციონები დარღვევებით ტარდებოდა. მიუხედავად ამ ფაქტისა, 2010 წლი-

# ურნალისტური გამოძიება

დან ტყეები აუქციონზე სახელმწიფომ კვლავ ინვენტარიზაციის პროცესის გვერდის ავლით გაიტნა.

სამეურნეო ტყეების მაქსიმალური ოდენობით კერძო მართვაში გადაცემის ერთ-ერთი ინიციატორი ზვიად ჭეიშვილი იყო. იგი 2005 წლიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მუშაობდა, მოგვანებით სატყეო დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა, შემდეგ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ბოლოს კი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გახდა და ტყეების საკითხს იქიდან მოყოლებული განაგებდა.

ჭეიშვილის ხელმძღვანელობით ჩინურ კომპანიას 6 ლიცენზია გადაეცა. ერთ წელიწადში კი ამ სანარმოს ხელმძღვანელი თავად ჭეიშვილი გახდა.

„საჯარო მოხელე, რომელიც კონტროლს უწევს სანარმოს ბოლო 3 წლის განმავლობაში, არ შეიძლება სამსახურიდან წასვლის შემდეგ ამ სანარმოში რაიმე თანამდებობაზე დაინიშნოს. ეს არის ინტერესთა შეუთავსებლიბა და საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის პირდაპირ მოთხოვნათა დარღვევა“, – აცხადებს საია-ს იურისტი ბექა დოჭვირი.

საქართველოში ტყეების თითქმის 98% მთის ფერდობებზე განლაგებული, ამიტომ აქ ტყის ჭრა დიდ ტექნიკას და დანახარჯებს მოითხოვს, ხოლო რესურსი ძალიან ცოტაა. მიუხედავად ამისა, ინტერესი ტყის მიმართ მაინც დიდია. პირველი გრძელვადიანი ლიცენზია დეპუტატ როლანდ ფიფუას ძმას, ბიზნესმენ რომან ფიფუას გადაეცა.

მისი კომპანია „ჯორჯიან ფორესტი“ ხე-ტყეს მარტვილში ჭრის. ტყის ბიზნესშია ჩართული სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი, რომლის კომპანიამაც „გურია ჯფ“-მ ჩხოხატაურში ტყის ლიცენზია 2 144 200 ლარად შეიძინა და 20 წლის განმავლობაში 11 022 კუბური მეტრი ხე-ტყის ჭრის უფლება მოიპოვა.

ადიგენის რაიონში ტყის ბიზნესს განგებს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ბიძა – ლევან თუმანიშვილი. ლევან თუმანიშვილი კომპანია

„ტაოს“ ერთპიროვნული დამფუძნებელია. კომპანიას სამცხე-ჯავახეთში 2 571 ჰექტარზე 5 067 კუბომეტრი ხის ჭრის უფლება აქვს“.

„წლების განმავლობაში აქ ტყე საოცრად მოვლოლი და დაბურული იყო. ახლა კი ყველა მხრიდან მოტიტვლებულია. ყოველდღიურად ხომ ჭრიან, მაგრამ ახლა გასხივულ ტოტებს და ნაგავსაც ტყეში ტოვებნ. ამ ზაფხულს საშინელი გვალვა იყო და ყველანი გაფაციცებით დავდიოდით – ერთი სიგარეტის ნამწვიც რომ დარჩენილიყო უყურადღებოდ, ისე გადაინვებოდა ტყე, რომ ვერავინ უშეველიდა“, – ამბობს მარინა ურუშაძე, აბასთუმნის ტყის შეუგულში მდგბარე ასტროფიზიკური ობსერვატორის თანამშრომელი.

მიუხედავად იმისა, რომ ადიგენის ტყის ის ნაწილი, რომლის ნახვასაც ვაპირებდით, კერძო საკუთრებას არ წარმოადგენს და შესაბამისად, არანაირი ნებართვა არ გვჭირდებოდა, ტყის ამ მასივის არათუ გადაღების, ტერიტორიაზე შესვლის საშუალებაც კი არ მოგვეცა. „აბა, მე რა ვიცი, რაზე შედიხართ ტყეში, იქნებ რამეს აშავებთ!“ – გვპასუხა ადიგენის სატყეო მეურნეობის უფროსმა გელა მეტრეველმა. თითქმის ერთსათანი მოლაპარაკებისა და ლოდინის შემდეგ მას ტელეფონზე დაურეკუს: „ჩემი ტყის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე მირეკავს თბილისიდან, არავითარი ინტერვიუ და არავითარი გადაღებებით!“ – უარით გამოგვისტუმრა მან.

ადიგენის ტყეებისგან განსხვავებით, ჩვენ ტყიბიულის მუნიციპალიტეტში ტყის ის უპანი მოგრანახულეთ, სადაც ხის ჭრის უფლება კომპანია „ვუდიმპექსის“ აქვს. „ვუდიმპექსი“ დეპუტატ არჩილ გეგენავას ძმის – ანდრო გეგენავას კომპანია „მეგაფუდის“ და სასტუმრო „აჭარის“ მფლობელ თეიმურაზ უგულავას საკუთრებაა.

იმერეთის რეგიონში, წაბლნარების გაჯანსაღების საბაბით, მთავრობამ ხის ჭრაზე უფლება 2005 წლის ბოლოს კერძო კომპანიას მიანიჭა. 2009 წელს კი ეს უფლება კომპანია „ვუდიმპექსის“ მოპოვა. 2010 წლის დასაწყისში, კომპანია „მეგაფუდი“, „ქროსვეისმა“ შეცვალა, ამ

უკანასკნელის 100%-იანი დამფუძნებელი კი თეიმურაზ უგულავაა, რაც იმას ნიშნავს, რომ უგულავა „ვუდიმპექსის“ 100%-იანი მფლობელიცაა.

წაბლი გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების „ნითელ ნუსხაშია“ შეტანილი და მისი მოჭრა კანონით იკრძალება, იმ გამონაკლისის გარდა, თუ ხედავადებულია და მისი გადარჩენა შეუძლებელია.

„უნდა მოიჭრას მხოლოდ ხმელი ან ხმობადი ხეები, ჩვენ კი მოჭრილ ხეებს შორის ვნახეთ ნედლი მასალაც, რომელსაც ხმობას ნიშანწყალი არ ჰქონდა“, – ამბობს ადგილობრივი ექსპერტი სატყეო საკითხებში მანუჩარ კუბლაშვილი

საქართველოს აფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2006 წელს უკანონოდ მოიჭრა – 40 924 კუბური მეტრი ხე-ტყე, 2007 წელს – 98 675 კუბური მეტრი, 2008 წელს – 21 331, 2009 წელს კი – 30 684.

სატყეო სექტორის ექსპერტები მიიჩნევნ, რომ ეს მონაცემები რეალურისგან ძალიან მორსაა. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიონალმა პეტრე დუნდუამ და შპს „საქტყემრენვის“ ხელმძღვანელმა შოთა ჯაოშვილმა, ოფიციალურ მონაცემზე დაყრდნობით, დეტალურად შეისწავლეს 2005-2008 წლებში ხე-ტყის რესურსების არალეგალური მოპოვება და სახელმწიფოსადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალი. აღმოჩენდა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ხე-ტყის ბიზნესის მფლობელებში წახვარი კუბური მეტრი მორიდან 1 კუბური მეტრი პროდუქცია მიიღეს.

„ეს ყოველგვარ ლოგიკასა მოკლებული, ეს არის ფანტასტიკური ციფრი“, – ამბობს შოთა ჯაოშვილი, რომელიც უკეთ ათეული წლებია, სტანდარტებზე მუშაობს. ის ამბობს, რომ 1 კუბ.მეტრი პროდუქციაზე მინიმუმ 1,35 კუბ.მეტრი მასალა იხარჯება.

აქედან გამომდინარე, ყველაზე დაბალი ხარისხის ფიციალური ციფრი“, – ამბობს შოთა ჯაოშვილი, რომელიც უკეთ ათეული წლებია, სტანდარტებზე მუშაობს. ის ამბობს, რომ 1 კუბ.მეტრი პროდუქციაზე მინიმუმ 1 კუბური მეტრი მორიდან 1 კუბური მეტრი პროდუქცია მიიღეს ისარჯება.

438 000 კუბ.მეტრი ხე-ტყე, ანუ სამასალე ხე-ტყის დეფიციტი 598 000 კუბ. მეტრი აღმოჩნდა.

„ეს ხე-ტყე, ფაქტობრივად, არალეგალურადა მოპოვებული. ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი ზღვრული საბაზრო ფასის შესაბამისად კი, მისი ღირებულება თითქმის 38 მილიონი აშშ დოლარია“, – ამბობს შოთა ჯაოშვილი.

საქართველოს ინფორმაციით, 4 წლის განმავლობაში ნარმობული 767 000 კბმ პროდუქციიდან, ექსპორტირებულია 481 ათასი კუბ.მეტრი, რომლის ფასი ოფი-

მენტს არაერთხელ გაუგზავნეს. თუმცა მათ არცერთი უწყება არ გამოხმაურებია.

აგრარული უნივერსიტეტის სატყეო დეპარტამენტის უფროსმა თემურაზ კანდელაქმა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით საქართველოს მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი შეისწავლა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში წელიწადში მხოლოდ საშეძე 2 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი

ჩათვლით არ მეყოფა. თებერვალი, მარტი, აპრილი – ეს 3 თვე რით გავთბე?“ – დარღვებს ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევში მცხოვრები რიმა ხაჭაპურიძე.

„ერთი ჩვეულებრივი მანქანა შეშა მოგექნდა, დაგეხვდა გარემოს დაცვის ინსპექცია და დაგვაჯარიმა 120 ლარით. ამ დროს შეიძლება, ვიღაცამ რო მანქანა უპრობლემოდ გამოიტანოს. დაუღაგბებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ“, – ამბობს სოფელ ქვაბისხევის ერთ-ერთი მცხოვრები.

**„ეს ხე-ტყე, ფაქტობრივად, არალეგალურადა მოპოვებული. ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადგენილი ზღვრული საბაზრო ფასის შესაბამისად კი, მისი ღირებულება თითქმის 38 მილიონი აშშ დოლარია“, – ამბობს ექსპერტი შოთა ჯაოშვილი.**



ციალური მონაცემებით, 76,7 მლ.ლარს შეადგენდა. ექსპერტები მიაჩინათ, რომ ექსპორტიორებმა ფასები ხელოვნურად შეამცირეს, რადგან ექსპორტზე მხოლოდ მარტივი ჩამოგანაული ფიცარიც რომ გასულიყო, საერთო თანხას, სულ მცირე, 94 მილიონი დოლარი უნდა შეედგინა, რაც საერთო საკონტრაქტო ლირებულებაზე მეტია.

„ეს ნიშანავს, რომ საკონტრაქტო ფასები არარეალურია და წინასწარი მოლაპარაკების შესაბამისად, შემცირებულია. სხვაობა კი ჩადის ექსპორტიორის ჯიბეში“, – ამბობს შოთა ჯაოშვილი.

ექსპერტებმა კვლევა და წერილები გარემოს დაცვის, ეკონომიკის და ფინანსთა სამინისტროებს, ასევე პარლა-

ხე-ტყე იქრება. 2009 წელს კი ერთმაოვანმა საშუალოდ 1,1 კუბური მეტრი შეშა მოიხმარა.

მთავრობის მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით, მაღალმთან რაიონში ერთი ოჯახისთვის სამყოფი შეშა, მაქსიმუმ – 12, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 7 კუბური მეტრია. ეს კი იმას ნიშანავს, რომ მხოლოდ სოფლის მოსახლეობას მთავრობის მიერვე დადგენილი სტანდარტებით, მინიმუმ, 3 მილიონზე მეტი კუბური მეტრი შეშა სჭირდება.

„წელს ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს, 4,5 კუბომეტრი ჩაგვიწრეს ფურცელზე და მანქანაც არ გაივსო. როი მოხუცი ვართ სახლში ცოლ-ქმარი, სხვა გასათბობი არაფერი გვაქვს. ეს იანვრის

მაღალმთანი სოფლების მოსახლეობა არ მაღავს, რომ დადგენილი სტანდარტის სიმწირის გამო იძულებულია, ხეები უკანონოდ მოჭრას. ომალოს მოსახლეებმა გულახდილად გვითხრეს, რომ წელს ხმელ ხეებს ნედლიც მიაყოლეს.

იმის გამო, რომ ხელისუფლება არ ფლობს ინფორმაციას ტყის რეალური მარაგების შესახებ, ათასობით საღი ხენლების განმავლობაში უნებართვოდ იქრება. უნებართოდ ჩეხავს ტყეს მოსახლეობაც, რადგან მთავრობის მიერ დადგენილი ნორმები მინიმალურია, ზამთრის გადასატანად გაცილებით მეტია საჭირო, მათ კი გათბობის სხვა საშუალება არ გააჩინათ. **■**



ურბანისტიკა

# ჩიუკ უხალი ფუნქციით

ადგილი, რომლის სსენებაზეც  
თბილისელებს ბოლო 30 წლის მანძილზე  
მხოლოდ რესტორნები ახსენდებოდათ,  
ხალხმრავლობა კი წელიწადში ერთხელ,  
თბილისობის დღესასწაულზე იგრძნობოდა,  
მალე მულტიფუნქციურ გასართობ  
ცენტრად იქცევა.

ნინო ჩიმაკაძე



დასასვენებელ-გასართობი პარკის მშენებლობის პროცესი რიყეზე, თბილისი 2011

რიყის მშენებარე პარკში მუშაობა დილით ადრე იწყება და დაბნელებამდე გრძელდება. სამშენებლო ღობით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე საშენი მასალით და ქვიშით დატვირთული მანქანები მოძრაობები. მუშების ნაწილს არხები გაჰყავს, ნაწილი ქვაფენილს აგებს, დანარჩენები კი გუდრონს ასხამენ სკამებზე, რომელთაც ზედხედში ვარდის ფორმა ექნებათ. „აი, იქ მოცეკვავე ძაღლევანი იქნება“, – დროებით საქმეს წყდება და მოკლე ექსკურსიას გვიტარებს ერთ-ერთი მუშა, – „აქ კი პატარა მდინარე გაკეთდება, რომელიც მტკვარს განასახიერებს“. „აქაურობა განსაკუთრებით ლამაზი ღამითაა, როცა განათება ირთვება“, – ამბობს დაცვის პოლიციის თანამშრომელი.

ბოლო 30 წლის განმავლობაში რიყე, თბილისისთვის განსაკუთრებით კოლორიტული ადგილი, კიდევ ერთხელ განიცდის ტრანსფორმაციას. ქაოტურად განლაგებული რესტორნების აღების შემდეგ აქ სამშენებლო სამუშაოები პირველად მიმდინარეობს კონკრეტული ურბანული გეგმის მიხედვით. მულტიფუნქციური გასართობი ცენტრი და რეკრეაციულ-დასასვენებელი ზონა – ასეთად უნდა იქცეს ადგილი, რომელიც სახელმწიფოსთვის საჩუქრად გადაცემული რესტორნების დახურვის შემდეგ, ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული მასობრივი დემონსტრაციების არენად იქცა. ბოლოს რამდენიმე ათასიანი საპროტესტო კონცერტი რიყეზე 2009 წლის 14 მარტს გაიმართა – მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით გაშლილ ფართომასშტაბიან აქციებამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა, რამდენიმე თვეში, ქალაქის მერიამ რიყე სარემონტოდ გაამზადა, სამშენე-

# საზოგადოება

## ჩიყა ნახილი:

რიყე თბილისისთვის განსაკუთრებულ და კოლორიტულ ადგილად მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იქცა. ქალაქის ყველაზე მრავალეროვანი და მულტკულტურული უბანი ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ადგილიც იყო: ბაზარი, ქარვასლა, სახელოსნოები – თუ თბილისელებს რამის შეძენა, გაყიდვა ან შეკეთება სურდათ, ამისთვის ყოველთვის რიყეზე მიღიოდნენ. სწორედ რიყეზე ხდებოდა თბილისის მომარაგება თივითა და შეშით. აქვე იყო განთავსებული ნისქვილები, რომლებიც მტკვარზე გადაიოდა და ამ ტერიტორიის განსაკუთრებულ ხბძლს მატებდა. რიყეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა თბილისური სახლების არქიტექტურა შიდა ეზოებით, აივნებითა და დახვეული კიბეებით. მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან გახშირდა ამ ტერიტორიის დატბორვის შემთხვევები, რის შედეგადაც საპქოთა ხელისუფლებამ გადაწყიტა აյ განთავსებული ნაგებობები მთლიანად აეღო და მოსახლეობაც სხვაგან გადაესახლებინა. წლების შემდეგ, როცა საფრთხემ გადაიარა, რიყის ტერიტორიის ხელახლა ათვისებაზე დაინტეს ფიქრი. 3 ათწლეულის მანძილზე ამ მიზეზით კონკურსი არაერთხელ გამოცხადდა. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაიც ვერ ხერხდებოდა. ბოლო გეგმის მიხედვით, 2012 წელს აქ ქალაქის მთავარი დასასვენებელ-გასართობი პარკი უნდა გაშენდეს.




ბლო ღობით შემოსაზღვრა და ვერსიებიც ამ ტერიტორიის ურბანული განვითარების შესახებ სპეციალისტთა წრეში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განსახილველ თემად იქცა.

თუმცა რიყის მომავლით დაინტერესებული არქიტექტორები და ურბანისტები ამბობენ, რომ, როგორც ბევრი სხვა ურბანული პროექტის შემთხვევაში, რიყის შესახებ მსჯელობასაც განსაკუთრებით ართულებს ინფორმაციის დახურულობა. „ტფილისის ჰამქრის“ დირექტორი ალექს ელისაშვილი ამბობს, რომ, მაგალითად, აბსოლუტურად შეუძლებელი აღმოჩნდა იმ ბიუჯეტის გაგება, რომელიც რიყის პროექტისთვისაა გამოყოფილი: „რამდენჯერმე მოვითხოვეთ პროექტის ბიუჯეტი, მაგრამ მერია მსგავს ინფორმაციას არ გასცემს. ყველაფერი ძალიან დახურულად ხდება, შესაძლოა, პროექტი იაღმიანაც კარგია და ტაშიც დავუკრათ საბოლოოდ, მაგრამ ხომ უნდა ჩაგვაყენონ საქმის კურსში?“ – ამბობს ელისაშვილი.

პროექტი, რომლის შესახებაც არც ერთი საჯარო განხილვა არ მოწყობილა, თბილისის მერიამ 2010 წელს დაამტკიცა. გეგმის მიხედვით, 2012 წლისთვის ამ ტერიტორიაზე გასართობ-დასასვენებელი პარკისა და მუსიკისა და დრამის თეატრის მშენებლობა უკვე დასრულებული უნდა იყოს.

10 ჰექტარზე გადაჭიმული პარკი, რომელსაც საქართველოს რეკის ფორმა აქვს, ესპანელი არქიტექტორის, ბათუმის ბულვარის ავტორის, ალბერტო დომინგო კაბოს ნამუშევარია. მერიის გან განსხვავებით, კაბოს კომპანიის საიტზე პირდაპირად მითითებული, რომ პარკის მშენებლობა დაახლოებით 2,5 მილიონი ევრო დაჯდა.

იმ დეტალების გათვალისწინებით, რაც არქიტექტორმა რიყის პარკის დაპროექტებისას ჩაითვირთა, აქაურობა, წესით, მართლაც უნდა დაემსგავსოს ნამდვილ გასართობ პარკს, როგორიც დედაქალაქს დღეს საერთოდ არ აქვს: საფეხმავლო ბილიკებს შორის წყლის არხები მოეწყობა, გამზვანებულ ზონებს სპორტული კომპლექსი და ატრაქციონები შეცვლის. აქვე იქნება



ამფითეატრი და სამგაზნომილებიანი, მოცეკვავე შადრევანიც. პარკი სიმბოლურად საქართველოს კუთხების მიხედვით დაიყოფა და გარეულწილად გაიმეორებს ამა თუ იმ რეგიონის ლანდშაფტს: მაგალითად, რიყის მინილს, რომელიც თბილისის „განსახიერებს“ „მტკვარი“ გაჰყოფს ორ ნაწილად, ჩრდილოეთით კი, კავკასიონის მთების იმიტაციით, ონავ შემაღლებული ადგილი გაეთდება.

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორი, გიორგი საბანაძე პროექტის ტურისტულ დატვირთვაზე საუბრობს: „აქ განთავსდება საინფორმაციო ჯისურები ტურისტებისთვის, სადაც დარიგდება საინფორმაციო ბუკლეტები ტურისტული მარშრუტების შესახებ. ყველას შეეძლება, გაიგოს, თუ საიდან და რა მიმართულებით შეიძლება ძველი თბილისის დათვალიერება“, – ამბობს საბანაძე.

არქიტექტორი კოკა ამირეჯიბი რიყე-



■ პროექტი, რომლის შესახებაც არც ერთი საჯარო განხილვა არ მოწყობილა, თბილისის მერიამ 2010 წელს დაამტკიცა. გეგმის მიხედვით, 2012 წლისთვის ამ ტერიტორიაზე გასართობ-დასასვენებელი პარკისა და მუსიკისა და დრამის თეატრის მშენებლობა უკვე დასრულებული უნდა იყოს.

ზე სარეკრეაციო ზონის გაშენებას ყველაზე „უპრობლემო“ და „უკონფლიქტო“ გადაწყვეტილებას უწოდებს: „ნებისმიერი არქიტექტორული პროექტი იწვევს დიდ პროტესტებს და აზრია სხვადასხვაობას, რასაც ნაკლებად იწვევს სარეკრეაციო ზონები. თუ გემოვნებით, ხარისხიანად და თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით გავეთდა, შეიძლება ეს მართლაც აღმოჩნდეს წარმატებული პროექტი, რომლის სანინააღმდეგოც პირადად მე არაფერი მექნება“, – აღნიშნავს ის.

ურბანისტები ჯერ ვერაფერს ამბობენ რიყეზე დაგეგმილი მეორე მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ. ესაა

კლდიდან გამომავალი, მიღის ფორმის, ორი ერთმანეთთან დაკავშირებული ნაგებობა, სადაც მუსიკისა და დრამის თეატრი და საგამოფენი დარბაზი უნდა განთავსდეს. პროექტის ავტორი ცნობილი იტალიელი არქიტექტორი, მასიმილიანო ფუქსასია, რომელსაც შანამდევ მიღიანის საერთაშორისო ბაზრობის შენობა, ნიუ-იორკში ჯორჯი არმანის მოდის სახლი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობები აქვს დაპროექტებული.

კოკა ამირეჯიბის თქმით, ამ შემთხვევაშიც, პროექტისა და მისი კონცეფციის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობა სპეციალისტებს, ისევ და ისევ, ინფორმაციის დახურულობის გამო უჭირთ,

თუმცა არქიტექტორის სახელის გაგება მათთვის უკვე ბევრს ნიშნავს: „ეჭვი არ მეპარება, რომ ფუქსასის გაკეთებული ცუდი არ იქნება, ძალიან მაღალი კლასის არქიტექტორია და მე მას ვენდობი“, – ამბობს ამირეჯიბი.

ამ ეტაპზე რიყის პარკი უკვე სანახევროდ გაშენებულია. დამონტაჟებულია განათებები, გაყვანილია ბილიკების ნაწილი, მთავრდება დეტალების მოპირკეთება. რაც შეეხება, ფუქსასის ავტორობით შექმნილ ორ შენობას, გიორგი საბანაძის თქმით, ეს პროექტი 2-3 თვეში დამტკიცდება და მისი კონცეფცია, საგარაუდოდ, ძირეულად არ შეიცვლება. ■



ოჯახი

# ჩოსა აღა ხა სახადაზე

სიბერე შინ, შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში, თუ პანსიონატში?

ცირა გვასალია



თემქის ხანდაზმულთა პანსიონატი, თბილისი 2011

დიდხანს მოცდა არ მჭირდება. დაკავუნებიდან რამდენიმე წამში თეთრად შეძებილ ხის კარს ჩია, თეთრობიანი ბერიკაცი აღებს და შეგნით უსიტყვოდ მეპატიუება. 13-იოდე კვ.მ. ოთახის მთელი ატრიბუტიკა რკინის სანილი და ნახატებით სავსე მომცრო მაგიდაა. კედელზე ქალის ჩარჩოში ჩასმული შავ-თეთრი ფოტო ჰქიდია.

„ჩემი გარდაცვლილი მეუღლეა“, – მისნის 87 წლის შოთა ბიძინაშვილი და მაგიდის უჯრიდან სხვა ფოტოებსაც იღებს: „ეს ნოვგოროდშია გადაღებული. ეს – ჩემი შვილი და მე, ეს – ჩემი მეუღლე და მე“.

ბატონ შოთას მეუღლე და ქალიშვილი გარდაცვალა. ქალიშვილისგან კი ორი შვილიშვილი დარჩა. ამიტომ, 3 წლის წინ, სრულიად მარტოდ დარჩენილმა, მიიღო აბსოლუტურად შეგნებული გადაწყვეტილება, საკხოვრებლად მოხუცთა პანსიონატში გადასულიყო. დაწერა განცხადება თბილისში, თემქის ხანდაზმულთა პანსიონატის სახელზე და რიგში ჩადგა. სამწლიანი ლოდინის შემდეგ, პანსიონატში მიიღეს.

შოთა ბიძინაშვილთან ერთად დღეს იქ 113 ხანდაზმული ცხოვრობს. ეს ნიშავს, რომ პანსიონატი სავსეა – მიუხედავად იმისა, რომ წელს მესამე სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკა გააუქმეს და მის ადგილს დამატებითი ოთახები მოაწყვეს, მეტის ადგილი იქ ჯერჯერობით არ აქვთ. ამიტომ მსურველთა 26-კაცან

# საზოგადოება

სიაში რეგისტრირებული მოხუცები პან-სიონატში მხოლოდ მაშინ მოხვდებიან, როცა რომელიმე ადგილი გათავისუფლდება.

კერძო და სახელმწიფო პანსიონატების ხელმძღვანელები ასკვინიან, რომ მოხუცთა თავშესაფრებზე მოთხოვნა ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ერთ-ერთ კერძო პანსიონატშიც ამბობენ, რომ მათ პროგრამაში ჩარიცხვის მსურველები, თუ მათი ნათესავები ყოველდღე 5-6-ჯერ მაინც რეკავენ.

საქართველოში მოხუცებისთვის ორი სახელმწიფო დანესხულებაა გახსნილი – ერთი თბილისში, თემქაზე, მეორე – ქუთაისში. თბილისში ასევე მოქმედებს 15-მდე კერძო ორგანიზაციაც, სადაც მოხუცებს საცხოვრებლად გადასვლა შეუძლიათ.

პირობები სახელმწიფო და კერძო პანსიონატებს შორის რადიკალურად განსხვავდება. თემქაზე მაგალითად, ზა-

მთრობით სასადილო ოთახი უქმად ცდება, რადგან პირველ სართულზე გათბობა არაა და მოხუცებს იქ ვერ ასადილებენ. პანსიონატის ბინადართა ოთახებიც ელექტროლუმელებით ინდივიდუალურად

თბება და ასე იქნება იქამდე, ვიდრე მომავალ წელს მთელ შენობაში არ გაიყვანენ ცენტრალურ გათბობას. კერძო ორგანიზაცია „ბეთელში“ მცხოვრებ 90 წლის ელენე კობახიძეს კი ნათელი და თბილი ოთახი აქვს, საკუთარი, ახლად გარემონტებული სველი წერტილით, კომფორტული ავეჯით, ფუტურულა სანოლით, დიდი ფანჯრითა და ტელევიზორით. ამ კომფორტისთვის ელენე კობახიძე ყოველთვიურად საკუთარი პენსიის ნახევარს იხდის. სახელმწიფო პანსიონატებში მცხოვრები თითოეული მოხუცებისთვის კი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ბიუჯეტიდან თვეში 600 ლარს გამოყოფს და მოხუცებს დამატებით არაფრის გადახდა აღარ სჭირდებათ. თუმცა, კანონის თანა-

ხმად, ამ თანხის მიმღები აუცილებლად სოციალურად დაუცველი პირი უნდა იყოს. თუმცა, ფაქტია, რომ გაძირებულ ფასებთან და, რაც მთავარია, სიბერის თანმხლებ დაავადებებთან გამკლავება, მხოლოდ საკუთარი პენსიით, ანუ თვეში საშუალოდ 80 ლარით, ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელ მოხუცს უჭირს.

ეს კიდევ რთულია 2011 წლიდან – მას შემდეგ, რაც სახელმწიფო პროგრამის საკმაოდ გრძელი სათაური – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა, და მზრუნველობამოცებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა“ – ერთი სიტყვით შემოკლდა: პროგრამის სახელწიფიდებიდან ამოგარდა სიტყვა „ხანდაზმული“. ამ მცირედი ლექსიკური ცვლილების გამო კი, მოხუცების დაცვა კანონიერ ჩარჩოების გასცდა და ახლა სახელმწიფოს ზრუნვა მოხუცებზე მხო-

## მიზანის ბავლენა ხანდაზმულებზე



როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაცია ხანდაზმულთა კეთილდღეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

სოფლიდან ქალაქში ნასულ შვილებს მშობლების მარტო დატოვება უნევთ. ახალგაზრდების ნანილი დედაქალაქში სასწავლებლად მიდის, ნანილი – სამუშაოდ. მშობლებს კი საკუთარი სახლის და იქ ანუ-

ბილი მეურნეობის დატოვება არ სურთ. დედაქალაქში მათი ჩამოსვლა უფრონებილი დარჩენის საფრთხეს ქმნის. თუ-

მცა, არც შვილებისგან შორს ყოფნა რგებს მათ ემოციურ მდგომარეობას.

საქართველოში მიგრაციის გავლენებს ხანდაზმულებზე მიგრაციის მკვლევარი, მი-

კვლევა საწყის სტადიაშია, 2 წელს უნდა გაგრძელდეს და 4 ათასი ადამიანი გამოიკითხოს.

თუმცა აქამდე მოპოვებული მასალა ვანორს აძლევს საშუალებას, გარკვეული ტენდენცია უკვე გამოყოფს: მან უკვე იპოვა 30 ხანდაზმული თბილისში, რომელსაც შვილებმა სახლი და სხვა სახის ქონება გაუყიდეს, თვითონ საზღვარგარეთ გადაიხვდნენ, მიტოვებულ მშობლებს კი არც ფულს უგზავნიან და არც ურეკავენ. ეს 30 ხანდაზმული ამჟამად ხანდაზმულთა თავშესაფარ „კათარზისში“ ცხოვრობს.

მსოფლიო პანკის მონაცემებით, ქართველ ემიგრანტთა რიცხვი 1 მილიონ 500 ათასს აღწევს. მიგრაციაში მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი ნანილი მიდის. სწორედ ამიტომ, მიქაელა ვანორის თქმით, მიტოვებულ ხანდაზ-

მულებზე ზრუნვა უფრო ხილული პრობლემა მომავალში გახდება.

„ხშირ შემთხვევაში, მოხუცებს სწორედ შვილების ახლოს ყოფნა აკლიათ. სტრესი, მიტოვებულობის განცდა, სტიგმა, რომელიც ტრადიციულ საზოგადოებაში შვილების მიერ მშობლის მიტოვებას უკავშირდება, ძალიან მაღალია, – აღნიშნავს ვანორი, – როცა საზოგადოებაში საოჯახო კავშირები მყარია, ივარაუდება, რომ შვილები და შვილიშვილები შენთან ახლოს უნდა გყავდეს. საზღვარგარეთ წასულებს კი ხშირად, შვილებულ თან მიჰყავთ და სწორედ ამით ირღვევა ბებია-ბაბუებისა და შვილიშვილების კავშირი – ის, რაც ტრადიციულ საზოგადოებაში ასე მნიშვნელოვანია“, – ამბობს მკვლევარი.



თემპის ხანდაზმულთა პანსიონატი, თბილისი 2011

ფოტო ლევან გაგარინი

ღოღ იმ 600 ლარით გამოიხატება, რომელიც პანსიონატში მცხოვრებ თითოეულ მოხუცზე წელიწადში იხარჯება.

ამიტომ ბევრი ხანდაზმულისთვის, რომელიც სიბერეში სხვადასხვა მიზეზის გამო, მარტო დარჩა, თავშესაფარში გადასვლა არის არა მხოლოდ მარტონბასთან გამელავებისა და ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნების შანსი, არამედ, პირველ რიგში, კვების, ღამის გასათევისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მინიმალური პაკეტის მოპოვების საჭალებაც.

თემპის ხანდაზმულთა პანსიონატში მცხოვრებ მოხუცებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი იქ განსხვავებული მიზეზებით მოხვდნენ. ზოგი უსახლკაროდ დარჩა, ზოგს შვილი გარდაეცვალა და საკუთარ თავზე ზრუნვა მარტომ ვეღარ შეძლო, ზოგს კი შვილიც ჰყავს და შვილიშვილებიც, მაგრამ მათთვის ზედმეტ ბარგად რომ არ ქცეულიყო, მინც აქ მოსვლა გადაწყვიტა, თვითონვე მოიძია ეს პანსიონატი და განცხადებაც თავისი ხელით დაწერა. თუმცა, იმას, რომ პანსიონატში წამოსვლა შვილების გამო გადაწყვიტეს, მოხუცები იშვიათ

შემთხვევაში აღიარებენ. პანსიონატის ფსიქოლოგი, ელენ არლვლიანი ამბობს: „შეიძლება სახლიდან არ გააგდონ, მაგრამ თვითონ მოხუცი გრძნობს ყველაფერს და არ უნდა, ზედმეტი ტვირთი გახდეს. ამიტომ გამორჩის ოჯახიდან, მაგრამ, რაც არ უნდა შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი, შვილებისა და შვილიშვილების სახელს მაინც უფრთხილდება და ცრუობს, რომ აქ მოსვლა თვითონ გადაწყვიტა“.

დერეფანში საუზმის მიმტანები ბორბლებიან მაგიდას მიაგორებენ, საუზმე პანსიონატში ახლახან დასრულდა. მოხუცებმა ბრინჯის ფაფა რძით, ჩაი, შაქარი, პური და პერენია მიირთვეს. ერთ-ერთ ოთახში, მაგიდას სათვალიანი, ჭალარათმიანი ქალბატონი უზის. სარკის წინ პომადა, იოდი და სავარცხელი უდევს. ეკდელზე კი პატრიარქისა და შვილების სურათები აქვთ გაკრული.

„აქ რატომ მოვედნ? – ხმა ებზარება მას, – ჩემს ორივე ვაჟს საკუთარი ოჯახი ჰყავს. დედამთილთან ერთ ქერ-ქვეშ ცხოვრება კი რძლებმა არ მოისურვეს“.

„კარგი შვილების პატრონს აქ რაუნდა? – ამბობს კიდევ ერთი ქალბატო-

ნი კერძო პანსიონატიდან, რომელსაც საკუთარი სახელის გამხელა არ სურს, – რძალმა დამინგრია ოჯახი. გოგო კი ეს-პანეთშია და მეც აქ ამიტომ ვარ“.

იმ სირცეზების მიზეზი, რასაც თუნდაც ეს ქალბატონები პანსიონატში ცხოვრების გამო განიცდიან, ადგილობრივი ტრადიციებია. ზოგადად, კავკასიური და მათ შორის, ქართული წეს-ჩვეულებების მიხედვით, ჩვენთან დღემდე ნორმალურად ითვლება ის, რომ ერთ ქერ-ქვეშ ცხოვრობდნენ იჯახის სამივე თაობის ნარმომადგენლები. შესაბამისად, ასეთ საზოგადოებაში პანსიონატში გადასვლა საყოველთაოდ მიღებული ნორმის დარღვევად ითვლება და ხანძიშესული ადამიანებისთვის ისეთ ფსიქოლოგიურ ტრაქმას იწვევს, რომ შეიძლება, მათ დღეგრძელობაზეც იმოქმედოს.

1980-იან წლებში, საქართველოს თერაპიის ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ ქართველი მოხუცის დღეგრძელობა პირდაპირ კავშირშია მის საცხოვრებელ ადგლოთან: საკუთარ ოჯახში მცოდი მოხუცი უფრო დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც ნაჩვევ გარემოს მოშორებულია.

# საზოგადოება

„კავკასიაში მიღებულია, რომ მოხუცი შვილებთან და შვილშვილებთან უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ მათთვის ზედმეტ ტვირთად არ უნდა იქცეს, – ამბობს გერონტოლოგი, ტატიანა ზუბიძვილი, – შვილი ვალდებულია, მოხუც შშობელს უკან დაუბრუნოს ის ამაგი, რაც დედამ და მამამ ახალგაზრდობაში მისთვის გასცეს“.

წლების განმავლობაში ასე მკაცრად გაწერილი ურთიერთობების გამო კი, ბუნებრივია, შშობლის თავშესაფარში გაგზავნა ბევრი შვილისთვის სინდისის ქრისტიანის მიზეზი ხდება, რეგონებში კი, თითქმის მიუღებელ, ნარმოუდგენელ საჭიროდა ითვლება.

„დარჩმუნებული ვარ, რომ მოხუცების თავშესაფარში, ზუგდიდში რომ გახსნან, იქ თავის შშობელს არავინ მიიყვანს“, – ამბობს სამეგრელოში მცხოვრები ქალბატონი, რომელიც მოხუცების შინ მოვლის ინსტიტუტის განსავითარებლად უნდა გამოვიყენოთ.

ფონდ „თაობის“ დირექტორის, უჩა ვახანისათვის, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა, უბრალოდ, ფასდაუდებელი რესურსია, რომელიც მოხუცების შინ მოვლის ინსტიტუტის განსავითარებლად უნდა გამოვიყენოთ.

„აჭარაში ავადმყოფის მოსავლელად უცხოს არ მიგაკარებენ. ავადმყოფი წევს გაქათქათებულ თეთრეულში, მარტოხელაც რომ იყოს, მეზობელი არ მიგიშვიბს, რომ დაბანო. თემის სირცხვილი იქნება, რომ ვიღაც მედდა მოვიდეს და რაღაცით დაეხმაროს მოხუცს. ეს შესანიშნავი ტენდენციაა და უზარმაზარი რესურსი – თემის თანადგომის კულტურა“, – ამბობს ვახანია.

ვახანია საქართველოში შინმოვლის კოალიციას ხელმძღვანელობს და ფიქრობს, რომ ჩვენთან ხანდაზმულთა კერძო პან-სიონატების მომრავლების ნაცვლად, სახელმწიფო რესურსის დიდი ნაწილი სწორედ მოხუცთა შინმოვლის სამსახურის განვითარებაზე უნდა დაიხარჯოს.

მისთვის დაუშვებელია მიდგომა, როცა შვილები მშობლების თავიდან მოშორებას შესაძლო შედეგებზე დაუფიქრებლად ცდილობენ. „ახლახან დარეკა ჩვენთან ვიღაცამ და იყითხა: „მოხუცებს თქვენთან იბარებენ?“ ვუპასუხე, „არა, ჩვენთან ბოთლებს იბარე-

ბენ-მეთქი. ეს თბილისიდან შემოსული ზარი იყო და უარესებიც არის. მინახავს კარგი თავშესაფრები, მაგრამ იქ ბედნიერი სახეები – არა. ბედნიერება მოხუცისთვის მხოლოდ საკუთარ სახლშია, მოხუცი ავადმყოფის მოვლა „ოჯახის ლირსებაა“.

უჩა ვახანია ახლა შინმოვლის ქართულ მოდელზე მუშაობას და გეგმის პარლამენტში წარდგენას შემოდგომისთვის აპირებს. მისი გეგმის მიხედვით, მოხუცების მოვლის ძირითადი სახელმწიფო მიდგომა „ქვეყნის კულტურის ორგანული ნაწილი უნდა იყოს“. სწორედ ამიტომ, თითოეული მოხუცი საკუთარ სახლში უნდა დარჩეს, ოჯახის წევრებს კი მის მოვლაში სახელმწიფოს მიერ დაქირავებული ექთანი, ექიმი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი უნდა დაეხმაროს. მათი მოვალეობა იქნება მოხუცის დაბანა, ჩატვასა და საკვების მიღებაში დახმარება, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, სოციალური მომსახურების შესახებ ინფორმირება და ზოგჯერ პენსიის ასაღებად ბანქშიც წასვლაც, თუ ეს მოხუცს თვითონ არ შეუძლია, ან მისი შვილები იმ მომენტში ადგილზე არ არიან. ვახანიას პროექტის მიხედვით, სახელმწიფოს ეს მომსახურება თითოეული მოხუცის შემთხვევაში წლიურად 2000 ევრო დაუჯდება.

თუმცა ეს მოდელი წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუკი, ყველა, ვისაც მოხუცი მშობელი ჰყავს, გააცნობიერებს იმას, რომ სანშიშესულ დედაზე და მამაზე ზრუნვა მხოლოდ კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა, მისი საჭირო მედიკამენტებით მომარაგება, ანდა პროფესიონალი ექთნის მომსახურებით უზრუნველყოფა არაა. ცხადია, შვილებთან და შვილშვილებთან ყოველდღიური ურთიერთობა თითოეული მოხუცისთვის ძალიან ძვირფასი რამაა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მათთვის კომფორტსა და ოჯახურ ურთიერთობებზე გაცილებით უფრო აქტუალური და მტკიცენებულიც შვილების სახლში უფრნეციოდ გამოკეტვა ხდება.

ამ მდგომარეობაში ზოგიერთი მოხუცი საკუთარ საქმეს და ძველ სტატუსსა და გავლენას მისტირის, ზოგიერთისთვის კი



მტკიცენებულია თუნდაც საკუთარი ხელით აშენებული სახლისა და კარ-მიდამოს დატოვება მხოლოდ იმიტომ, რომ ქალაქში გადასახლებულ შვილებს სოფელში დარჩენილ მშობლებზე ზრუნვა შორიდან უჭირთ.

„ჩემი ხელით გაშენებული ბაღ-ბოსტანი და ხეხილი მქონდა, დიდი სახლიც. მაგრამ შვილები დაქორწინდნენ, ცალკე ცხოვრობენ და მე კიდევ უკვე მოვხუცდი, ოჯახის მოვლა არ შემძლია“, – ამბობს ქალბატონი, რომელიც იძულებული გახდა, საკუთარი სახლი დაეტოვებინა და საცხოვრებლად თემების პანსიონატში გადასულიყო.

სწორედ ამ პრობლემიდან პოულობენ გამოსავალს ევროპასა და ამერიკაში



ფოტო: ლეილა გურიაშვილი

## ■ „ახლახან დარეკა ჩვენთან

ვიღაცამ და იყითხა:

„მოხუცებს თქვენთან  
იბარებენ?“ ვუპასუხე, „არა,  
ჩვენთან ბოთლებს იბარებენ-  
მეთქი. ეს თბილისიდან  
შემოსული ზარი იყო და  
უარესებიც არის. მინახავს  
კარგი თავშესაფრები, მაგრამ  
იქ ბედნიერი სახეები – არა.  
ბედნიერება მოხუცისთვის  
მხოლოდ საკუთარ სახლშია,  
მოხუცი ავადმყოფის მოვლა  
ოჯახის ღირსებაა“.

თემქის ხანდაზმულთა პანსიონატი, თბილისი 2011

მცხოვრები მოხუცები, როცა საცხო-  
ვრებლად პანსიონატებში გადადიან.  
თუმცა, ეს დღეს მათთვის გაცილებით  
ნაკლებ მტკიცნეულია, ვიდრე – ქარ-  
თველი მოხუცებისთვის. თუკი საქარ-  
თველოში თავშესაფრაში ცხოვრება  
მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებასთან,  
ანდა დიდ ოჯახეურ პრობლემასთან ასო-  
ცირდება, დასავლურ კულტურაში ეს  
ხშირად მოხუცისთვის არის, უბრალოდ,  
შანსი, ისევ სრულფასოვნად იცხოვოს  
და საკუთარი ასაკის ადამიანებთან ახა-  
ლი ურთიერთობები დაამყაროს.

სოციალიზაციის შანსი მოხუცებს თე-  
მქის ხანდაზმულთა პანსიონატშიც ეძ-  
ლევათ. თუმცა ბოლო ერთი თვეა, ისი-  
ნი მაინც განსაკუთრებული სიხარულით

ელიან ოთხშაბათი დღის დადგომას,  
როცა პანსიონატში 16 წლის ირაკლი  
დვალიშვილი მივა. ირაკლიმ თემქის პან-  
სიონატში სიარული თავისი სურვილით  
დაიწყო. როგორც თვითონ ამბობს, ეს  
გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც  
ბებიას ინსულტი დაემართა და მის მო-  
ვლაში დედას თვითონაც ეხმარება. პან-  
სიონატში რამდენიმე სტუმრობის შემდეგ  
მან საერთო თენგიზ ხეჩიაშვილთან იპო-  
ვა. ხეჩიაშვილის შვილიშვილები რუსეთში  
ცხოვრობენ. ამიტომ იმ დანაკლისს, რაც  
ბაბუას შვილიშვილების შორს ყოფნის  
გამო აქვს, ირაკლისთან ურთიერთობით  
ივსებს.

„ამ მოხუცმა მითხრა, 34-ჯერ ვარ პა-  
რაშუტიდან გადმომხტარიო და ძალიან

დამაინტერესა. მეც მიყვარს ასეთი რა-  
ღაცები. მინდა, მეც გადმოვხტე, – ამ-  
ბობს ირაკლი, – აქ სიარული ძალიან  
მომწონს, მიყვარს მოხუცები და ბევრს  
ესწავლობ მათგან. ვისაც საკუთარი  
არ ჰყავს, შვილიშვილადაც კი მთვლის.  
ჩემი ბებია რომ აქ იყოს, რატომ დამწყ-  
დებოდა გული? ისე ხშირად ვერ ვიქ-  
ნებოდი მასთან, როგორც სახლში ვარ.  
მოხუცებს შვილიშვილებთან ყოფნა უნ-  
დათ“.

უკვე თვეზე მეტია, რაც ირაკლი ყო-  
ველ ოთხშაბათს დოლიძის ქუჩიდან თე-  
მქაზე ადის და მოხუცებთან სამ საათს  
ატარებს: უსინათლოებს პრესას უკითხა-  
ვს, ზოგს სპორტზე ესაუბრება და ნარდ-  
საც ეთამაშება. **■**

# კართვის ტერიტორიაზე და მიწაცემების



მარკ მალენი

ქართული ტრადიციების შესახებ საქართველოში ჩამოსული ყველა სტუმარი, ალბათ, ძალიან ბევრს ისმენს. ეს ტრადიციები იმაზე სწრაფად იცვლება, ვიდრე ხალხს ჰგონია. 1921 წლამდე ბევრი ისეთი საუკუნოვანი ტრადიცია არსებობდა, რომელიც ახლა დავინუებულია. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი საბჭოეთიდან ზოგიერთი ისეთი ჩვეულება შემოგვრჩა, რომელიც ქართველებს ქართული ჰგონიათ. ბევრი „ტრადიცია“ ბოლო ხანებში გაჩნდა. ამის მიუხედავად, საქართველოს ახასიათებს გარკვეული კულტურული ნიშნები, რომელსაც ყველა აქ მცხოვრები ცნობს, მაგალითად, სტუმართმოყვარეობა და მეგობრობისა და ოჯახისადმი ერთგულება. სწორედ ამ ტრადიციებზე მინდა ვისაუბრო, რადგან ისინი, როგორც ჩანს, ყველაზე მდგრადია.

ის, თუ რატომ წარმოიშობა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, რთული საკითხია. ბევრი უდაბნოსა და მთის კულტურა სტუმართმოყვარეობით გამოიჩინა. შესაძლოა, საუკუნეების მანძილზე, დიდ იმპერიებს შორის მოქცეულ უძველეს პატარა ქვეყანაში სტუმრების გულთბილად მიღება პრაგმატული საქციელი იყო. რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, ყველა ჩამოსული სტუმარი მიიჩნევს, რომ საქართველოში სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. ამავე დროს, სტუმართმოყვარეობას სხვა მიზნე-



ბისთვის ხელის შეშლა შეუძლია.

საქართველოში ბევრი შესანიშნავი ქართველი აკადემიკოსია, მაგრამ აქ აკადემიური ხარისხის ფლობა არ არის იმის გარანტია, რომ მისი მფლობელი კონკრეტულ სფეროში ნამდვილად ექსპერტია. ხშირად, როდესაც დოქტორის ხარისხის მასიებელი დისერტაციას იცავს, დაცვის ცერემონიალზე თავის მეგობრებს პატიუჟს. გაცილებით მეტ მეგობარს კი დაცვის შემდეგ გამართულ ბანკეტზე ეპატიუჟს. ყველა პროფესორი, ვინც პროცესი ჩართულია, ასევე დაპატიუჟულია. უჩვეულოდ მკაცრი გამომცდელი ან უჩვეულოდ არაკავალიფიცირებული კანდიდატი უნდა იყოს, რომ დასერტაციის დაცვა ჩაფლავდეს. გულუხვიბა, სტუმარმასპინძლობა და საჯაროდ ვინმეს დამცირებისგან თავის შეკავება, საბოლოო ჯამში, ინვევს იმას, რომ ნაკლები კარგად შემოწმებული ნაშრომი იწერება. ქართული სამეცნიერო ხარისხების სტანდარტი დაბალია იმის გამო, რომ ადამიანებს სურთ, გამოჩნდნენ ზრდილობიანები.

საქართველოში კიდევ ერთი ძალიან დაფასებული ინსტიტუტი მეგობრობაა. სიტყვები „ძმაკაცი“ და „დაქალი“ ინგლისურში ან რომელიმე სხვა ენაში არ არსებობს. ეს სიტყვები გამოხატავს ისეთ მეგობრებს, რომლებიც ისევე ახლოს არიან შენთან, როგორც – და ან ძმა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენ მსოფლიოში არ არსებობს მჭიდრო ურთიერთობები, უბრალოდ, საქართველოში ეს ურთიერთობები ერთმანეთის დაცვასთან არის დაკავშირებული. ხშირად, როდესაც ადამიანები ახლო მეგობრებზე საუბრობენ, ისინი არ გულისხმობენ ხოლმე ისეთ მეგობრებს, რომლებთანაც ყველაზე ღიად საუბრობენ, ან ვისთანაც ყველაზე მეტ დროს ატარებენ, ან ვის აზრაც აფასებენ. მათ მხედველობაში აქვთ ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ ყველა შემთხვევაში დაიცავენ და ვისაც შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, დაურეკონ. ზოგჯერ გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნამდვილი მეგობარი მაშინ, როდესაც

მისი მეგობარი რაიმე ცუდს სჩადის. ამ პროცესმა შეიძლება, საზოგადოება დაანაწევროს მეგობრების ისეთ ვიწრო ჯგუფებად, რომლებიც მხოლოდ ერთმანეთის მიმართ იქნებიან ერთგულნი.

მოდი, ნარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი მუშაობს რომელიმე ორგანიზაციაში და პასუხისმგებელია ახალი კანდიდატების მიღებაზე. მის ახლო მეგობარს შეაქვს განაცხადი, მაგრამ მასზე უფრო კვალიფიცირებული კანდიდატებიც გამოჩნდნენ. როგორ იქნება ამ გამოწვევაზე ქართულ კულტურაში გავრცელებული პასუ-

საქციელი გვონია და არა – მიუკერძოებელი ან გმირული.

ქართველებს აქვთ რეპუტაცია, რომ არიან უჩვეულოდ სტუმართმოყვარენი, სანდო და ნამდვილი მეგობრები და ეს დასაფასებელი თვისებებია. ამავე დროს, ქართველებს სჩვევიათ თავიანთი მეგობრების მხარდაჭერა მაშინაც კი, როდესაც მეგობრები ცდებიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ისეთი ერთგულებაა, რომელიც სცდება სამართლიანობისა და პატიოსნების საზღვრებს. და უფრო უარესიც, ხანდახან ქართული კულტურაში მეგობრისაგან მოითხოვს, რომ არაკეთილსინდისიერი საქციელი ჩაიდინოს.

პატიოსნება ბევრნაირად შეიძლება განვმარტოთ, მაგრამ ბევრ კულტურაში ამ სიტყვის ახსნის დროს იყენებენ ისეთ ცნებებსაც, როგორებიცაა: მიუკერძოებლობა და სამართლიანობა. პატიოსნება ასევე არის თვისება, რომელსაც ქართულ კულტურაში ისტორიულად დიდ პატივს სცემენ. ამ ფონზე, საინტერესოა იმ შემთხვევებზე დაკვირვება, როდესაც პატიოსნება და ერთგულება ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის. სწორედ ამ დროს ერთვება საქმეში ერთი, ხშირად გამოუყენებელი, თვისება – მიუკერძოებლობა. პატივი ვცეთ მათ, ვინც სამართლიანობისთვის სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან მიზნებს სწირავს; მათ, ვინც მხარს უჭერს სამართლიან სისტემას და მიუკერძოებლობას.

ქართულ ისტორიას და ლიტერატურას თუ გადავავლებთ თვალს, მიუკერძოებლობის ბევრ შემთხვევას აღმოვაჩენთ. უკან უნდა გავიხედოთ და მათი არსებობა აღმოვაჩინოთ. ტრადიციები კულტურებს ერთმანეთისგან განასხვავებს. მაგრამ ამავე დროს, თუ მათ არ გადავამოწმებთ, ვიღაც ამ ტრადიციებს აუცილებლად გამოიყენებს ბოროტი მიზნებისთვის და შემდეგ პროცესის გაკონტროლებაც შეუძლებელი გახდება. არის კულტურები, რომლებსაც ტრადიციები ანადგურებს და კულტურები, რომლებსაც ტრადიციები გადაარჩენს. მოდი, მივბაროთ ამ უკანასკნელებს. ■

**■ ქართველებს სჩვევიათ  
მეგობრების მხარდაჭერა  
მაშინაც კი, როდესაც  
მეგობრები ცდებიან. ეს ისეთი  
ერთგულებაა, რომელიც  
სცდება სამართლიანობისა  
და პატიოსნების საზღვრებს.  
და უფრო უარესიც, ხანდახან  
ქართული კულტურა  
მეგობრისგან მოითხოვს,  
რომ არაკეთილსინდისიერი  
საქციელი ჩაიდინოს.**

ხი? მეგობრის კონკურენტის CV-ის გადაგდება? ამ სამსახურში რომ მიიღონ, მეგობარს, ალბათ, ყველანაირად დაეხმარები. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, თუ მეგობარი გეყოლება კოლეგად, ვიდრე – უცნობი. ამიტომ პირადად ხდები დაინტერესებული, თავიდან მოიშორო მეგობრის უცნობი კონკურენტი, რომელიც, სინამდვილეში, კვალიფიციური კადრია. მსგავსი სცენარი შეიძლება გათამაშდეს ნებისმიერ დაწესებულებაში. თუ კანდიდატებს თანაბარი ან თითქმის თანაბარი მონაცემები აქვთ, მაშინ შენი ნაცნობის აყვანა, რომელსაც მეტად ენდობი, უფრო ლოგიკური გეჩვენება. მის მიღებაზე უარის თქმა კი უცნაური

# ეონაცეი ამიტე!



თუ დონალდ ტრამპი პრეზიდენტობაზე კენჭისყრას გადაწყვეტს, 2012 წელი ამერიკაში ნამდვილად საინტერესო იქნება.

გიორგი ცხადაია

დონალდ ტრამპი ამერიკის პოლიტიკისთვის ერთგვარი კულტურული სიმბოლოა – მდიდარი, ქარიზმატული, სკანდალური „სელებრითი“, რომელსაც პოლიტიკური ამბიციები უჩნდება. ცნობილია ასეთი კანდიდატების პოლიტიკური ჩვევებიც: მედიაში სკანდალებით მანიპულაცია, დამოუკიდებელი („ზეპარტიული“) პოლიტიკური პოზიცია და პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ გალაშერება.

დღევანდელ ამერიკაში ამ ფორმულაზე მორგებას მხოლოდ ორი ადამიანი შეძლებს: „ფოქს ნიუსის“ მფლობელი, ნარმოშობით ავსტრალიელი მედიამაგნატი რუპერტ მერდოკი და უძრავი ქონების მაგნატი დონალდ ტრამპი.

მერდოკს, როგორც ნატურალიზირებულ ამერიკის მოქალაქეს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს, ტრამპი კი თავისი კანდიდატურის დაყყენებაზე სერიოზულად ფიქრობს და უკვე ერთგვარი წინასაარჩევნო კამპანიაც წამოიწყო.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის სურვილი საჯაროდ გამოთქვა, ტრამპს პირველი მედია სკანდალის შექმნაზე ბევრი არ უფიქრია და მაშინვე ე.წ. birther-ების საყვარელი თემა წამოსწია – ობამას დაბადების ადგილი და მისი ამერიკის მოქალაქეობა ეჭვის ქვეშ დააყენა.

„თეთრმა სახლმა“ ბრალდებებს უპასუხა და პაგას შტატს ობამას დაბადების მოწმობის გამოქვეყნება სთხოვა. ტრამპს უსაფუძვლო და აბსურდული ეჭვების გამოთქმისთვის ბოდიში არ მოუხდია, პირიქით, დოკუმენტის გამო-



ქვეყნება საკუთარ წარმატებად ჩათვალა და იქვე დასძინა, რომ დოკუმენტის ავთენტურობას მომავალში თავად შეამოწმებს.

დაბადების მოწმობის თემა ტრამპს შემთხვევით არ წამოუწევია, ცნობილი ბიზნესმენი „მოთხოვნისა“ და „მინოდების“ კანონებით ხელმძღვანელობს. რამდენიმე თვის წინ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, რესუბლიკელების დაახლოებით ნახევარს არ სჯეროდა, რომ ობამა ამერიკის მოქალაქე.

ტრამპმა წინასაარჩევნო კამპანიის სხვა ელემენტებიც მსგავსი ბიზნეს სტრატეგიით ააწყო. 2000 წელს ის

აცხადებდა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა ყველა ამერიკელის კანონიერი მოთხოვნაა, ახლა კი ობამას ჯანდაცვის რეფორმას არაკონსტიტუციურს უწოდებს. ასევე, შეიცვალა პოზიციები აბორტთან დაკავშირებითაც და აბორტის მომხრეების რიგებიდან აბორტის მონინააღმდეგებში გადაინცვლა.

ტრამპისთვის პოლიტიკა ჯერჯერობით უცხო ხილია, ამიტომ მას თავისი საყვარელი „რეალითი შოუების“ პრინციპით უდგება. იგი ბოლო 6 წელია, სატელევიზიო რეალითი შოუ „შეგირდს“ („The Apprentice“) მასპინძლობს. ასეთი

შოუების ძირითადი მიზანი, როგორც წესი, პოპულარობის მოხვეჭა და შინაარსს მეორეხარისხოვნი მნიშვნელობა აქვს. ტრამპის მიერ „birther“-ების მხარდაჭერაც შეგვიძლია სწორედ ერთგვარ რეალითი შოუდ აღვიქვათ.

მართალია, დონალდ ტრამპი არჩევნებში მონაწილეობას რესპუბლიკური პარტიის პლატფორმით აპირებს, მაგრამ თავს მაინც დამოუკიდებლად – „independent“-ად მიჩნევს. მისი

**დაპადების მოწმობის  
თემა ტრამპს შემთხვევით  
არ წამოუწევია, ცნობილი  
ბიზნესმენი „მოთხოვნისა“  
და „მიწოდების“ კანონებით  
ხელმძღვანელობს.**  
რამდენიმე თვის  
ნინ ჩატარებული  
გამოკითხვების მიხედვით,  
რესპუბლიკელების  
დაახლოებით ნახევარს  
არ სჯეროდა, რომ ობამა  
ამერიკის მოქალაქეა.

აზრით, დამოუკიდებლობა ისეთი პოლიტიკის მხარდაჭერაში გამოიხატება, რომელსაც სხვა კანდიდატები ვერ ბედავენ, მაგალითად, ის ითხოვს ჩინეთის დასჯას ვალუტის კურსის მანიპულირებისთვის, არაბული კარტელების მიმართ უფრო მეაცრი პოლიტიკის გატარებას, საზღვარგარეთ ძირიადლირებული ომების დასრულებას. ერთის მისი ტრამპის ვერსია: „ჩვენ ვომობდით 10-12 წელი, დავკარგეთ ათასობით ჯარისკაცი, დავხარჯეთ 1.5 ტრილიონი დოლარი, და შემდეგ ამ ქვეყნების გასაღებები გადავეცით ისეთ ხალხს, ვისაც ვეზიზლებით“.

ტრამპის ამბიცია არა მხოლოდ დამუკიდებელი პოლიტიკური ორიენტაციის დაკავება, არამედ პოლიტიკური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ გაღაშქრებაა. მისი მთავარი დეკლარირებული მიზანი ვაშინგტონის პოლიტიკური კულტურის შეცვლაა.

ბოლო დროს მედია თავად ტრამპის ნარსული მოღვაწეობით დაინტერესდა. გაირკა, რომ ტრამპის უძრავი ქონების იმპერიის საქმიანობით უკმაყოფილო ადამიანები მის სანდოობას ეჭვევეშ აყენებენ. ზოგჯერ ტრამპი მხოლოდ თავისი ბრენდის ლიცენზიას ყიდის და პროექტში ინვესტიციას არ ახორციელებს. ასეთი შემთხვევა, როგორც აღმოჩნდა, რამდენჯერმე მომხდარა, მაგრამ ტრამპი თავს იმით იმართლებს, რომ დანარჩენ 50 შემთხვევაში პროექტები წარმატებით განხორციელდა.

მედიამ გამოიკვლია, რომ ტრამპი ოთხჯერ გაკოტერებულა. მილიარდერი თავს იმით იმართლებს, რომ გაკოტრების კანონმდებლობით მანიპულირებით ის ვალების დაგროვებას იცილებს თავიდან.

მილიარდერის კიდევ ერთი უხერხული ჩავარდნა „ტრამპის უნივერსიტეტია“, რომელსაც ჯერ ლიცენზირების წესის დარღვევაში ადანაშაულებდნენ, შემდეგ კი ერთ-ერთმა სტუდენტმა უკმაყოფილება გამოთქვა, რომ მას უნივერსიტეტის „მენტორები“ სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ და რომ მათი „სიხარუ“ აღმაშოთებელია. დონალდ ტრამპი ამ ბრალდებებსაც კატეგორიულად უარყოფს და მომჩივანი სტუდენტის საწინააღმდეგო სასამართლოში თავად შეაქვს სარჩელი.

პოლიტიკურ თამაში მონაწილეობას ტრამპი უკვე უნდა მიეხვედრებინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოლიტიკაში რეპუტაციის. მილიარდერმა ახალი დარტყმა ვაშინგტონის ისტებლიშმენტისგან, უფრო სწორედ კი, თავად პრეზიდენტ ობამასგან მიიღო. აქამდე პოლიტიკოსები პოპულისტურ ბრალდებებზე პასუხის გაცემას თავს არიდებდნენ (ამას საკუთარი თავის დამცირებად თვლიდნენ), მაგრამ ობამას ადმინისტრაციამ, როგორც ჩანს, აბსურდულ

ბრალდებებზე პასუხის ორიგინალურ გზას მაგნონ და პოლიტიკური სატირის ფორმას მიმართა.

იუმორისტული გამოსვლისთვის ობამამ შესაბამისი ადგილი გამონახა – თეთრი სახლის კორესპონდენტების ასოციაციის მიერ მოწყობილი სადილი, რომელსაც სხვა ცნობილ პოლიტიკოსებთან, ბიზნესმენებთან და უურნალისტებთან ერთად, თავად დონალდ ტრამპიც ესწრებოდა. ობამამ იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ ტრამპმა რესპუბლიკური პრეზიდენტობის კანდიდატის მასაჩუსეტსის ყოფილი გუბერნატორის – მიტ რომნის შემთხვევა უნდა გამოაშვარავოს – რომნიმ ხომ თავის დროზე მასაჩუსეტში ისეთივე ჯანდაცვის სისტემა შემოილო, როგორსაც ტრამპი დღეს გააფთრებით ეწინააღმდეგება.

„ვიცი, დონალდ ტრამპი ბოლო დროს კრიტიკის იბიქეტი ხდება, მაგრამ დღეს მართლაც არავინაა მასზე ბეჭინერი, რადგან მას უკვე შეუძლია დაბადების მოწმობის თემა გვერდზე გადადოს და ჭეშმარიტად ლირებულ საკითხებზე გაამახვილოს ყურადღება: მაგალითად, მართლა მოხდა თუ არა მთვარეზე დაჯდომა? რა მოხდა როსველში? (როსველი ნიუ-მექსიკოს ქალაქია, სადაც 40-იან წლებში მომხდარ აფეთქებას უცხოპლანეტილების ხომალდის ჩამოვარდნას აპრალებდნენ – გ.ც.) ან სადარიან „ბიგი“ (ცნობილი ამერიკელი რეპერი ნოტორიუს ბი-აი-ჯი) და თუფაე?“

როდესაც პოლიტიკური ამბიციების მქონე მილიარდერების იმიჯს ვახასიათებდი, მათი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ბოლოსვის მოვიტოვე: ისინი არჩევნებზე ყოველთვის მარცხდებიან.

4 მაისს, ქინიფიაკის უნივერსიტეტის გამოკითხვების მიხედვით, გამოკითხულთა 60 % საპრეზიდენტო არჩევნებში დონალ ტრამპის ან სარაპელინის კანდიდატურას არასდროს დაუჭრეს მხარს. გამოკითხვების ინსტიტუტის ასისტენტ-დირექტორი პიტერ ბრაუნი აღნიშნავს, „როგორც დედებს უყვართ ხოლმე თქმა, პირველი შთაბეჭდილების მოსახდენად მეორე შანსი აღარასოდეს გეძლევა“. **■**

# პეტრიშვილი, ხობოს ივანი 36ია



ელისო ბოლქვაძე თბილისური კონცერტის, მოცარტის, გლენ გულდის და კეიტ ჯარეტის შესახებ .

დავით ბუხრიკიძე

ვინც რუსთაველის თეატრში ელისო ბოლქვაძისა და ახალგაზრდა, ნიჭიერ მუსიკოსთა „კომპანიის“ ერთობლივ კონცერტს დაესწრო, ნამდვილად ბევრ კლასიკურ სიახლეს შეიტყობდა. მაგალითად, მოცარტის კონცერტის შესახებ სამი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, რომელიც საქართველოში პირველად შესრულდა (დირიჟორი ბენუამერ ლევი); ან ვერ ჯოდევ უცნობი „საქართველოს სიმფონიეტას“ ინტერპრეტაციით ბეთოვენის მეშვიდე სიმფონიის დახვეწილ და კამერულ ულერადობას შეაფასებდა... ცნობილი ფრანგული ტელეარხის პროექტი „MEZZO საქართველოში“ მხოლოდ სასიამოვნო მიზეზი აღმოჩნდა ამ კონცერტის ერთ-ერთ ორგანიზატორთან და სახელოვან პიანისტთან, ელისო ბოლქვაძესთან სასასუბროდ.

პირველ რიგში, კონცერტით თუ ხართ კმაყოფილ? გამართლა თუ არა **MEZZO**-ს მოწვევამ საქართველოში და შეიძლება თუ არა გარკვეულ საინფორმაციო გარლევევაზე საუბარი?

კლასიკური მუსიკა, კლასიკური და თანამედროვე ბალეტი და მრავალფეროვანი ჯაზი... მოკლედ რომ ვთქვათ, გემოვნებიანი და ხარისხიანი მუსიკის პროპაგანდის თვალსაზრისით, **MEZZO**-ს როლი მართლაც განუზომელია. კლასიკური მუსიკა და ჯაზი 24 საათის განმავლობაში გადაიცემა 45 ქვეყანაში და ამიტომ არს წამყვანი პოზიცია უკავია და არა მარტო ევროპაში...



ფოტო KIRKALA STUDIO

თუმცა ასეთივე პრეტენზია აქვს გერმანულ-ფრანგულ ტელეარხ „არტეს“...

„არტე“ მაინც უფრო სოციალურ-კულტურული არხია, რომელიც ასევე დიდი როლს უთმობს კულტურის პრობლემებს, მაგრამ არა იმდენად კლასიკურ მუსიკას. უფრო მნიშვნელოვანია, რომ თბილისური კონცერტიდან 3-4 თვის განმავლობაში მომზადდება ფილმი, რომელიც **MEZZO**-ზე თითქმის ერთი წლის განმავლობაში გადაიცემა. ასეთი პროექტი საქართველოს სჭირდება არა მხოლოდ ევროპასთან მუსიკალური ინტერა-

ციისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის კულტურული იმიჯის შესაქმნელად. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ნამდვილი კულტურული ფასეულობების წარმოჩენას კარგი პიარი და საკმაო ძალისხმევა სჭირდება.

ახალგაზრდა მუსიკოსებს როგორ შეაფასებდით? მხედველობაში მყავს პიანისტები, ნინო გვეტაძე და ანა ყიფიანი. ასევე ჩასაბერ ინტრუმენტებზე შემსრულებლები - ლევან ცხადაძე და გიორგი გვანცელაძე. რამდენად აკმაყოფილებენ ისინი მსოფლიო სტანდარტებს?

არ დაგიმალავთ, მეც ძალიან ვდელავდი, რადგან კონცერტი საპასუხის-მგებლო და მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, MEZZO-ზე გასული კონცერტის ჩანაწერით შეაფასებენ ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებას და მეორეც, რაც უფრო ხშირად მოხვდება ახალ-გაზრდა მუსიკისთა სახელები მუსიკალურ წრეებში, მით უფრო მეტი შანსი ექნებათ, შემდგომში კონცრაქტები გააფორმონ მუსიკალურ სტუდიებთან თუ ორკესტრებთან. ყველა მათგანი ძალიან ნიჭიერია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა პირობას აქმაყოფილებენ მაღალი დონის კონცერტებზე და ვრცისათვის. ნინო გვეტაძემ მაგალითად, თავის დროზე ამსტერდამის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა; ანა ყიფიანმა კი უკრაიანში, ხარკოვში გამართულ ვლადიმირ კრაინევის სახელობის კონკურსზე დიდი წარმატება მოიპოვა...

აღსანიშნავია ლევან ცხადაძე, რომელმაც გაიმარჯვა ფრანსუა ლელუს სახელობის ჩასაძერ საკრავთა კონკურსში და ძალიან გემოვნებიანი მუსიკოსია; გიორგი გვანცელაძე კი მიუნდენის ორკესტრის პირველი პონისტია, რომელმაც დიდ წარმატებას

ამ პროექტის ბედიც, რადაგან ფრანგული მხარე მანც ერიდებოდა ზედმეტ რისკს. სანფონტმაციო ველი და არასატაბილური რეგიონის სახელი მანც დიდ გავლენას ახდენს ამგვარ კულტურულ პროექტებზე. საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარდა და თუ კონცერტი, ტელეარხის პროდიუსერების აზრით, გაამართლებს, კადვე რამდენიმე საინტერესო კონცერტია დაგვამილი. დეტალებს ჯერ არ გავამხელ; დავუტოვოთ ეს ინტრიგა მსმენელსა და მკითხველს.

**თუმცა მსმენელს თქვენი სოლო კონცერტებიც მოენატრა. არცთუ ხშირად ხართ თბილისში...**

არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, დააბული საკონცერტო გრაფიკის მიუხედავად, როცა ვახერხებ, მაშინვე ჩამოვდივარ თბილისში. ამჯერად ახალგაზრდებთან ერთად ჩემი თავიც გამოყვადე. მუსიკოსი ყოველთვის უნდა მიმართავდეს გარკვეულ ექსპერიმენტს და რაღაც მუდმივად უნდა შეცვალოს.

**თქვენ რას შეცვლიდთ... მაგალითად, მოცარტს ან შუბერტს ჯაზზე დროებით გაცვლიდთ?**

არა მგონია, მოცარტი ჯაზით ჩავანა-

**■ ასეთი პროექტი საქართველოს სჭირდება არა მხოლოდ ევროპასთან მუსიკალური ინტეგრაციისათვის, არამედ ჩენი ქვეყნის კულტურული იმიჯის შესაქმნელად.**

მიაღწია სხვადასხვა პრესტიულ მუსიკალურ კონკურსში.

**რას ავადებულებს MEZZO-სთან გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ შხარები? გულისხმობს თუ არა ეს კონცრაქტი (თუ ასეთი არსებობს) შემდგომში ახალ კონცერტებს?**

ასეთი კონცერტები სწრაფად და ხელის ერთი მოსმით, ცხადია, არ კეთდება. თბილისურ კონცერტს წინ რთული მოსამზადებელი სამუშაოები უძლოდა, რამაც საბოლოოდ კარგი შედეგი გამოილო. თითქმის ბოლო დღეებში გადაწყდა

რიგებული და სტრუქტურირებულია. მუსიკალური ფორმის სიცხადე ყველთვის მირჩევნია სტიქიურ იმპროვიზაციას, ალბათ, ამიტომ ჯერ ვერიდები რომანტიკოსებისა და რაციონალისტი კომპოზიტორების დაკვრას. მაგალითად, ბრამსი, რამბანინოვი და პროკოფიევი არ არიან „ჩემი“ კომპოზიტორები.

**რას ფიქრობთ პიანისტების მიერ დიდი კომპოზიტორების გარკვეულ „პრივატიზაციაზე?“ მაგალითად, დამკავიდრებულია მოსაზრება, რომ გლენ გულდი მხოლოდ ბახს უკრავს კარგად, არტურ შნაბელი – ბეთჰოვენს, მარტა არგერიხი – შუმანს...**


მეც მაქვს ჩემი იდუმალი კავშირები კომპოზიტორთან, თუმცა, პირველ რიგში, სხვებზე მოგახსენებთ. გლენ გულდი პოლიომელიტით იყო დაავადებული და ამდენად, მისი მუსიკალური ცხოვრება დაკავშირებულია, ძირითადად, ჩანაწერებთან და იშვიათად კონცერტებთან. მისი მუსიკალური სამყარო და აზროვნება განაპირობა უფრო აბსტრაქციის კუნძულებამ და ფილოსოფიამ. ის ცალკე მოვლენაა და საერთო კონტექსტში ვერ განვიხილავთ. რასაკვირველია, არიან შესანიშნავი პიანისტები, ვთქვათ, შუბერტის უბადლო შემსრულებელი ალფრედ ბრენდელი, რომელმაც ჩემზე დიდი გაელენა მოახდინა; ან იგივე მარტა არგერიხი... თუნდაც ლექსი თორაძე, რომლის სახელი ლამის პროკოფიევთან არის გაიგივებული.

**რა არის დღეს თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მუსიკაში?**

კარგად დაკვრა, ხელოვნების ჩარჩოების გაფართოება და სრულყოფილებისაკენ სწავლა. ამის გარეშე მუსიკოსი არ არსებობს. პროფესიონალიზმი, ჩემთვის მუდმივი ვწერასავითაა, რომელიც გაიძულებს, სულ ფორმაში იყო და სიახლე ექვის. და მანც დღეს ჩემი ყველაზე დიდი სურვილია ფალიაშვილის მუსიკის პროპაგანდა დასავლეთში. ჩემი ერთ-ერთი პროექტიც სწორედ ფალიაშვილის რომელიმე ოპერის შესრულებასთან არის დაკავშირებული. თუმცა ვაცნობიერებ, რომ ეს უახლოესი მომავლის პერსპექტივა არ არის. **■**

# ტექნოლოგიები

ყველაზე რესპექტუალური IT  
კომპანიები



Google-მა ამერიკის ყველაზე რესპექტაბელურ კომპანიათა სიაში პირველი ადგილი დაიკავა. გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობა 30 ათასმა ადამიანმა მიიღო, ნამყვანი ადგილები მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიის ნარმომადგენლებს ერგოთ. ჩამონათვალში ასევე მოხვდა Apple – მეხუთე პოზიციაზე, Intel – მე-6 ადგილი, Sony – მე-14 ადგილი და Microsoft- მე-16 ადგილი). წელს რეიტინგში პირველად დასახელდა სოციალური ქსელი Facebook, რომელიც სიაში 31-ეა.

ყველაზე უარყოფითი შედეგები ბანკებმა, სადაზღვევო და ნავთობკომპანიებმა აჩვენეს: ჩამონათვალში პოზიციებზე მოხვდნენ Bank of America, Citigroup, Chrysler, Goldman Sachs, BP და AIG.

გამოკითხვას კომპანია Harris Interactive ატარებდა, მონაწილეობს კი კოპანიები 20 კრიტერიუმით, მათ შორის, ფინანსური მაჩვენებლების, ემოციური მიჯაჭვულობის, პროდუქტებისა და სერვისების, სოციალური პასუხისმგებლობისა და სამუშაო გარემოს მიხედვით უნდა შეეფასებონათ.

რესპექტაბელურობის გარდა, Google ამერიკის ყველაზე სასურველ სამუშაო ადგილადაც რეგულარულად სახელდება. წელს მან კიდევ ერთი


წოდება მიიღო: Brand Finance-ის შეფასებით, ის მსოფლიოს ყველაზე ძირიადლირებული ბრენდი გახდა და უკან Microsoft-იც ჩამოიტოვა.

## ხორვალი პირა და ვიზორგატი GOOGLE-ისგან

Google-მა ხმოვანი საძიებო სისტემის დატესტვა დაიწყო. გავრცელებული ინფორმაციით, სისტემის ფუნქციონირებისას, Google-ის მთავარ გვერდზე, მარჯვენა მხარეს, მიკროფონის გამოსახულება ჩნდება, მასზე დაწყაპუნებით კი ახალი ფანჯარა იხსნება, რომელიც მომხმარებელს საძიებო მოთხოვნის წარმოთქმას სთავაზობს. ამჟამად მომასახურება მხოლოდ რამდენიმე მომხმარებლისთვისაა ხელმისაწვდომი. მათ შორის ერთ-ერთი ვიდეოსერვის Ustream.tv-ს პროდუქტების მენეჯერი მეტ შლიხტია. შლიხტის თქმით, Google-ის ხმოვანი ძიება საკმაოდ კარგად მუშაობს, თუმცა მისი გამოყენება ოფისში მოუხერხებელია.

ინტერნეტ-გიგანტის ოფიციალური წარმომადგენლები ხმოვან ძიებასთან დაკავშირებით სხვა განმარტებებს არ აკეთებენ და აღნიშნავენ, რომ კომპანია ახალ ფუნქციებს სისტემატურად ტესტავს.

ცნობილია, რომ ხმოვანი საძიებო მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობა უკვე აქვთ iPhone-ის, Nokia-ს და Android-ის მომხმარებლებს. აღსანიშნავია, რომ ხმის გარჩევის მხარდაჭერით უკვე Google-ის ბრაუზერის Chrome 11-ის ბოლო ვერსიაცაა




აღჭურვილი.

პარალელურად, Google-მა Android-ის სმარტფონებისთვის ხმოვანი და ვიდეოჩატის ფუნქციები წარადგინა. ინტერნეტ-გიგანტის ოფიციალურ ბლოგზე წერია, რომ ხმოვანი და ვიდეოკავშირის ახალი სერვისები მობილურ დამატება Google Talk-ში გაჩნდება, სმარტფონის მფლობელებს კი საუბარი შეეძლებათ როგორც ერთმანეთთან, ისე ჩმაილ-ის მომხმარებლებთან.

Google Talk-ის განახლებული ვერსიით სარგებლობას პირველად Nexus S-ის მომხმარებლები შეძლებენ, სამომავლოდ კი მისი გამოყენების საშუალება Android 2.3-ის ბაზაზე აგებული სხვა სმარტფონების მფლობელებსაც ექნებათ.

## ინტერნეტ-სივრციში 324,7 მილიონი საიტია




ანალიტიკურმა კომპანია Netcraft-მა ინტერნეტში ვებგვერდების რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა. სპეციალისტების ინფორმაციით, მიმდინარე წლის პრილის ბოლოს საიტების რიცხვმა 324 697 205 შეადგინა. ყველაზე პოპულარულ სერვერულ პლატფორმას კვლავ ღია ვებ-სერვერი Apache წარმოადგენს. ბოლო თვის განმავლობაში მას ერთბაშად 12,5 მილიონი ახალი ჰოსტი შეემატა, რითაც პლატფორმის წილი 1,5 პროცენტით გაიზარდა.

Microsoft-ის ვებსერვერმა 0,8 მილიონი ახალი ჰოსტი მიიღო, თუმცა ერთ თვეში მისი წილი 0,5 პროცენტით

ტით შემცირდა. Nginx-მა და Lighttpd-მა კი უმნიშვნელო ზრდა დააფიქსირებს. მათ სერვერებზე განთავსებული საიტების რიცხვი 381 000-ითა და 21 000-ით გაიზარდა.

ამას გარდა, Netcraft-ის კვლევაში ნათქვამია, რომ ღია შემცირდა ამჟამად სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობს, ბოლო 2 თვის განმავლობაში მომუშავე პოსტების რიცხვი 95 პროცენტით შემცირდა, აპრილის ბოლოს კი ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ 42 სერვერი მუშაობდა.

## iPad 2-ის ჩამონაცილების არაალი ფართოვდება



Apple-მა iPad 2-ის რეალიზაცია კიდევ 12 ქვეყანაში დაიწყო. პოპულარული პლანშეტი უკვე იყიდება იაპონიაში, პონგკონგში, ისრაელში, ინდოეთში, მაკაოში, მალაიზიაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სინგაპურში, თურქეთში, ფილიპინებში, ჩინეთში, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ კორეაშიც. იმ 26 ქვეყანაში კი, სადაც iPad 2-ი 2 მარტამდეც იყიდებოდა, ის უკვე დეფორმიტურ მოწყობილობად იქცა – Apple-ს მა-

ლაზიებთან მოწყობილობის შეძენის მსურველთა საკმაოდ გრძელი რიგები დგას.

iPad-ის წარმატებულმა რეალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა Apple-ის ფინანსური მაჩვენებლები. 2011 წლის პირველ კვარტალში კომპანიის მოგებამ 5,99 მილიარდი დოლარი შეადგინა და ისტორიაში პირველად გადააჭარბა სოფტვერული გიგანტის Microsoft-ის 5,23 მილიარდიან მოგებას. სტივ ჯობსის კომპანიის წარმატებას ექსპერტები სწორედ iPad-ზე არსებულ მზარდ მოთხოვნას უკავშირებენ.

## GALAXY S II-ის გაყიდვა დაიწყო

Samsung Electronics-მა სმარტფონ Galaxy S II-ის გაყიდვა დაიწყო. ჯერჯერობით მოწყობილობის შეძენა მხოლოდ სამხრეთ კორეაშია შესაძლებელი. მიმდინარე თვეში Samsung Galaxy S-ის მეორე ვერსიის რეალიზაცია კიდევ მსოფლიოს 120 ქვეყანაში დაიწყება.

ახალი მოწყობილობა, რომელსაც Samsung მსოფლიოში ყველაზე თხელ სმარტფონს უწოდებს, ორბირთვიან, 1,2 გიგაპერცის პროცესორზე მუშაობს, ალფურვილია 4,27 დიუმიანი Super AMOLED Plus ეკრანით, ორი ინტეგრირებული კამერით, Wi-Fi და Bluetooth მოდულებით. მისი სისქე 8,49 მილიმეტრია და Android 2.3-ის ოპერაციული სისტემის ბაზაზე ფუნქციონირებს.

Galaxy S II-ის წინამორბედი გაყიდვაში შარშან ივლისში გამოჩნდა. კომპანიამ უკვე ამ მოდელის 14 მილიონი სმარტფონი გაყიდა, მიმდინარე წლის



ბოლომდე კი კიდევ 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარის გაყიდვას გეგმავს.

## დაგენდალული თამრი iPhone 4 გამოჩენა



10 თვიანი ლოდინის შემდეგ ბაზარზე თეთრი iPhone 4 ოფიციალურად გამოჩნდა. ტელეფონის გამოსვლის შესახებ ჯერ კიდევ შარშან ივნისში დაანონსდა, თუმცა ამ დრომდე, სხვადასხვა პრობლემის გამო, გაყიდვების დაწყება რამდენჯერმე გადაიდო.

ლეგენდარული სმარტფონის შეძენა 28 ქვეყანაშია შესაძლებელი, მათ შორის: აშშ-ში, ავსტრიაში, ბელგიაში, ჩეხეთში, ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, იაპონიაში, მაკაოში და ჩინეთში.

ტელეფონის რეალიზაციას Apple-ის საფირმო მაღაზიები, ფიქტური კავშირის ოპერატორები და ავტორიზებული დილერები ახორციელებენ. მისი ფასი iPhone 4-ის იდენტურია.

Apple-ი სმარტოფნის მომდევნო ვერსიაზე უკვე მუშაობს. არაოფიციალური ინფორმაციით, iPhone-ის შეხეულები თაობის პრეზენტაცია მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართება. ■

# ლინის სანინალილო - ერთი ქადაგის ე მიზი იღვაისას ამჟამი

(ზოგიერთი - მსოფლიოს საუკათასო მასში. ნაირი I)



კახა თოლორდეგა



„კარგი ქალაქი ის ქალაქია, სადაც ადამიანებს სახლიდან გარეთ გასვლის სურვილი უჩნდებათ. საზოგადოებრივი სივრცე ჯადოსნური სიკეთეა და ის არასდროს წყვეტს სიამოვნების მინიჭებას. საზოგადოებრივი კეთილდღეობა პირად ინტერესებზე მაღლა უნდა იდგას. კარგი ქალაქი ის ქალაქია, სადაც ჩვენ ყველა გარიყულად არ ვგრძნობთ თავს. ტროტუარი ქალაქში ყველაზე მეტს ლაპარაკობს ამ ქალაქზე...“ – ეს სიტყვები ბოგოტას ყოფილმა მერმა ენრიკე პენიალოსამ 2009 წელს სან-ფრანცისკოში გამართულ ერთ-ერთ ლექციაზე წარმოთქვა და ბოლოს დაუმატა, – „ხარისხიანი ტროტუარი დემოკრატიის ხარისხზეც მიუთითებს“. ლექციის ბოლოს მთელი აუდიტორია ფეხზე იდგა და ისე უკრავდა ტაშს ადამიანს, ვინც თავის დროზე, 1998-2001 წლებში, როდესაც ის ბოგოტას მერი იყო, სამუდამოდ შეუცვალა სახე თავის მშობლიურ ქალაქს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბოგოტა ნამდვილად არ იყო თითოთ საჩენებელი ქალაქი. უფრო მეტიც, ის მსოფლიოს ყველაზე საშიში და ქაოტური ქალაქების რიცხვს განეკუთვნებოდა, მაგრამ დაწყებული 1993 წლიდან, როდესაც ქალაქმა თავისი პირველი დამოუკიდებელი მერი, ანტანას მოკუსი აირჩია, ბოგოტა მთელი მსოფლიოსათვის თითოთ საჩენებელ ქალაქად იქცა. ის დღემდე ასეთად რჩება, ხოლო ანტანას მოკუსის და

ენრიკე პენიალოსას სახელები დღესაც ყველას პირზე აკერია, რადგანაც მათ შეუძლებელი შეძლეს და ბოგოტელები მოქალაქებად აქციეს.

რა თქმა უნდა, ბევრ ქალაქს ჰყოლია განსაკუთრებული ხედვის უნარით და-ჯილდოუბული „ვიზიონერი“ მერები, მაგრამ ის, რაც ამ ორმა „ნაგიუარმა“ მოახერხა, მართლაც განსაკუთრებულია. ორივე შემთხვევაში წარმატების საწინდარი წლების განმავლობაში წაფიქრალის და დაგეგმილის განხორციელების მცდელობა იყო და არა მერის თანამდებობაზე მისვლის შემდეგ პოსტის შენარჩუნების მცდელობა. ორივე კარგად ესმოდა ისიც, რომ კორუფციაში გაბლანდულ ბოგოტას და მის მოქალაქებს ფერებ-ფერებით და დაყვავებით ვერაფერს მოუხერხებდნენ, ამიტომაც საქმეს ისეთი ენერგიულო-

ბით შეუდგნენ, რომ პოლიტიკური ელიტის თითქმის მესამედი და ბოგოტას მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სამუდამოდ გადაიმტერეს. მეორე მხრივ, ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ამ ენერგიულ და მყაცრ ქმედებებს ზურგს ექსცენტრიკული ინიციატივები და თამაში უმაგრებდა. როდესაც წარმოშობით ლიტველი ანგანას მოკუსი ბოგოტას პირველ დამოუკიდებელ მერად აირჩიეს 1993 წელს (ის ამ პოსტზე ორი ვადით დარჩა 1998 წლამდე) კოლუმბიის დედაქალაქი „მსოფლიოში ყველაზე უარეს ქალაქად“ იყო აღიარებული, ხოლო თვით მოკუსი უკვე ცნობილი იყო „იმ მოკუსად“ რომელმაც სცენიდან უკანალი უჩვენა უნივერსიტეტის სტუდენტებს. უცნაურია, რომ ყველა-ფერი ამის შემდეგ ბოგოტამ მაინც ის აირჩია მერად, მაგრამ ქალაქმა გარისკა

# ქალაქი მოხატიალე კაცის ჩანაწერები

და ამ რისკის საფასურად მიიღო ის, რომ მოკუსის ექვსწლიანი მერობის შედეგად ბოგოტაში წყლის უმიზნოდ ხარჯვა 40%-ით დაეცა, დანაშაულის დონე 70%-ით, საგზაო შემთხვევები 50%-ით, ხოლო 63, 000 შეძლებული ბოგოტელი 6 ე ბ ა ყ თ ლ თ ბ ი თ დათანხმდა მოკუსის საჯარო თხოვნას გადაეხადათ 10%-ით მეტი გადასახადი! ამასობაში, მოკუსი ისეთი ხარისხიანი და მოსახლეობისათვის მოულოდნელი შემოქმედებითი იდეებით ამყარებდა თავის ინიციატივებს, რომ მან შეძლო დედაქალაქის დიდი ნაწილის თავის თა-

მოუწოდებდა ასევე მოქცეულიყვნებ; ორი თვის განმავლობაში წყლის უმიზნოდ ხარჯვა 12%-ით დაეცა. მოკუსის თხოვნით პოლიცია მუყასისგან გამოჭრილ აპრეხილ და დაშვებულ ცერა თითებს ურიგებდა მძღოლებს, რათა ლანდლევა-გინების ნაცვლად ეს ნიშნები ეწვენებინათ ერთმანეთისთვის; მთელი ბოგოტა ჩაერთო ამ თამაშში. ერთხელ კი, მან საჯაროდ სიხოვა ბოგოტელებს პირადად მისთვის დაერევათ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოქალაქე წესიერ და პატიოსან ტაქსის მძღოლს გადაეყრებოდა. შედეგად მოკუსმა და-

ნერი“ გამოდგა, ხოლო საქმის კეთება კი ბოგოტას ცენტრში ჯურლმულივით საშიში უბნის, „კარტუჩის“ სრული ნგრევით დაიწყო. მაშინ „კარტუჩიში“ დედაქალაქის ყველაზე სახიფათო კრიმინალები იყრიდნენ თავს და იქ პოლიციაც კი ვერ ბედავდა ფეხის შედგმას. მისთვის ეს მძიმე და დაუნდობელი ბრძოლა იყო, თუმცა არა ისეთი, როგორიც მისი შემდგომი ნაბიჯი. მას შემდეგ რაც „კარტუჩის“ ადგილზე მიმზიდველი ურბანული სივრცე „დასცა“, პენიალოსა ახლა მდიდარი ბოგოტელების გოლფის მოედნებს დაერია და იმდენი ქნა, რომ ყველა ეს მოედანი ქალაქის პ ა რ კ ა დ აქცია. ამას რომ მორჩა, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან მტერს, მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი ა ნ ბოგოტელებს შეუტია. ამ ბრძოლაში მისი დევიზი ასეთი იყო: „თანასწორი ქალაქური სივრცე ყველასთვის!“ პენიალოსას სწავლა რომ ბოგოტაში ძირითადი კონფლიქტი მდიდრებსა და ლარიბებს შორის კი არა, არამედ მანქანიანებსა და უმანქანოებს შორის იყო. ამის შედეგად ბოგოტამ 300 კილომეტრიანი სიგრძის, მხოლოდ ველოსიპედისტებისათვის განკუთვნილი საგზაო ბილიკი – უნიკალური საზოგადოებრივი სატრანსპორტო (ავტობუსი) სისტემა მიიღო, რომლითაც თვით პენიალოსა სარგებლობდა; ამ სისტემით დღეს 1.600. 000 ადამიანი სარგებლობს. პენიალოსას მერობის ზოგადი შედეგი კი ასეთია: 400.000 ბოგოტელი ყოველდღიურად გადაადგილდება ველოსიპედით; ავტო-ტრაფიკი 22%-ითა შემცირებული; 15 ახლ ბიბლიოთეკას ყოველდღიურად 400.000 მეთხველი სტუმრობს; ყოველი კვირა დღე „უმანქანი დღე“ ბოგოტას ცენტრალური ქუჩებისათვის; მოზარდების 98,5% სკოლაში დადის; საგზაო შემთხვევებმა 50%-ით დაიკლო ისევე, როგორც დანაშაულმა; დაირგო 100.000 ხე და აშენდა 50 სკოლა. ეს ყველაფერი მხოლოდ ნანილია იმისა, რაც ამ ორმა ადამიანმა გააკეთა. დანარჩენი კი, თუ ამის სურვილი გაგიჩნდათ, YouTube-ზე ნახეთ. აკრიფეთ Cities on Speed – Bogota Change და ისიამოვნეთ. ■

ჩატი ჩათრევა. იმისათვის, რომ ქუჩაზე გადასვლისას წესების დამრღვეველთაოვის მიეთითებინა მათივე შეცდომა, მოკუსმა 420 პანტომიმის არტისტი დაიქირავა, რომლებიც სახალხოდ, პანტომიმის მეშვეობით დასცინოდნენ წესრიგის დამრღვევებსა და მოკუსმა ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ სჯეროდა, კოლუმბიელებს სახალხოდ თავის მოქრის უფრო ეშინოდათ, ვიდრე ჯარიმის; მისივე თხოვნით, ერთხელ, ბოგოტას ყველა მამაკაცი ერთი საღამოს განმავლობაში სახლში დარჩა ოჯახების მოსაცლელად, ხოლო ქალაქი მხოლოდ ქალები გამოვიდნენ; როდესაც ბოგოტაში წყლის პრობლემა გაჩნდა, მოკუსი პირდაპირ ტელევიზორის ეკრანზე, მთელი ქეყნის დასახახად იღებდა შეაპს, ხოლო როდესაც ისაპნებოდა ონკანს კეტავდა და დანარჩენებს

ახლოებით 200-მდე ზარი მიიღო, მერე კი ის პირადად შეხვდა იმ მძღოლებს და მათთან ერთად შეიმუშავა ბოგოტელი ტაქსის მძღოლების ქცევის შეცვლის პროგრამა. მოკუსს კიდევ ერთი ვადით შეეძლო ქალაქის მერად დარჩენა, მაგრამ მეორე ვადის დასასრულს ის უკვე პრეზიდენტობას უმიზნებდა, ამიტომაც ქალაქს კიდევ ერთი გადაწყვეტილების მიღება მოუწია და თანამდებობა ენრიკე პენიალოსამ გადაიბარა. დღეს უკვე ყველამ იცის, რომ მისი არჩევით ბოგოტას მეორედ გაუმართლა. თუ პირველმა დამოუკიდებელმა მერმა მოქალაქებად გახდომისკენ უბიძგა ბოგოტელებს, მეორემ ქემმარიტად დემოკრატიული ქალაქი აუშენა მათ.

ენრიკე პენიალოსა, მოკუსის პოლიტიკური ოპონენტი, მასსავით შემოქმედებითი იდეებით სავსე „შლეგი ვიზიო-

# სიბრძე და სინათლა

(ჩეცენზი)



ლაშა ბუღაძე, მწერალი

წიგნი, რომლის შესახებაც აქ ვაპირებ საუბარს, ცოტა ხნის წინ წავიკითხე და მინდა, შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ.

უცნაური ტექსტია – ვერ გაიგებ, რა ჟანრთან გვაქვს საქმე. წიგნის ავტორი – მიუხედავად თემის სერიოზულობისა – აშეარად რაღაც უცნაურ და დამაბნეველ ლიტერატურულ-სოციალურ თამაშში გვითრევს. თუმცა ერთი რამ ზუსტად შეგვიძლია, ვთქვათ: საქმე პოეტურ ტექსტთან გვაქვს, მაგრამ იმაზე კი ვეღარ შევთანხმდებით, ამ წიგნში რომანია დაბეჭდილი, პროზად დაწერილი პოემა, რელიგიური ტრაქტატი, სცენარი ოჯახური კონფლიქტის შესახებ თუ ისტორიულ-სამეცნიერო თხზულება (თუ ყველფერი ერთდა)?

თუმცა ეს არც კორტასარული „ქლასიკური“ თამაშებია და არც ეკო გვახსენდება, მისი პოსტმოდერნისტული ონიებით.

ასეთი რამ არასდროს დამმართინა თანამედროვე ტექსტის კითხვისას: რატომღაც ვიფიქრე, რომ ამ წიგნს ათას ხუთასი წლის შემდეგაც ისეთივე ინტერესით წაიკითხავენ, როგორი ინტერესითაც მას დღეს ეცნობიან თანამედროვე მკითხველები.

ამ დროს, სიუჟეტი, ერთი შეხედვით, ბანალური აქვს: ქმარი უცხოეთიდან ჩამოდის და ცოლს აიძულებს, უარი თქვას თავის პრინციპებზე. ქმარი პარანოიადლური შიზოფრენიის ზღვარზეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტისმეტად დიდი ძალაუფლება აქვს იმისათვის, რომ ვინმერ საგიუვეთში წაყვანა გაუბედოს. მისი სიგიჟე ამორალურობაში, ფანატიზმში და სისასტიკეში ვლინდება. ცოლი სულაც არ არის მორალისტი, უბრალოდ, წესიერი და პრინციპული ადამიანია; ბრაზობს, ასე უხეშად რომ არღვევენ მის უფლებებს. ცოლი ფსიქოლოგებს სთხოვს შევლას (პროფესიით ფსიქოლოგია, სხვათა შორის, ტექსტის ავტორიც), რომელიც ამჟამად ბერად არის აღკვეცილი ერთ-ერთ მონასტერში), თუმცა გამძვინვარებულ ქმარს ვერავინ უბედავს მკურნალობის კურსის დანიშვნას. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ცოლი, ფაქტობრივად, ერთადერთია მთელ წიგნში, ვინც ამ კაცს და მის ფანატიკოს განგსატერებს ეწინა-აღმდეგება. შესაბამისად, ქმარი მას მოსაკლავად იმეტებს და კლავს კიდეც უაღრესად სადისტურად.



სწორედ ეს არის ამ წიგნში ყველაზე უცნაური და ამაღლევებელი: რომ, თურმე, ჩვენს მატერიალისტურ დროშიც კი შესაძლებელი ყოფილა პრინციპების ბოლომდე ერთგულება. სხვა მის ადგილზე, ეჭვიც არ მეპარება, კომფორმისტული ორინით შეხვდებოდა ნებისმიერ ამგვარ დილემას.

წიგნში ჩვენი დროის (და ჩვენი ყოფის) უაღრესად აქტუალური კონფლიქტია ასახული: კონფლიქტი სიბრძესა და სინათლეს შორის, კონფლიქტი ფანატიზმსა და განათლებულობას შორის.

შემთხვევით არ მიხმარია ეს ტერმინი – ამ ტექსტმა შემახსენა, რომ, თურმე, განმანათლებლობის ეპოქში გვინევს (ცხოვრება; იმ ეპოქასა და ყოფაში, სადაც „მეტად მტკიცნეულად და ჭირვეულად მიმდინარეობს ადამიანის (თუ საზოგადოების) გათვისუფლების პროცესი“. რამდენი ომი ვნახეთ და რამდენ კონფლიქტს შევესწარით, მაგრამ რეალურად საქართველოში ყოველთვის სიბრძესა და მბუტავ, მაგრამ მაინც სინათლეს შორის მიდიოდა ბრძოლა (ზოგჯერ, ისე მძაფრად, როგორც ამ წიგნშია აღწერილი, ზოგჯერ, „ვერბალური ტერორიზმის“ დონეზე).

მოკლედ, მაგარი წიგნია – ბევრ რამეზე იძლევა პასუხს. ოღონდ წაკითხვა და გააზრება საჭირო. მაღაზიებში ჯერ კიდევ დარჩა რამდენიმე ეგზემპლარი.

წიგნს „შუშანიკის წამება“ ჰქვია. ავტორი – იაკობ ხუცესი.



თალავი, ყვარელი, ლაგოდახი  
გორი, ქარელი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურავი, ქობულეთი, გათახი  
ვოთი, სენავი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

---